წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—56, მთ. კანტორის—8—81.

ხუთშაბათი, 27 აგვისტო 1931 წ. № 196 (3151)

ბამბის აღების ბოლშევიკურად ჩატარებისათვის

მიმდინარე წლის სასოფლო - სამეურნეო საგაზაფხულო კამპანიის პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მოპოვებული მებამბეობის განვითარების საქმეში. გასული წლის 11.300 ჰექტარის ნაცვლად წელს ბამბა დაითესა 21.464 ჰექტარზე, — ამგვარად ბამბის თესვის დარგში მიმდინარე წლის დავალება შესრულებულია გადაჭარბებით. გარდა ამისა, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიერ მთელ რიგ აგროკულტურულ ღონისძიებათა (სასუქის გატანა, თესლის გაწმენდა, მწკრივად თესვა, ნათესების დამუშავება, დროული მორწყვა და სხვა) გატარების საფუძველზე უზრუნველყოფილია ბამბის მოსავლიანობის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება. ყოველივე ეს მოწმობს, რომ „მებამბეობის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა ნამდვილად იბრუნეს პირი ისეთი სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანებისაკენ, როგორიცაა საქართველოში ბამბის კულტურის დაჩქარებული განვითარება და საქართველოს ნიადაგისა და კლიმატიური პირობების მაქსიმალურად გამოყენება ბამბის დამოკიდებულებისაგან საბჭოთა კავშირის განთავისუფლებისათვის წარმოებულ საერთო ბრძოლაში“ (საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებიდან).

ამჟამად ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს ბამბის დამუშავების უახლოეს დღეებში დამთავრების და ბამბის მოსავლის მთლიანად და დროზე აღების უზრუნველყოფაში. უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმის მტკიცე შეგნება, რომ ბამბის აღების კამპანია არის მეტად რთული და დამკვრელი ხასიათის სასოფლო - სამეურნეო ოპერაცია; საჭიროა იმის მტკიცედ დამახსოვრება, რომ „ბამბის აღების კამპანიის წარმატება დამოკიდებულია საკოლმეურნეო და ინდივიდუალური ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების მობილიზაციისაგან, ბამბის აღების და სახელმწიფოსათვის ნედლი ბამბის დანიშნულ ვადებში ჩაბარების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაგან“ (საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილებიდან).

ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილების თანახმად ბამბის აღება-ჩაბარების გეგმების შედგენა დამთავრებული უნდა იქნას პირველ სექტემბრამდე. საჭიროა ახლავე ჩატარდეს იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ სათანადო (კონტრაქტაციო და ადგილობრივი ორგანიზაციები ბამბის აღება-ჩაბარების გეგმების შემუშავებას და მის დაყვანას სოფლებამდი, კოლმეურნეობამდი, საწარმოო ამხანაგობამდი და ცალკეულ ინდივიდუალურ მეურნეობამდი. საჭიროა ახლავე შემოწმდეს, არიან თუ არა მზად ბამბის აღება - ჩაბარებისათვის ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია, რომლებიც რაიმე კავშირი აქვთ ბამბის აღების და ჩაბარების კამპანიასთან.

ბამბის აღების კამპანიის წარმატებით დამთავრების საკითხს ძირითადად სწყვეტს მუშა-ხელის და საწარმოო საშუალებების სწორად განაწილება და მათი გეგმიანად და რაციონალური დატვირთვით გამოყენება. ამისათვის სანარდო სისტემის ფაქტიურად გატარებას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პირველ სექტემბრამდე არ დარჩეს არც ერთი კოლმეურნე შრომის წიგნაკის და ამ წიგნაკში თანდათანობით გამომუშავებული შრომა-დღეების ზუსტად ჩაწერის გარეშე.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ბრიგადების სწორ ორგანიზაციას. ბამბის მოსავლის აღებამდე უნდა მოხდეს [illegible] ბრიგადების და ჯგუფების მომარაგება განსაზღვრულ ნაკვეთებზე. ბრიგადირის და ჯგუფის ხელმძღვანელებს უნდა დაეკისროთ პერსონალური პასუხისმგებლობა ჩაბარებული სამუშაოს დროზე შესრულების და ბამბის მაღალი ხარისხის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს სამუშაოზე დაგვიანებას, ზარმაცობას, სამუშაო დღეების გაცდენას და სიმულიანტობას. შრომის დეზერტირების წინააღმდეგ მიღებული უნდა იქნეს ზეგავლენის ყველა ზომები თვით კოლმეურნეობიდან გარიცხვამდე.

შემჩნეულია, რომ კულაკების გავლენის გამო მებამბეობის ზოგიერთ კოლმეურნეობებში ძალზე დაბალია გამომუშავების ნორმები. ასე მაგ.: ყვარლის და სიღნაღის რაიონში ზოგან კოლმეურნეები ნახევარი დღით ადრე და ზოგჯერ რამოდენიმე საათის განმავლობაში ასრულებენ დღიურ გამომუშავების ნორმას, რის შემდეგაც თავს ანებებენ მუშაობას. ამ მდგომარეობას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს. ყველგან დაწესებული უნდა იქნას საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული ნორმები.

გარდა ამისა მიღებული უნდა იქნას წინასწარი ზომები ბამბის აღების კამპანიაში ქალთა და მოზარდთა შრომის ფართოდ გამოყენებისათვის. ამის გამო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა: ქალთა სპეციალური ბრიგადების ორგანიზაცია, საზოგადოებრივი კვების საშუალებით მომსახურება, ბავშვთა საზოგადოებრივი მოვლის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, ქალთა და მოზარდთა მუშაობის წამახალისებელ ღონისძიებათა გატარება და სხვა. ქალებს და მოზარდებს ფართოდ უნდა გავაცნოთ ხელმძღვანელ რესპუბლიკანური ორგანოების დადგენილებები იმ უპირატესობის და შეღავათების შესახებ, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ანიჭებს ბამბის აღებაზე და ჩაბარებაზე მომუშავე კოლმეურნეებს.

ახლავე უნდა შევუდგეთ აგრეთვე სათანადო კადრების მომზადებას და გადამზადებას ბამბის აღება-ჩაბარების კამპანიასთან დაკავშირებით. ჩვენ გვჭირდება კოლმეურნეობების გათვითცნობიერებული თავმჯდომარეები, შრომის ორგანიზატორები, სახაზო ბაგების ხელმძღვანელები, მოანგარიშეები, ბრიგადირები, აგროტექნიკოსები და სხვ. აღნიშნული კადრების მომზადება და გადამზადება გათვალისწინებული უნდა იქნას ბამბის აღება-ჩაბარების კამპანიის გეგმაში და უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ ამ კადრების მომზადება მოხდეს ბამბის აღება-ჩაბარების დაწყებამდე.

საბჭოთა მეურნეობებში ბამბის აღების წარმატებით ჩატარება უმთავრესად დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ გეგმიანად მოვაწყობთ მუშა-ხელის მიწოდებას საბჭოთა მეურნეობებისათვის. მუშა-ხელის საბჭოთა მეურნეობები უმთავრესად კოლმეურნეობებმა უნდა უზრუნველყონ. ამისათვის ახლავე უნდა იქნას დაწყებული შრომის ხელშეკრულებების დადება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შორის მუშა-ხელის გეგმიანად მიწოდების შესახებ; მიღებული უნდა იქნას ყველა ზომები იმისათვის, რომ მუშა-ხელის მიწოდების ურთიერთვალდებულება, რაც ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული, მტკიცედ შეასრულონ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

გასულ წელს იყო მრავალი შემთხვევები, როდესაც კულაკური და შეძლებული მეურნეობები არ იღებდნენ და განზრახ აფუჭებდნენ ბამბის მოსავალს. გურჯაანის რაიონში გასულ წელს კულაკებმა თვითნებურად გადახნეს ნაკვეთები, საიდანაც ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ბამბის აკრეფა. ასეთი მოვლენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს. კულაკები და შეძლებულები გადამჭრელი ზომებით უნდა ვაიძულოთ დაუყონებლივ შეასრულონ ბამბის აღება-ჩაბარების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ნაკისრი და მტკიცე დავალებით მიცემული ვალდებულებანი.

ახლავე უნდა მოვახდინოთ მთელი ძალების მობილიზაცია ბამბის აღების სამუშაოთა დამკვრელი ტემპებით გაშლისათვის. კულაკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ პრაქტიკის და მათდამი შემრიგებლობის ძირშივე აღკვეთა და ადგილებისადმი კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერება — აი რა არის საჭირო ბამბის აღება-დამზადების კამპანიის დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

გერმანიის კომპარტია გაიმარჯვებს
დევნისა და აკრძალვის მიუხედავათ

„როტე ფანე“ კვლავ გამოდის

ბერლინი, 25 აგვისტო. დღეს, ორი კვირით შეჩერების შემდეგ, კვლავ გამოვიდა გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე“. მოწინავეში ნათქვამია: „ორი კვირის განმავლობაში ყველა ქუჩებში სწარმოებდა კამპანია: „ძირს კომუნისტები, წაავლეთ მათ ხელი, სცემეთ, დახვრიტეთ; დაახრჩვეთ; ნაკუწებად დაჰგლიჯეთ“. არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, როცა „სპარტაკის“ ბრძოლის დღეებში 1918 წ. კარლ ლიბკნეხტი ამავე ფურცლებზე სწერდა ამის შესახებ. გაზეთები, დაწყებული „ფორვერტს“-ით და გათავებული „ანგრიფ“-ით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გააფთრებულ ანტიკომუნისტურ კამპანიაში, რომ დაემსახურებიათ „მაღალ ბატონების“ მადლობა. მაგრამ ჩვენ ვარსებობდით აკრძალვის მიუხედავათ და მუდამ ვიარსებებთ. რომ მოგვსპონ ჩვენ, უნდა მოსპონ მთელი გერმანიის მუშათა კლასი. დეე ისინი შეიპყრონ გააფთრებამ — ჩვენ გავიმარჯვებთ დევნისა და აკრძალვის მიუხედავათ“ (ადს).

კომპარტიის რიგები იზრდება

ბერლინი, 25 აგვისტო. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ბერლინში კომპარტიაში შევიდა 628 მუშა. 640 მუშა შევიდა ფაშიზმთან მებრძოლ კავშირში, სულ ორი კვირის განმავლობაში გერმანიის კომპარტიაში შევიდა 14.490 ახალი წევრი (ადს).

ეკონომიური კრიზისი ვრცელდება და ძლიერდება

გერმანია

გადასახადების შემოსავლა შემცირდა

ბერლინი, 25 აგვისტო. ცნობები გერმანიის საგადასახადო და საბაჟო შემოსავლის შესახებ ივლისში იძლევიან გერმანიის მძიმე ფინანსიური მდგომარეობის ნათელ სურათს, სულ გერმანიის ხაზინამ გადასახადების სახით ივლისში მიიღო 826.000 მარკა წინააღმდეგ 1.097.000 მარკისა 1930 წ. ივლისში (ადს).

ბრიუნინგი ზრუნავს მემამულეების შემოსავალზე

ბერლინი, 25 აგვისტო. პურის ფასი ბერლინში გაიზარდა 37-დან 48 პფენიგამდე კილოზე. ფასების ეს გადიდება პურზე იმ დროს, როცა პურის ფასი საერთაშორისო ბაზარზე კატასტროფიულად ეცემა, ნათლად ახასიათებს მემამულეთა ჯიბის მოგებას უზრუნველყოფის პოლიტიკას, რომელსაც ბრიუნინგის მთავრობა ატარებს (ადს).

„დარმშტეტერფოლკსბანკის“ გაკოტრება

ბერლინი, 25 აგვისტო. გაკოტრებულად გამოაცხადა თავი „დარმშტეტერფოლკსბანკმა“, რომელიც თვალსაჩინო როლს თამაშობდა. მთელი დარმშტადტის ოლქის მრეწველობასა და ვაჭრობაში (ადს).

სამხრეთ-სლავია.

ხურავენ უნივერსიტეტებს

ვენა, 25 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, ეკონომიის რეჟიმის გამტარებელმა სახელმწიფო კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირება 2 მილიარდი დოლარით (ბიუჯეტის 15 პროც.). დაადგინა მთლიანად შეწყვიტოს სახელმწიფო მშენებლობა, 12 პროცენტით შეამციროს მოსამსახურეთა ხელფასი და დახუროს ზოგიერთი უნივერსიტეტი (ადს).

კოალიციონური მთავრობა ინგლისში

ახალი მთავრობის შემადგენლობა

ლონდონი, 25 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ახალი კაბინეტი შესდგა ასეთი შემადგენლობით: პრემიერი—მაკდონალდი, საბჭოს ლორდი თავმჯდომარე—ბოლდუინი, ფინანსთა მინისტრი—სნოუდენი, შინაგან საქმეთა მინისტრი—სემუელი, ლორდ-კანცლერი—სენკი, საგარეო საქმეთა მინისტრი—რიდინგი, ინდოეთის საქმეთა მინისტრი—ხორი, დომინიონების და კოლონიების მინისტრი—ტომასი, ჯანმრთელობის მინისტრი—ნევილ ჩემბერლენი და ვაჭრობის მინისტრი—ლისტერი.



მაკდონალდი და სნოუდენი

—:—

რამ გამოიწვია მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 25 აგვისტო. „დეილი ჰერალდ“, რომელიც „ოპოზიციაში“ ჩაუდგა ნაციონალურ მთავრობას, შეუდგა ლეიბორისტული მთავრობის საიდუმლოებათა და მთავრობის კრიზისის ფარული მიზეზების მხილებას. გაზეთი გამოვიდა სენსაციური სათაურით, რომელშიც ნათქვამია, რომ „ეკონომიის პოლიტიკის უკან დგანან ამერიკელი ბანკირები, რომლებიც მოითხოვენ უმუშევრობის გამო დახმარების შემცირებას. „დეილი ჰერალდ“ სწერს, რომ ინგლისის ბანკის ერთი წარმომადგენელი ამჟამად იმყოფება ნიუ-იორკში და სარეზერვო ფედერალურ ბანკთან მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისისათვის ახალი კრედიტის მიცემის შესახებ. ინგლისის ბანკირებმა მოსთხოვეს ლეიბორისტულ მთავრობას უმუშევართა დახმარების ფონდის გადაჭრით შემცირება, როგორც ახალი კრედიტის მიღების სავალდებულო პირობა (ადს).

ამერიკელი ბანკირები კმაყოფილი არიან

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. გამოჩენილი ბანკირები კმაყოფილებას გამოსთქვამენ ინგლისში კოალიციონური მთავრობის შექმნის გამო და მიუთითებენ, რომ თუ ახალი მთავრობა მოისურვებს, მას შეუძლია დიდი სესხი მიიღოს ამერიკული ბანკებისაგან. (ადს).

შეშფოთება ერთა ლიგის წრეებში

პარიზი, 25 აგვისტო. ერთა-ლიგის წრეებში შეშფოთებული არიან ინგლისის მთავრობის გადადგომის გამო, ფიქრობენ, რომ ეს გარემოება, კერძოთ კი ჰენდერსონის წასვლა, კვლავ აყენებს საკითხს, თუ ვინ იქნება განიარაღების კონფერენციის თავმჯდომარე (ადს).

სამი პარტიის თანამშრომლობა მუშათა [illegible] წინააღმდეგ

ლონდონი, 25 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მაკდონალდი, ბოლდუინი, სემუელი და სნოუდენი მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული. მთავრობის შემადგენლობის საკითხში. ახალი მთავრობა იქნება არა კოალიციონური, არამედ „თანამშრომლობის მთავრობა“. მისი ერთად-ერთი მიზანი იქნება შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის მოგვარება. პარლამენტი მოწვეული იქნება 8 სექტემბერს და მასში შეტანილი იქნება წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებენ ხარჯების საგრძნობათ შემცირებას (ადს).

ბოლდუინის განცხადება

ლონდონი, 25 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება: კონსერვატორების ლიდერმა ბოლდუინმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „კრიზისი იმდენად სერიოზულია, რომ თვითეულის მოვალეობას შეადგენს დროებით დაივიწყოს პარტიული უთანხმოებანი და ითანამშრომლოს ერის ინტერესებისათვის. კონსერვატორები დასთანხმდნენ შევიდნენ მთავრობაში განსაზღვრული დროით. მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შემდეგ პარლამენტი, ალბათ, დათხოვნილი იქნება“ (ადს).

ახალი მთავრობის შემადგენლობა

ლონდონი, 25 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება: შემდეგი პირები შევიდნენ მთავრობაში, მაგრამ არ ითვლებიან სინკლერი, განათლების მინისტრი — მაკლენი, შოტლანდიის საქმეთა მინისტრი — კაბინეტის წევრებათ: ავიაციის მინისტრი—ამელრი, საზღვაო მინისტრი—ოსტინ ჩემბერლენი, შრომის მინისტრი— ბეტტერტონი, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი—ლორდ ლონდონდერი, ლანკასტერის საჰერცოგოს მინისტრი—მარკიზი ლოტიანი.



ჰენდერსონი და ტომასი

—:—

„ფორვერტს“ ამართლებს მაკდონალდს

ლონდონი, 25 აგვისტო. „ფორვერტს“ ცდილობს მაკდონალდის თანამშრომლობა კონსერვატორებთან და ლიბერალებთან გაამართლოს „ნაკლები ბოროტების“ გაცვეთილი თეორიით.

გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ მუშათა მთავრობის დაცემამ მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია. გაზეთი მოუწოდებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს რაც არ უნდა დაუჯდესთ—თავიდან აიცილონ განხეთქილება (ადს).

მშრომელი მასები

მისალმებანი კავკ. წითელდროშოვანი არმიის მებრძოლებს

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა მხურვალედ ესალმება მრავალეროვან, მაგრამ ერთი მისწრაფებით, ერთი სულით გამსჭვალულ კავკასიის წითელდროშოვან არმიის მებრძოლებს. მიმდინარე წლის მანევრები პირველი არ არის საბჭოთა საქართველოს მიწებზე. მებრძოლები ყოველთვის და ყოველგან ხვდებოდნენ სიყვარულს, პატივისცემას და აღფრთოვანებას მშრომელთა მხრივ, რომლებიც ამაყობდნენ თქვენი მიღწევებით, სულიერი მხნეობით, ისინი ამაყობდნენ იმით, რომ მათი შვილები წითელ არმიაში სწავლობენ, თუ როგორ დაიცვან მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლო.

კიდევ მეტის სიყვარულით შეგხვდებიან ისინი თქვენ მიმდინარე წელს; ვინაიდან მიღწევები საბრძოლო მომზადების საქმეში, სამხედრო ტეხნიკის დაუფლებაში, პოლიტიკური გამობრძმედილობის გაძლიერებაში და სხვ. წრეულს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

თქვენ სიამაყით შემოგყურებთ მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი მსოფლიოს მშრომელნი, იყავით ღირსნი წითელი არმიის საუკეთესო ტრადიციებისა და გმირული ბრძოლისა წარსულ სამოქალაქო ომში [illegible] და მსოფლიო კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ. ამზადეთ თქვენი რიგები უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს კავკასიის სახელოვან წითელდროშოვან არმიას!

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას და მის ბელადს ამხ. სტალინს!

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი
გაიოზ დევდარიანი.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოსაგან

ამიერ-კავკასიის პროფკავშირებში გაერთიანებულ 700 ათასიან მასის სახელით ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭო მხურვალე პროლეტარულ სალამს უძღვნის კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ყველა მებრძოლებს.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო გამოსთქვამს რწმენას, რომ წინა წლების მსგავსად ახლანდელი მანევრებიც იქნება არმიის ბრძოლის უნარიანობის და საერთო და პოლიტიკური სწავლების და ტეხნიკური ძლიერების ამაღლების საუკეთესო დემონსტრაცია. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არმიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია თავის სამხედრო მომზადებაში და მებრძოლების მოსამზადებლად დიადი სოციალისტური მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმისათვის.

მანევრების განუყრელი ნაწილი უნდა შეიქმნეს შესრულება თქვენი ხელშეკრულებისა ბაქოს პროლეტარიატთან.

ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი გადაუხრელად და გადაჭრით იბრძვის მრეწველობის ყველა გეგმიან დავალებათა შესასრულებლად, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებამბეობის დარგში, კოლმეურნეობებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისთვის. არმიამ კი უნდა მიაღწიოს მანევრების წარმატებით ჩატარებას და ამით დაგვანახვოს თავისი მზად ყოფნა საბჭოთა კავშირის დაცვისათვის იარაღით ხელში მუშათა კლასთან ერთად.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს ამხ. სტალინს.

გაუმარჯოს წითელი არმიის მებრძოლებს!

გაუმარჯოს მუშათა კლასს!



არტილერისტები ბანაკად

ბოლშევიკურად ჩავატაროთ მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

დამკვრელად აცხადებენ თავს გაწვევის უკეთ ჩასატარებლად

თბილისის მეოთხე და მეხუთე რაიონების გასაწვევთა კონფერენციამ მოისმინა წითელი არმიის წარმომადგენლის მოხსენება 1909 წ. გაწვევის ამოცანების შესახებ. კონფერენცია ესალმება სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ზრდას და საბჭოთა კავშირის შესვლას სოციალიზმის უშუალო მშენებლობის პერიოდში, კაპიტ. მსოფლიო, რომელიც მოქცეულია ეკონომიური კრიზისის ჩიხში იარაღს ლესავს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის წინააღმდეგ. იმპერიალისტების შეიარაღების ზრდა, მთელი ანტი ფრონტის შექმნის ცდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცალკე პროვოკაციული გამოსვლები სანაპირო კაპიტალისტურ ქვეყნების მხრივ და სხვ. მოწმობენ ომის საფრთხის ზრდას. მთელი საბჭოთა ქვეყანა მზად უნდა იყვეს პასუხი გასცეს თავგასულ იმპერიალისტებს,

კონფერენცია აღნიშნავს წითელი არმიის უდიდეს მიღწევებს სამხედრო ტეხნიკის და უფლების დარგში და მის ბრძოლის უნარიანობის ზრდას. თვითეული წვევამდელი, რომელიც წითელი არმიის რიგებში შედის, ვალდებულია მოამზადოს თავისი თავი. გაწვევა წარმატებით უნდა ჩატარდეს. კონფერენცია თავს დამკვრელად აცხადებს გაწვევის ჩატარებაში, გასაწვევ პუნქტებზე თავის დროზე გამოცხადებაში და სხვ.

კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება ქვეყნის შიგნით მოითხოვს წვევამდელებისაგან დიდ კლასობრივ სიფხიზლეს. კულაკს ადგილი არ უნდა ჰქონდეს წითელ არმიის რიგებში.

დამკვრელი ტემპები გაწვევის მომზადებაში!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წითელი არმია უძლეველია.

გაუმარჯოს გაწვევას წითელ ჯარში!

გაწვევისათვის მზადება — დამკვრელ ტემპებში

ბათუმი, 25 აგვისტო. იმ დროს, როდესაც აჭარისტანის სამხედრო კომისარიატმა დამკვრითი ტემპები განავითარა გაწვევისათვის მზადების საქმეში, მთელი რიგი დაწესებულებანი ჯერ კიდევ სამარცხვინოდ ჩამორჩენილი არიან. ჩამორჩენილთა შორის არიან აჭარმრეწვი და ნებაყოფლობითი საზოგადოებანი. საწარმოებთაგან უფრო ჩამორჩენილია ცინკის და ტყავის ქარხნები, ფეხსაცმელების და სამკერვალო ქარხნები. აქ სრულიად არ არის გაშლილი მუშაობა გასაწვევთა შორის. არ მუშაობენ აგრეთვე ცნობათა მაგიდებშიც.

ჩამორჩენას ადგილი აქვს კლასობრივად უცხო ელემენტების გამომჟღავნების საქმეშიც. ყველა აღნიშნული დეფექტები გამოარკვია გასაწვევთა კონფერენციაზე გამოყოფილმა ბრიგადამ. საჭიროა ჩამორჩენილი ორგანიზაციების დაუყოვნებლივ ამოძრავება (ადს).

მეთამბაქოების რაიონების კოლმეურნეთა შეკრება

ტარდება თამბაქოს ფრონტზე არსებულ გარღვევების სწრაფი ტემპებით ლიკვიდაციის ნიშნის ქვეშ

„ვიღებთ ჩვენს თავზე სრულ პასუხისმგებლობას—თამბაქოს მოსავლის აკრეფა ჩავატაროთ ისე, რომ არც ერთი ფოთოლი თამბაქო არ დაიკარგოს და არ გაფუჭდეს“

(ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეთა პატაკიდან)

რას სთქვა შეკრებამ

(ფოსტით ლაგოდეხიდან)

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს დამთავრდა აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოეთა რაიონების კოლმეურნეთა ბრიგადირების შეკრება, რომელიც მოწვეული იყო ლაგოდეხში.

მეთამბაქოეთა შეკრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1. თამბაქოს 1931 წლის გაზაფხულის თესვის შედეგები, თამბაქოს მოვლა-აღების კამპანია და თამბაქოს თესვის 1932 წლის გეგმის გაშლა; 2. შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში და მოსავლის განაწილება.

შეკრება გახსნა ლაგოდეხის პარტრაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. გ. [illegible], რომელმაც შეკრებას დაწვრილებით გააცნო პარტიის და ხელისუფლების ხაზი ტექნიკურ კულტურების და კერძოდ მეთამბაქოების გავრცელება-განვითარების დარგში.

შეკრებას მიესალმნენ ცენტრალური ორგანიზაციების წარმომადგენლები და მეთამბაქოების რაიონების დამკვრელი კოლმეურნეები.

— კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით და ხელმძღვანელობით განაცხადა კოლმეურნე ამხ. ნაცვლიშვილმა — ჩვენ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულეთ თამბაქოს თესვის გეგმა; ჩვენ მივიღებთ ყველა ზომებს იმისათვის, რომ დანიშნულ ვადებში დავამთავროთ თამბაქოს მოსავლის აღება და უზრუნველვყოთ თამბაქოს დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულება“.

მისალმებების დამთავრების და საქმიანი პრეზიდიუმის ამორჩევის შემდეგ შეკრებამ მოისმინა საქ. კოლმეურნცენტრის წარმომადგენლის ამხ. თავართქილაძის ვრცელი მოხსენება აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოების რაიონებში თესვის შედეგების, თამბაქოს დამუშავების და 1932 წლის გეგმის შესახებ.

გამოირკვა, რომ თამბაქოს თესვის გეგმა დროზე და გადაჭარბებით შეასრულა ლაგოდეხის რაიონმა, რომელმაც 2200 ჰექტარის ნაცვლად თამბაქოს თესვა ჩაატარა — 2242 ჰექტარზე, რაც გეგმის 103 პროცენტს შეადგენს. დანარჩენ რაიონებში თესვის გეგმები ვერ იქნა მთლიანად შესრულებული.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო თამბაქოს დამუშავების კამპანიის მიმდინარეობას; როგორც გამოირკვა, თამბაქოს პირველი გათოხნა დამთავრებულია აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონებში, რაც შეეხება თამბაქოს მეორე გათოხნას, იგი თითქმის არც ერთ რაიონში არ არის ჯერ-ჯერობით დამთავრებული. ასე მაგალითად სიღნაღის რაიონს თამბაქოს პლანტაციების მეორე გათოხნის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 45 პროცენტით.

როგორც ამხ. თავართქილაძის მოხსენებიდან გამოირკვა, უნუგეშო მდგომარეობაშია თამბაქოს საშრობი ფარდულების მშენებლობის საქმე. ასე მაგალითად, ლაგოდეხის რაიონს უნდა აეშენებია 634 თვალი ფარდული, აშენებულია მხოლოდ 92 ფარდული, ყვარლის რაიონს უნდა აეშენებინა 57 ფარდული, აშენებულია 17 ფარდული, ტელავის რაიონს უნდა აეშენებია 150 ფარდული, აშენა 20 ფარდული და სხვ.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თითქმის არსად არ აქცევენ სათანადო ყურადღებას თამბაქოს ფარდულების მშენებლობისათვის ადგილობრივი რესურსების და ფულადი სახსრების მობილიზაციას. გამოირკვა ისიც, რომ მეთამბაქოეთა რაიონებს დღემდე მთლიანად ვერ აუთვისებიათ და გამოუყენებიათ თამბაქოს ფარდულების მშენებლობისათვის გაღებული კრედიტები. ასე მაგ., დღემდე გამოუყენებელია 800.000 მანეთის კრედიტი, რომელიც უნდა მოხმარებოდა თამბაქოს ფარდულების მშენებლობას და სხვ.

ამხ. თავართქილაძის მოხსენების დამთავრების შემდეგ შეკრებამ დიდის ინტერესით და ყურადღებით მოისმინა ამხ. გოზაშვილის მეტად საინტერესო მოხსენება შრომის ორგანიზაციის და 1931 წლის მოსავლის და შემოსავლის განაწილების ჩატარების შესახებ. მომხსენებელმა ამომწურავად გააცნო შეკრებას კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის და მოსავლის განაწილების ყველა ძირითადი საკითხები საქ. კოლმეურნცენტრის და მიწსახკომის დადგენილებათა საფუძველზე.

შრომის ორგანიზაციის და მოსავლის განაწილების საკითხებს ირგვლივ კოლმეურნეებმა და ბრიგადირებმა მომხსენებელს მისცეს 70 შეკითხვა. გარდა ამისა, კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღო დამსწრე ყველა რაიონების კოლმეურნეებმა.

ადგილებიდან მოსულ ამხანაგებმა აღნიშნეს ის დამახინჯებანი და ნაკლოვანებანი, რომელსაც ადგილი აქვს კოლმეურნეობებში. აღინიშნა, რომ თამბაქოს დამუშავების და მოკრეფის სამუშაოთა დროზე დამთავრებას აფერხებს სანარდო სისტემის ფაქტიურად გაუტარებლობა. კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომის აღრიცხვა ყველგან არ არის აღრიცხული, გარდა ამისა კულაკების გავლენით ჯერ კიდევ აქვს ადგილი გამომუშავების მცირე ნორმების დაწესებას, რაც ძალზე ცუდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. არ ტარდება ისეთი ღონისძიებანი, რომელიც დაინტერესებდა თვითეულ კოლმეურნეს შრომის შედეგებით. დახარჯული შრომა-დღე კოლმეურნეებს ლაგოდეხის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ეწერებათ არა გაწეული შრომის რაოდენობის და ხარისხის, არამედ საათობის მიხედვით.

კოლმეურნეებმა და ბრიგადირებმა აღნიშნეს ისიც, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ზოგან ძლიერდება მოსავლის და შემოსავლის სულადობის მიხედვით განაწილების ტენდენციები, რაც გამოწვეულია იმით, რომ საკმაო ყურადღება არ ექცევა „გათანაბრებების“ კულაკური პრაქტიკის წინააღმდეგ სისტემატიურ და დაუზოგავ ბრძოლას.

დამკვრელ კოლმეურნეებმა და ბრიგადირებმა მტკიცე სიტყვა დასდეს, რომ ისინი პარტიის და ხელისუფლების მითითებების საფუძველზე მიიღებენ ყველა ზომებს კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციულად განმტკიცებისათვის, სანარდო სისტემის მთლიანად გატარებისათვის, მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილებისათვის, კოლმეურნეობებში ღარიბი და საშუალო გლეხთა ახალი მასების ჩაბმისათვის და კულაკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებისათვის.

დამკვრელი კოლმეურნეები განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდნენ თამბაქოს ნათესი ფართობის გადიდებას 1932 წლისათვის:

— ჩვენ, — აცხადებენ კოლმეურნეები— კულაკები, მენშევიკები და ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები ხელს გვიშლიან ტეხნიკური კულტურების გავრცელების საქმეში, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ტეხნიკური კულტურების განვითარება ჩვენი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობას აძლიერებს — ვიბრძოდით და მომავალშიაც ვიბრძოლებთ ტეხნიკური კულტურების და კერძოდ თამბაქოს გავრცელების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის“—ო.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეებმა შეკრებას გადასცეს პატაკი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი აყენებენ თამბაქოს თესვის შემხვედრ გეგმას 5500 ჰექტარის რაოდენობით და კისრულობენ საზოგადოებრივ ბუქსირზე აიყვანონ თამბაქოს დამუშავება - აკრეფის საქმეში ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. გარდა ამისა ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეები თავის-თავზე იღებენ ვალდებულებას პარტიის და ხელისუფლების სადირექტივო ორგანოთა მიერ დაწესებულ ვადებში დაამთავრონ თამბაქოს თესვა - გადარჩევა 1932 წლისათვის და ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოების რაიონების ყველა კოლმეურნეობებს.

ორი დღის ნაყოფიერი და აქტიური მუშაობის შემდეგ შეკრება გაიშალა იმ მტკიცე რწმენით, რომ გარღვევები თამბაქოს კამპანიის ზოგიერთ დარგებში უახლოეს ვადაში ლიკვიდაციქმნილი იქნება და აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოების რაიონები დროზე და მთლიანად შეასრულებენ სახელმწიფოსათვის საუკეთესო ხარისხის ჩაბარების და თამბაქოს 1932 წლის თესვის გეგმებს.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეთა პატაკი

აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოების კოლმეურნეთა პირველ შეკრებას

ლენინურ - კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით და მისი გენერალური ხაზის სწორად გატარების საფუძველზე, ორ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერების ნიშნის ქვეშ მიმდინარე წლის საგაზაფხულო სას. - სამ. კამპანიის პერიოდში ლაგოდეხის რაიონს აქვს თვალსაჩინო მიღწევები სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. 1931 წ. 1 იანვრისათვის კოლექტივებში გაერთიანებული იყო 2075 მეურნე, რაც შეადგენდა მთელი მოსახლეობის 31 პროც., ხოლო 1931 წლის 1 ივლისისათვის გაერთიანებული იყო 5.230 კომლი ანუ მთელი მოსახლეობის 77 პროც.

ღარიბი და საშუალო გლეხობის კოლმეურნეობებისაკენ მობრუნებასთან ერთად ჩვენ გვაქვს უტყუარი და პრაქტიკის მიერ დადასტურებული ფაქტები განსაზოგადოებული შრომის უპირატესობისა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ნათესი თვითეულ კოლმეურნეზე უდრის 2,7 ჰექტარს, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეზე მოდის არა უმეტეს 2 ჰექტარისა.

მიმდინარე წლიდან ჩვენი კოლმეურნეობანი ისახავენ მიზნათ სოციალისტური შრომის ფორმების—სოც. შეჯიბრების, დამკვრელობის და საზოგადოებრივი ბუქსირის უფრო ფართოდ გამოყენებით ისე ჩაატარონ 1931 წ. საშემოდგომო და 1932 წ. საგაზაფხულო სას. - სამ. კამპანიები, რომ ნათესი ფართობი თვითეულ კოლმეურნეზე უდრიდეს 3 ჰექტარს.

ლაგოდეხის რაიონის ნიადაგი და კლიმატიური პირობები, რომელიც საშუალებას იძლევიან ტეხნიკური კულტურების უმთავრესად თამბაქოს განვითარებისათვის, წარსულში და მენშევიკების ბატონობის პერიოდში არ იყო გამოყენებული. ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს ფართობი ცარიზმის დროს არასოდეს არ ყოფილა 1.100 ჰექტარზე მეტი; მენშევიკების დროს კი თამბაქოს ნათესის არემ 450 ჰექტარით დაიკლო კიდეც. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი თამბაქოს ფართობის ყოველწლიური ზრდა და 1931 წ. ბოლშევიკური საგაზაფხულო კამპანიის პერიოდში თამბაქოს ფართობი გადიდებულ იქნა 2.300 ჰექტარამდე.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობანი მტკიცედ იცავენ ხელმძღვანელ პარტიული ორგანოების დირექტივას, ტეხნიკური კულტურების განვითარების შესახებ. თამბაქოს თესვის მოცემული გეგმა მიმდინარე გაზაფხულზე შესრულებულ იქნა ასი ჰექტარის გადაჭარბებით. პირველი თოხნა დამთავრებულია კოლმეურნეობებში 100 პროც.-ით და მეორე 97 პროცენტით. თამბაქოს სახმობების მშენებლობა დამთავრებულ იქნება 1 სექტემბრისათვის. თამბაქოს პირველი მეტეხა ჩატარებულია 80 პროცენტით. მეორე 30 პროც. ამავე დროს ვიღებთ ჩვენს თავზე სრულ პასუხისმგებლობას თამბაქოს მოსავლის აკრეფა ჩავატაროთ ისე, რომ არც ერთი ფოთოლი თამბაქო არ იქნეს დაკარგული და გაფუჭებული.

1932 წ. საკონტროლო ციფრს, რომელიც ითვალისწინებს თამბაქოს ფართობის აყვანას ჩვენს რაიონში 5.000 ჰექტარამდე, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობანი ვღებულობთ და შემხვედრ გეგმის საფუძველზე უმატებთ დავალებას ხუთას ჰექტარს და ვკისრულობთ თესვის ვადაზე დამთავრებას.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ საკოლმეურნ. მშენებლობის დარგში მიღწეული შედეგების შენარჩუნება და საწარ. გეგმების შესრულება შეუძლებელია სანარდო სისტემის ფაქტიურად გატარების გარეშე. ჩვენს რაიონში სანარდო სისტემა ძირითადად გატარებულია ყველა კოლმეურნეობებში. მხოლოდ მისი განმტკიცებისათვის ჩვენ ვიყვანთ საზოგადოებრივ ბუქსირზე ყველა ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

თამბაქოს მოსავლის აკრეფის 1931 წ. ნარგავების დამუშავების და 1932 წ. საკონტროლო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის ჩვენ სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კოლმეურნეობებს და ვავალებთ ჩვენს რაიკავშირს ორი კვირის განმავლობაში გააფორმოს ამ რაიონებთან ხელშეკრულებები.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და კოლმეურნე ქალებს მაღლა ასწიონ სოციალიზმის მშენებლობის დროშა და კომპარტიის ცეკას გენერალური ხაზის მტკიცედ დაცვის საფუძველზე, გმირულად იბრძოლონ ტეხნიკური კულტურების გავრცელების, საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლის და კულაკური წინააღმდეგობის საბოლოოდ დამსხვრევისათვის.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ნაცად ბელადს ამხ. სტალინს!

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრები

მხურვალედ ესალმებიან კავკასიის წითელდროშოვან არმიას

მუშები აღფრთოვანებით ეგებებიან სოციალისტური მშენებლობის ერთგულ გუშაგებს

სტალინისი, 26 აგვისტო. მანევრების რაიონების მუშები და გლეხები დიდის ენტუზიაზმით ხვდებიან კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებს.

მთელ რიგ საწარმოების მუშებმა, კერძოთ დეპოს მუშებმა იკისრეს ორი ორთქლმავლის გამოშვება ვადაზე ადრე. საწარმოებში ხდება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სახელობის ბრიგადების გამოყოფა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის დასაჩქარებლად.

მანევრების მთავარი ხელმძღვანელობის შტაბში მოვიდა რკინისგზელთა დელეგაცია, რომელმაც ამხ. სმოლინსკის გადასცა პატაკი და მისალმება წითელი მებრძოლებისადმი.

პატაკში ნათქვამია: „**ჩვენ ენთუზიასტი დამკვრელი მუშები მზად ვართ ყოველმხრივ დახმარება აღმოუჩინოთ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებს. ჩვენი პასუხი იქნება საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება. სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლით, მუშაობის მოწყობით ახალ წესზე ამხ. სტალინის მითითების თანახმად, ჩვენ უზრუნველვყოფთ გამარჯვებას. მუშა-დამკვრელები უძლეველ წითელ-არმიასთან ერთად აცხადებენ: ნებას არ მივსცემთ ბურჟუაზიას დაგვიბრუნოს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი. ჩვენ მუდამ მზად ვართ პროლეტარიატის დიქტატურის დასაცავად**“.



[illegible] გადაცემა [illegible]

კოლმეურნეობები და სოფლები, სადაც უნდა გაიარონ მანევრებზე ჩამოსულმა ნაწილებმა, ამზადებენ საზეიმო შეხვედრას. მანევრების აღსანიშნავად კოლმეურნეობები კისრულობენ პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებას, ზუსტი აღრიცხვისა და სანარდო მუშაობის შემოღებას (ადს).

მუშათა და კოლმეურნეთა მიტინგი წითელდროშოვანი არმიის მანევრებში მონაწილეებთან

სტალინისი, 25 აგვისტო. 24 აგვისტოს საღამოთი გამართა სტალინისის რაიონის [illegible] კოლმეურნეთა მიტინგი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის იმ ნაწილებთან ერთად, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მანევრებში. ეს იყო კავკასიის მშრომელებთან არმიის მტკიცე ინტერნაციონალური შემჭიდროების მიტინგი, არმიის მაღალი საბრძოლო უნარის მიტინგი, ინტერვენტებისაგან საბჭოთა კავშირის დაცვისათვის მშრომელი მასების საბრძოლო მზადყოფნის მიტინგი. მიტინგი გახსნა პარტიის რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. გულბანმა. შესავალ სიტყვაში იგი დაწვრილებით შეჩერდა რაიონის მუშებისა და კოლმეურნეების ამოცანებზე კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრებთან დაკავშირებით.

„პროლეტარიატი დიდი ენტუზიაზმით ხვდება კავკასიის წითელდროშოვან არმიას, მშვიდობიანი შრომისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის დასაყრდენს. ორი სისტემის ბრძოლა, ბრძოლა გაზრდილ სოციალიზმსა და გახრწნილ კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის ჩვენს წინაშე სახავს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცების ამოცანას. ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ოთხ წელიწადში, გოლიათების „518“-ის და „1.040“-ის თავის დროზე ამუშავება თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების მთავარ პირობას წარმოადგენს. ამხანაგო მუშებო და კოლმეურნეებო! იყავით მზად წითელ არმიასთან ერთად ახალი ბრძოლებისათვის, ახალი გამარჯვებებისათვის!“.

ტრიბუნაზე ადის არმიის სარდალი ამხ. ფედკო, იგი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო რევოლუციონური საბჭოს სახელით მხურვალედ ესალმება რაიონის მუშათა კლასს და მშრომელებს.

„მანევრები,—ამბობს იგი,—ცხადჰყოფენ წითელი არმიის საბრძოლო სიძლიერეს საერთაშორისო მებრძოლი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის ემზადება. იმპერიალისტებს განზრახული ჰქონდათ ჩვენს წინააღმდეგ ომის დაწყება 1930 და 1931 წელს, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ეს. სოციალიზმის სწრაფმა ზრდამ ჩვენს ქვეყანაში, წითელი არმიის მაღალმა საბრძოლო უნარმა, წინააღმდეგობათა გამწვავებამ გამარჯვებულ ქვეყნებსა და დამარცხებულ ქვეყნებს შორის, წინააღმდეგობათა გამწვავებამ მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის გასაღების და ნედლეულის ბაზრებისათვის, კლასობრივი ბრძოლის გაღრმავებამ კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ზრდამ კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში,—ამ წინააღმდეგობებმა საშუალება არ მისცეს იმპერიალისტურ მტაცებლებს აღემართათ მახვილი სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინტერვენციის საფრთხე აღარ არსებობს. კაპიტალისტური მსოფლიო გამოსავალს კრიზისიდან ეძებს ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ კაპიტალისტური მეურნეობის ისეთ დარგს, რომელიც კრიზისს არ განიცდის, წარმოადგენს სამხედრო მრეწველობა. ჩვენს ამოცანას შეადგენს—განვამტკიცოთ წითელი არმიის საბრძოლო უნარი და მით გავუტეხოთ ხერხემალი კლასობრივ მტრებს, რომლებიც ამზადებას აწარმოებენ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცებას!“.

შემდეგ გამოვიდნენ ამხ. გოგოლაძე — რაიპარტკომიდან, ამხ. აბასაშვილი—დეპოდან, ამხ. გელაშვილი—კომკავშირიდან, ამხ. მჭედლიშვილი—ტრანსპორტის მუშებიდან, ამხ. დემეტრაძე—წითელარმიელებიდან, ამხ. ჯანკვეტაძე—ელექტროფიკაციის მუშებიდან, ამხ. მარგველაშვილი—პროფკავშირებიდან, ამხ. ფიქსანი—ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშებიდან, ამხ. რიონიშვილი—პიონერთა ორგანიზაციიდან და ამხ. ფურცელაძე—წითელ არმიელებიდან. ორატორები თავიანთ პატაკში არწმუნებდნენ კავკასიის წითელდროშოვან არმიას, რომ ისინი ბოლშევიკურად შეასრულებენ სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს და წითელ არმიასთან ერთად იბრძოლებენ ომის ორგანიზატორების, ინტერვენტების წინააღმდეგ.

ტრიბუნაზე [illegible]

ტრიბუნაზე ადის სამხედრო რევოლუციონური საბჭოს წევრი ამხ. იპპო: „ამხანაგებო, ჩვენ აქ მოვისმინეთ მოხსენებანი და მუშათა პატაკები. რას მოწმობენ ეს მოხსენებები, ეს პატაკები? ისინი მოწმობენ უდიდეს მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, რომლებიც პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ და გადაჭრით გატარების შედეგია. ისინი მოწმობენ იმას, რომ მუშები და კოლმეურნეები წარმატებით ამთავრებენ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს და მით ამაგრებენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარს, ისინი მოწმობენ იმას, რომ საჭირო მომენტში მშრომელი მასები მტკიცედ ჩადგებიან წითელი არმიის რიგებში და თავდადებით დაიცავენ ოქტომბრის მონაპოვარს. მუშათა კლასის და წითელი არმიის ეს კავშირი, ეს კლასობრივი მთლიანობა თავდებია ჩვენი გამარჯვებისა მომავალ ბრძოლებში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის (ადს).

შეკრება აფხაზეთში

სოხუმი, 26 აგვისტო. 25 აგვისტოს, საღამოს გაიხსნა დამკვრელ მეთამბაქოე კოლმეურნეთა შეკრება.

შეკრებამ საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია ამხ. ამხ. სტალინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, რუძუტაკი, ქართველიშვილი, კიროვი, ანდრეევი, იაკოვლევი, მახარაძე ორახელაშვილი და პოლონსკი.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულია მამულია, სუხიშვილი, დევდარიანი, ლაკობა, ლადარია, ავისი, წულუკიძე, ჩალხვანი, ხუხუა, ელენტი და სხვა.

პირველ სხდომაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის მიწსახკომი, ჩალმაზა და ა.-კ. კოლმეურნცენტრის წარმომადგენელი ხუხუა, რომლებმაც აღნიშნეს მეთამბაქოე კოლმეურნეთა შეკრების მიზანი და ამოცანები.

შეკრებაზე დამსწრეთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გუდაუთის რაიონის სოფ. მუგუზიახვის ღარიბ საშუალო გლეხების მიერ გამოგზავნილ დელეგატების გამოსვლამ, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ახალი კოლმეურნეობა.

შეკრების მისალმება

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკა ამხ. მამულიას. საქ. სახკომსაბჭოს, კოლმეურნცენტრს და გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას!

ბაღდათის და დიმის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეთა შეკრების მონაწილენი მხურვალეთ მოგესალმებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება და ღარიბ-საშუალო გლეხობის კეთილდღეობა დამოკიდებულია მხოლოდ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაზე, მისი კოლექტიური გზით წარმართვაზე.

საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევები, საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულების, ნათესების ფართობის გადიდების და კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების დარგში.

კულაკები და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ხელი შეგვიშალონ კოლმეურნეობის განმტკიცების საქმეში; მაგრამ ჩვენ, კოლმეურნეები, ღარიბი და საშუალო გლეხები, თქვენი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, საბოლოოდ გავსტეხთ კულაკობის წინააღმდეგობას, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებით განვამტკიცებთ კოლმეურნეობებს და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანთ სოციალისტურ შეჯიბრებას და დამკვრელობას.

ჩვენ დაუნდობლად აღვკვეთავთ ყოველგვარ დამახინჯებებს და გადახვევებს პარტიის გენერალური ხაზიდან და „ხვალინდელ კოლმეურნეებთან“ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანიის წარმოებით სრული ნებაყოფლობითი პრინციპის საფუძველზე, კოლმეურნეობის კიდევ უფრო განმტკიცებით და მის გარშემო ღარიბ - საშუალო გლეხობის დარაზმვით დავაჩქარებთ მთლიან კოლექტივიზაციას და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის.

შევუქმნათ მრეწველობას ქვანახშირის მძლავრი ბაზა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ქვანახშირის და კოქსის რესურსების გადიდების შესახებ,—დადგენილება, რომელიც სოციალისტური მრეწველობისათვის ქვანახშირის მძლავრი ბაზის შექმნის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს, „მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასის და მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღებას მიაპყრობს ქვანახშირის ფრონტისაკენ. ამჟამად ქვანახშირის ფრონტზე ჩაღდება ბრძოლა, რომელიც გადასწყვეტს ჩვენი შემდგომი წინსვლის ბედს.

ხუთწლედის მესამე წელს ჩვენ ამოვიღებთ 50 მილიონ ტონა ქვანახშირს, ეს 6,2 მილიონი ტონით გადააჭარბებს რუსეთის ქვანახშირის კაპიტალისტური მრეწველობის 1913 წლის ამოღებას. 1930 წელს ჩვენ ამოვიღეთ 48 მილიონი ტონა ქვანახშირი. წლის ამოღება ქვანახშირის ყველა ბასეინში, განსაკუთრებით კუზნეცკის ბასეინში და ურალში, საგრძნობლად გადააჭარბებს შარშანდელ ამოღებას.

სამეურნეო მუშაობის სოციალისტურმა მეთოდებმა როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ისე ქვანახშირის დარგშიც გვიჩვენეს უდავო უპირატესობა კაპიტალისტურ მეთოდებთან შედარებით. ჩვენ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს გავუსწარით ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ტემპებში, მაგრამ ჯერ კიდევ დიდად ჩამოვრჩებით მათ ყოველწლიურ ქვანახშირის ამოღების დონის, მასის მხრით. ჩვენ ჩამოვრჩებით ინგლისს და გერმანიას, თვითეული მათგანი იღებს 250 მილიონ ტონას. უფრო მეტად ჩამოვრჩებით ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების რესპუბლიკას, რომელიც 500 მილიონ ტონას იღებს (ციფრები დამრგვალებულია და ეკუთვნის კრიზისის წინა პერიოდს). საბჭოთა კავშირს ქვანახშირის ამოღების მხრით მეხუთე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მემარჯვენე ოპოზიცია მოითხოვდა ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ტემპების შენელებას. ეს არსებითად წარმოადგენდა კლასობრივი მტრების დაკვეთას, რომლებიც პირდაპირ გულში უმიზნებდნენ სოციალისტურ მშენებლობას. პარტიამ აღშფოთებით უარჰყო მემარჯვენე ოპოზიციის ლიკვიდატორობა და დაიწყო გადამწყვეტი შეტევა ქვანახშირის ფრონტზე. პარტიამ უკუაგდო სიძნელეებით დაშინებული კაპიტალისტების „პარაგენული“ შეხედულებანი და თავისი პრაქტიკული მუშაობის დღის წესრიგში გაბედულად დასახა ამოცანა—„დავეწიოთ და გავუსწროთ“ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მაგრამ ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ტემპები დღემდე ჩამორჩებიან სახალხო მეურნეობის საერთო ზრდას. ქვანახშირი ესლავე წარმოადგენს მეტალურგიის და ტრანსპორტის ვიწრო ადგილს, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 1933 წელს ჩვენმა ქვეყანამ უნდა დაამზადოს 17 მილიონი ტონა თუჯი.

ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენა რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა დავძლიოთ, რაც შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი მაღაროების საწარმოო სიმძლავრის სრული გამოყენებით და ახალი მაღაროების მშენებლობის ფართოდ გაშლით.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით განზრახულია ახალი მაღაროების მშენებლობის ბუმბერაზული გაშლა.

მორიგი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველნაირად განვავითაროთ ქვანახშირის ამოღება მომქმედ მაღაროებში, გავთხაროთ ახალი მაღაროები და ამის მიხედვით გავაფართოოთ ქვანახშირის მრეწველობის ტექნიკური ბაზა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ამ საქმეში საჭირო შედეგებს, მით უფრო, რომ ქვანახშირის მრეწველობის მექანიზაცია დღემდე უმთავრესად ეყრდნობოდა უცხოეთის მოწყობილობას. ქვანახშირის მრეწველობის მძლავრი მექანიზებული ბაზის შექმნა უეჭველად მოითხოვს სამთო მოწყობილობის მძლავრი საკუთარი მრეწველობის შექმნას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ავალებს სამეურნეო ორგანიზაციებს—გამოჰყონ მთელი რიგი ქარხნები მხოლოდ სამთო-საქარხნო მოწყობილობისათვის, ამ თავითვე გადაწყვეტილად ჩაითვალონ 5 ახალი ქარხნის აგება მომავალ წელს და დააწესონ სამთო მოწყობილობის 10 ახალი ქარხნის და საამქროების აშენების მტკიცე ვადები. მომავალი წლის ამ ინდუსტრიალურმა განვითარებამ საბჭოთა კავშირის მაღაროებს უნდა მიაწოდოს ისეთი რაოდენობის მჭრელი მანქანები, ლითონის ჩაქუჩები, კონვეიერები, კომპრესორები და სხვა მოწყობილობა, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის განზრახულ სწრაფ ზრდას, რომელიც ქვანახშირის ამოღების ყველა პროცესების მექანიზაციის საშუალებას მოგვცემს.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ახალ ნაბიჯს სდგამს საბჭოთა კავშირის ქვანახშირის ახალი ბასეინების ათვისებაში, რომელიც დასახა პარტიის მე-16 ყრილობამ. ამასთან გადაწყდა — დაუყოვნებლივ დაიწყოს კარაგანდის ქვანახშირის საბადოების ბაზის — საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მესამე მძლავრი ბაზის — შექმნა. კარაგანდაში არის საუცხოვო ხარისხის ქვანახშირის დიდძალი მარაგი. იგი მდებარეობს ყაზახსტანის ცენტრში, სპილენძის და რკინის მადნის მძლავრი საბადოების მახლობლად. რკინის გზა უკვე აკავშირებს მას ურალთან, რომლისაგანაც კარაგანდა ორჯერ უფრო ნაკლები მანძილით არის დაშორებული, ვიდრე ის ოლქი, რომელიც ურალს ჰკვებავს. კარაგანდის ქვანახშირის ბასეინის გაშლა დიდად შეუწყობს ხელს შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარებას შუა აზიასა და ურალში.

მარტო კარაგანდის განვითარებით ყაზახსტანის მეურნეობა ისეთი ტემპით განვითარდება, როგორიც შეჰფერის ამ დაულეველი სიმდიდრით აღჭურვილ მხარეს.

ცენტრალური კომიტეტი უდიდეს ამოცანებს უსახავს საბჭოთა კავშირის ქვანახშირის დანარჩენ ბასეინებსაც. ახალი მაღაროების მშენებლობის დასახული ფართო პროგრამის შესრულება მოითხოვს იმ ორგანიზაციების გადაჭრით განმტკიცებას, რომლებიც მაღაროების მშენებლობას განაგებენ. ჩვენმა ქვეყანამ ისეთივე ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს ქვანახშირის მრეწველობის ახალი მშენებლობათა მიმართ, როგორიც მან გამოიჩინა მეტალურგიისა და ქიმიის ახალ მშენებლობათა მიმართ. პარტია არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ მოკლე ხანში მოუღოს ბოლო ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენას. დიდძალი სახსრები ხმარდება ახალი მაღაროების მშენებლობას. მოხდა მრეწველობის ყველა დარგების მობილიზაცია დონბასის, კუზნეცკის და ქვანახშირის სხვა ბასეინების უზრუნველსაყოფად ყოველგვარი საჭირო მასალით. კოლმეურნეობანი მაღაროებს ათი ათასობით მისცემენ მუშას, კვლავ ძლიერდება მუშებისა და საინჟინერო - ტექნიკური პერსონალის მომარაგება სურსათით და საქონლით ქვანახშირის ბაზებზე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქვანახშირის რაიონებისათვის მატერიალური და კულტურული სამსახურის გაუმჯობესება მჭიდროთ არის დაკავშირებული მაღაროელთა შრომის ნაყოფიერების აწევასთან. საბინაო მშენებლობის პროგრამა აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ქვანახშირის ამოღებაში გადამწყვეტი გარდატეხის მოსახდენად ყველა პირობები მოგვეპოვება. ქვანახშირის ბასეინების კომუნისტებმა, კომკავშირლებმა და ქვანახშირის მრეწველობის მთელმა არმიამ უნდა გამოიყენონ ეს პირობები და შეასრულონ მიმდინარე წლის გეგმა — ფართოდ გაშალონ მაღაროების მშენებლობა და უზრუნველჰყონ ქვანახშირის პრობლემის უმოკლეს ვადაში გადაჭრა.

„პრავდა“, 25 აგვისტო.

მოსკოვში შესდგა წითელი არმიის ცხენოსანი ნაწილების შეჯიბრება. სურათზე: ამხ. ენუქიძე და ბუდიონი ესალმებიან შეჯიბრების მონაწილეებს.

1931 წლის მეორე კვარტალისა და წლის პირველ ნახევარში

პარტორგანიზაციების ზრდის შედეგების შესახებ

(ა-კ. სამხარეო კომიტეტის საბიუროს დადგენილება)

I

ამიერ - კავკასიის პარტორგანიზაციების ზრდის შედეგები 1931 წლის მეორე კვარტალისა და წლის პირველი ნახევრისათვის მოწმობენ პარტიისაკენ მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების მისწრაფების განუწყვეტლივ გაძლიერებას და ხარისხობრივი შემადგენლობის ერთგვარ გაუმჯობესებას, რისაც ადასტურებენ შემდეგი ცნობები:

ა) 1931 წლის პირველი ნახევრისათვის პარტიაში მიღებულია 23.881 კაცი, ამათგან მუშა წარმოებიდან, მოჯამაგირე და სახოფ.-სამეურნეო მუშა არის 15.290 კაცი (1930 წლის განმავლობაში მიღებულია 22.675 კაცი) მეორე კვარტალში გაიზარდა წარმოების მუშათა და მოჯამაგირეთა ხვედრითი წონა საერთო მიღებაში (60,5 პროცენტი 1-ლ კვარტალში, 68,6 პროც. მეორე კვარტალში).

პარტიაში მიღებულ მუშათა შორის დიდ უმრავლესობას შეადგენენ დამკვრელი მუშები (აზერბეიჯანში 90,4 პროც., საქართველოში — 89,8 პროც.; სომხეთში—67,2 პროც.).

ბ) პარტიაში მიღებულ იქნა 6.758 გლეხი (მთელ 1930 წლის განმავლობაში კი მიღებული იყო 4.281 კაცი), ამათგან 5.480 კოლმეურნე, რაც მიღებულ გლეხების საერთო რიცხვის 81 პროცენტს შეადგენს;

გ) მიღწეულია საგრძნობი გარდატეხა პარტიაში ქალების მიღების ხაზით, წლის პირველ ნახევარში პარტიაში მიღებულია 3.201 ქალი, ანუ მიღებულთა საერთო რიცხვის 13,3 პროცენტი (მთელი 1930 წლის განმავლობაში მიღებული იყო 2.003 ქალი, ანუ 8,9 პროცენტი). ამრიგად შესრულებულია სამხარეო კომიტეტის დირექტივა პარტიაში მიღებულ ქალების რიცხვის 12 პროცენტამდე აყვანის შესახებ, რის გამო ქალების ზრდა მთელი პარტორგანიზაციის შემადგენლობაში 6,4 პროცენტიდან (1931 წლის 1 იანვრისათვის) გაიზარდა 8,1 პროცენტამდე (1931 წლის 1 ივლისისათვის).

დ) მიღებულთა შემადგენლობაში ამიერ-კავკასიის მკვიდრ ეროვნებათა ხვედრითი წონის შემდგომ ზრდასთან ერთად განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პარტორგანიზაციების ზრდის გაუმჯობესება თურქი ქალების ხარჯზე (25,2 პროცენტი, წინააღმდეგ 21 პროცენტისა 1930 წელს).

II.

ამასთან ა-კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს, რომ წლის პირველ ნახევარში არ არის მიღწეული მიღებულთა შემადგენლობის ხარისხოვანი გაუმჯობესება, არ არის შესრულებული სამხარეო კომიტეტის დირექტივა მიღებაში წარმოების მუშათა და მოჯამაგირეთა ხვედრითი წონის შესახებ (აზერბეიჯანში არა ნაკლებ 85 პროცენტისა, საქართველოში 80 პროც., აზერბეიჯანში მიღებულთა შორის წარმოების მუშები და მოჯამაგირეები შეადგენენ 65,6 პროცენტს, საქართველოში — 67.6 პროცენტს).

მიუხედავათ ერთგვარი გარდატეხისა და ყურადღების საერთო გაძლიერებისა პარტიაში მიღების და პარტორგანიზაციების ზრდის მოწესრიგების საკითხებისადმი ცენტრალური კომიტეტების მხრივ, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 6 მარტის და ა-კ. სამხარეო კომიტეტის 1931 წ. 29 მარტის და 27 აპრილის გადაწყვეტილებანი ჯერ კიდევ არ არის დაყვანილი პარტორგანიზაციების ქვედა საფეხურის რგოლამდე, რის გამო არ არის მიღწეული გადამწყვეტი გარდატეხა პარტიაში მიღებისათვის წარმოებული მთელი მუშაობის გაუმჯობესებაში, რომლის გარეშე შეუძლებელია ამ გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა.

არ არის შესრულებული სამხარეო კომიტეტის დირექტივა აღმზრდელობითი მუშაობაში ყველა კანდიდატების ჩაბმის და უპირატესად აქტიურ მუშაობის შესახებ.

III.

ამის გამო, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი გადაჭრით სახავს ყველა ორგანიზაციების წინაშე ამოცანას—განმტკიცდეს მიღებულთა შემადგენლობაში პროლეტარული ბირთვის გადიდების მხრით დაწყებული გარდატეხა, მიაღწიონ გარდატეხას 1931 წლის მესამე კვარტალში და მით შეასრულონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივა იმის შესახებ, რომ წარმოების მუშები 1931 წლის დამლევისათვის ორგანიზაციაში შეადგენენ 50 პროცენტს მაინც.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი წინადადებას აძლევს ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და რაიონულ ორგანიზაციებს ფართოდ დაამუშაონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებანი ზრდის შესახებ, დაიყვანონ ისინი ორგანიზაციის ყოველ წევრამდე და იბრძოლონ იმისათვის, რომ შესრულდეს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივა მუშაობის საამქროში, ბრიგადაში და სხ. გატანის შესახებ.

ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა პარტიაში წარმოების მუშების, მოჯამაგირეების და სახოფლო-სამეურნეო მუშების მიღების გასაძლიერებლად მესამე კვარტალში გაუწიონ სპეციალური მეთვალყურეობა, ხელმძღვანელობა და დახმარება უფრო მსხვილ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და რესპუბლიკების კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტების კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებებმა შეასრულონ სამხარეო კომიტეტის დირექტივა უპარტიო აქტიურ მუშაობის შესახებ და უზრუნველჰყონ უპარტიო აქტივის ჩაბმა პარტგანათლების ქსელში და სისტემატიური მუშაობა მასთან (საზოგადოებრივი დატვირთვა, საუბრების ჩატარება და სხ.).

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და რესპუბლიკების კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტების კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებებმა უზრუნველჰყონ ყველა კანდიდატების სწავლება მოკლევადიანი კურსების სპეციალურად მოწყობილი ქსელით და ამ მიზნისათვის, მობილიზაცია ჰყონ საჭირო რაოდენობის პასუხისმგებელი მუშაკების (ადს).

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის

(ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის მოწოდებიდან)

მოსკოვი, 25 აგვისტო. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს მთელი ქვეყნის რევოლუციონურ ახალგაზრდობას—გამოვიდეს 6 სექტემბერს, ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღეს. რევოლუციონური ახალგაზრდობა, რომელიც ლენინის და ლიბკნეხტის ანდერძის ერთგული შემსრულებელია და, რომელიც ასრულებს ყველა რასის და ეროვნების ახალგაზრდობისათვის დაკისრებულ დავალებებს, გამოვა ახალგაზრდობის ამ საერთაშორისო დღეს და დაამტკიცებს თავის მზადყოფნას კაპიტალისტური სისტემის სამარეზე იერიშის მისატანად.

ამჟამად რევოლუციონური ახალგაზრდობა იბრძვის კომინტერნის ხელმძღვანელობით, იმ კომინტერნის, რომელსაც მშრომელი მასები მიჰყავს გადამწყვეტ ბრძოლაში იმპერიალისტური ომის, ფაშიზმის, შიმშილის და სილატაკის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი შევიდა სოციალიზმის პირველ ფაზაში, ახალგაზრდათა მასებს, რომლებიც მისკენ მიილტვიან, იგი უჩვენებს კრიზისისა და გაჭირვებისაგან პროლეტარული გამოსავალის უდიდეს მაგალითს. სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობის მაგალითი საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ახალგაზრდობის გმირობა უფრო მძლავრად აძგერებს თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდობის გულს კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში, მატებს მას სიმამაცეს და აღფრთოვანებას და დახმარებას უწევს ყოველ კაპიტალისტურ სისტემასთან ბრძოლაში. რევოლუციონური აღტყინების დროს მთელს მსოფლიოში, სოციალიზმის ბუმბერაზული ძლევამოსილი მსვლელობის დროს საბჭოთა კავშირში და რევოლუციის მომწიფების დროს გერმანიასა და პოლონეთში, მშრომელი ახალგაზრდობა თავს იყრის იმ პარტიის დროშის ქვეშ, რომელიც ყველა ქვეყნებში, ყველა რასისა და ეროვნებებში აწყობს ბრძოლას მუშათა კლასის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის, ყველა მშრომელი და ჩაგრული ერის განთავისუფლებისათვის. ამ პარტიებს წარმოადგენს კომუნისტური ინტერნაციონალი და მისი სექციები.

ბრძოლაში გამოცდილი პროლეტარებო, კლასობრივი ამხანაგებო! მოახდინეთ მშრომელი ახალგაზრდობის მობილიზაცია, რომელსაც ჯერ კიდევ არ განუცდია იმპერიალისტური ომი, მოახდინეთ მისი მობილიზაცია კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ, იმ სისტემის, რომელსაც კაცობრიობა კატასტროფისაკენ მიჰყავს. თვალი აუხილეთ რეფორმისტულ პროფკავშირებში მყოფ ახალგაზრდობას და დაანახვეთ მას სოციალ-დემოკრატიული და სხვა ბურჟუაზიული ლიდერების გამცემლობა, შეიყვანეთ ისინი რევოლუციონურ პროფკავშირების რიგებში. ახალგაზრდობის მე-17 საერთაშორისო დღე, ახალგაზრდობისა და მოზრდილ პროლეტარიატის მჭიდრო საბრძოლო კავშირის დღე—უნდა გადაიქცეს ყველა მშრომელთა შეერთებული ფრონტის მოწყობის დღედ სამხედრო ინტერვენციის მომზადების წინააღმდეგ, მსოფლიო ბურჟუაზიის იმ ცდების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია ჩინეთის, გერმანიის, პოლონეთის რევოლუციის განადგურებისაკენ.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის საბჭოთა კავშირის თავისუფალი მშრომელი ახალგაზრდობა შემოქმედებითი ენერგიის ახალი აღტყინებით უფრო მეტად ჩაებმება სოციალისტურ მშენებლობაში და გამოიყენებს ამ დღეს ძლევამოსილი ლენინური კომკავშირის განსამტკიცებლად. ჩვენ, კომუნისტური ინტერნაციონალის, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მეთაურობით, რევოლუციონური ახალგაზრდობა მივყავართ ბრძოლაში სამუშაოსათვის, პურისათვის, მიწისათვის, თავისუფლებისათვის, ძალაუფლებისათვის და კომუნიზმის გამარჯვებისათვის (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. ვოროშილოვი ბურიატ-მონღოლეთის ცაკის სესიაზე

კრასნოიარსკი, 25 აგვისტო. ამხ. ვოროშილოვის ჩამოსვლის დღის ბურიატ-მონღოლეთის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქში—ვერხნეუდინსკში მიმდინარეობდა ბურიატ-მონღოლეთის ცაკის მორიგი სესია. ამხ. ვოროშილოვი პირდაპირ სადგურიდან გაემგზავრა სესიაზე, სადაც მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო ცაკის სახელით. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკა მთლიანად გრძნობს მთელს პასუხისმგებლობას იმ ამოცანების გამო, რომლებიც მის წინაშეა დასმული და გაათკეცებს ბრძოლას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ამხ. ვოროშილოვი სესიამ ერთხმად აირჩია ბურიატ-მონღოლეთის ცაკის წევრად (ადს).

საბჭოთა ინჟინრებმა დაამზადეს ახალი თითისტარი

ლენინგრადი, 25 აგვისტო. ინჟინრებმა სტუშინმა და ლუკანინმა დაამზადეს ახალი ვატერიანი თითისტარი. არსებული თითისტარებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ვატერის მუშაობის პროცესში შეიძლება გაჩერებულ იქნას ის თითისტარი, რომელზედაც ნართი გაწყდება ან რომელზედაც საჭიროა ძაფის გამოცვლა. დღემდე ამ პროცესებისათვის საჭირო იყო სავატერო თითისტარების მთელი სერიების შეჩერება. სტუშინის და ლუკანინის თითისტარი საფეიქრო მრეწველობას დიდ ეკონომიას აძლევს. გამოგონებამ სმუ საბჭოს გამომგონებლობის ცენტრალურ ბიუროს კონკურსზე პირველი პრემია მიიღო (ადს).

გერმანელთა რესპუბლიკაში შემოიღეს ელექტრო. ხვნა

სარატოვი, 25 აგვისტო. კოლმეურნეობა „კომინტერნ“-ში (გერმანელთა რესპუბლიკა) ელექტრო ხვნის დროს წარმოებულმა ცდებმა დადებითი შედეგები მოგვცეს და გვიჩვენეს ელექტრონით ხვნის უპირატესობა ხვნის სხვა სახეებთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით, გერმანელთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დადგენილებით, სოფ. პოკროვსკაში ეწყობა ელექტრო ხვნის სადგური, სადგური დაამუშავებს 70 ათას ჰექტარს და სამსახურს გაუწევს რამოდენიმე დიდ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს. სადგური მუშაობას დაიწყებს ა-წ. შემოდგომიდან (ადს).

ნეფტეგორსკი—ნავთის მრეწველობის ახალი ცენტრი.

როსტოვი დონზე, 25 აგვისტო. ნეფტეგორსკი—მხარეს ახალი ინდუსტრიალური ცენტრი ინახულეს „სოიუზნეფტ“-ის თავმჯდომარემ ამხ. განშინმა და აკადემიკოსმა გუბკინმა.

ფართო ტექნიკურ თათბირზე აკადემიკოსმა გუბკინმა განაცხადა: „ოდესღაც ნავთის მარაგს ამ რაიონში 4 ნახ. მილიონ ტონით ვსაზღვრავდით. წარმოების გაფართოების პროცესში გამოჩნდა ნავთის ახალი წყაროები და მე ნავთის მარაგი განვსაზღვრე 15 მილიონ ტონით. ახლა ვხსნი ამ ციფრს. № 18 და სხვა ჭაბურღილების მუშაობის გამოცდილების საფუძველზე თამამად ვსაზღვრავ რაიონის ნავთის მარაგს 54, მინიმუმ 35 მილიონ ტონით. ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ნეფტეგორსკი ხდება საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო ნავთის რაიონად“ (ადს).

ტყიბულში ქვანახშირის გამოღება კვლავ შემცირდა

ივლისში მიღწეული გარდატეხა ვერ იქნა გაღრმავებული

სტალინელებმა გააძლიერეს ბრძოლა ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.—აგვისტოს პირველ ორ დეკადაში 16 ორთქლმავლის ნაცვლად გამოშვებულია 18

გარდატეხა ვერ შეინარჩუნეს

(ტყიბული, საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის მაღაროების მუშაობაში ივლისის თვეში მომხდარი გარდატეხა აგვისტოში ვერ იქნა შენარჩუნებული და გაღრმავებული. ქვანახშირის გამოღების ტემპები აგვისტოს პირველ დეკადაში საგრძნობლად შემცირდა. პირველ დეკადაში გამოღებული იქნა 4583 ტონა ქვანახშირი 9930 ტონას მაგივრად, რაც მოცემული გეგმის მხოლოდ 48,1 პროც. უდრის. აგვისტოს მეორე დეკადაში გამოღებული იქნა 4544 ტონა—39 ტონით ქვანახშირით ნაკლები, ვიდრე პირველ დეკადაში. მეორე დეკადაში მაღაროებში მუშაობდა 1325 მუშა, გეგმით განზრახულის 47,5 პროც. ამგვარად შეუსრულებელია მუშა-ხელის მომარაგების გეგმაც.

ვერ წინ მიდის დასავლეთის უბანი. თუ პირველ დეკადაში ამ უბანში გამოღებული იყო 2538 ტონა (გეგმის 51,2 პროც.), მეორე დეკადაში გამოღება გაიზარდა 2744 ტონამდე, დეკადური გეგმა შესრულებული იქნა 55,4 პროც.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა წარმოების ხელმძღვანელობის სრული გარდაქმნა ახალ პირობებთან შეფარდებით. ღამის ცვლა დღემდე უყურადღებოთაა მიტოვებული, მასში არ სწარმოებს სათანადო მუშაობა და შრომის ეფექტიანობაც შედარებით ნაკლებია. ხშირად ჰქონდა ადგილი ხელის შეშლას მექანიკური ცეხის მხრით, რომელიც აწვდის ელექტრო-ენერგიას მაღაროებს. უკანასკნელად მექანიკური ცეხის გასაჯანსაღებლად მის გამგედ დაწინაურებული იქნა დამკვრელი მუშა-ინჟინერი ამხ. მ. ხოფერიამაძე.

მოიკოჭლებს მუშებს შორის კულტურულ-მასიური მუშაობა, მუშების ნაწილში ადგილი აქვს წამგლეჯურ ტენდენციებს. არის შემთხვევები, როცა ცალკე კომუნისტებიც და კომკავშირლებიც ექცევიან ჩამორჩენილ განწყობილებათა გავლენის ქვეშ. საჭიროა მაღაროების პარტორგანიზაციამ დაუყოვნებლივ გააჩაღოს ბრძოლა აღნიშნულ ტენდენციების აღმოსაფხვრელად.

დღემდის ვერ მოხერხდა ვაგონების საკმაო რაოდენობის შეძენა მაღაროებისათვის, რითაც გამოწვეულია აღმოსავლეთის უბნის მიერ გეგმების შეუსრულებლობა. მუშების ნაკლებობა ძველებურად გრძელდება, მაღაროებს არა ჰყავს იმის ნახევარი მუშა-ხელიც კი, რაც გეგმაშია გათვალისწინებული. დღემდე არ მომხდარა გარდატეხა მაღაროებისათვის მუშა-ხელის მიწოდების საქმეში. საჭიროა ამას მიაქციონ ყურადღება შრომის სახკომატმა და სხვ. ცენტრალურ ორგანოებმა და აღმოუჩინონ მაღაროებს რეალური დახმარება მუშა-ხელით მომარაგების საქმეში.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას კადრების საკითხი. ტყიბულის მაღაროები განიცდიან კვალიფიციური მუშა-ხელის დიდ სიმცირეს. ხშირად ძრავებზე და მანქანებზე იძულებული ხდებიან ამუშაონ სრულიად უკვალიფიკაციო მუშები. ამის გამო ხშირია ძრავების დაზიანება, მანქანების შეფერხება და სხვ.

მაღაროების ადმინისტრაცია დღემდის „მოელის“ კვალიფიციურ მუშებს. საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას ლოდინის პრაქტიკა. დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს მუშათა გადამზადება მოკლევადიან კურსებზე —ძრავებზე და მარტივ მანქანებზე სამუშაოდ, ხოლო განსაკუთრებით მაღალ კვალიფიციურ მუშაკების გამოსანახავად დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს მოსამზადებელი მუშაობის ჩამორჩენა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოღების კიდევ უფრო შემცირება. ასევე ჩამორჩენილია მაღაროების ამოვსება, განსაკუთრებით დასავლეთ უბანში, რაც ჰქმნის ცეცხლის გაჩენის საფრთხეს. დღემდე ამოვსების საქმეს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

უკანასკნელად ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მიღებულია შემდეგი ღონისძიებანი: ამოსავსები მუშაობა გადაყვანილია 4 ცვლაზე. ესტაზე გადაყვანილი იქნა 50 დამკვრელი მუშა. ამ ღონისძიებებმა უნდა მოგვცეს დადებითი შედეგები.

ლ. ჯავახაძე.

სტალინელები იბრძვიან ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად

სტალინის სახ. ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანამ აგვისტოში გეგმის მიხედვით კაპიტალური შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 10 ორთქლმავალი, პირველ და მეორე დეკადაში უნდა გამოეშვა 6, ნამდვილად კი გამოუშვა ერთი ორთქლმავალი. საშუალო შეკეთებიდან აგვისტოს გეგმით უნდა გამოუშვას 13 ორთქლმავალი, ორ დეკადაში უნდა გამოეშვა 8, ფაქტიურად კი გამოუშვა 17 ორთქლმავალი. აგვისტოში აღდგენითი შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 4 ორთქლმავალი, ორ დეკადაში არც ერთი ორთქლმავალი არ გამოუშვია.

ამრიგად, აგვისტოში გეგმის მიხედვით ქარხანამ ყველა სახის შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 27 ორთქლმავალი, ორი დეკადაში უნდა გამოეშვა 16, ფაქტიურად კი გამოუშვა 18 ორთქლმავალი.

სამგზავრო-სავაგონო საამქრომ აგვისტოში კაპიტალურ შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 15 სამგზავრო ვაგონი, ორ დეკადაში უნდა გამოეშვა 10, გამოუშვა მხოლოდ 7, პერიოდული შეკეთებიდან ორ დეკადაში უნდა გამოეშვა 30, ფაქტიურად კი გამოუშვა 27 ვაგონი, აგვისტოში გამოსაშვებ აღდგენითი შეკეთების 3 ვაგონიდან ორ დეკადაში არც ერთი არ გამოუშვია.

აგვისტოში საამქრომ უნდა გამოუშვას სულ 63 ვაგონი, ორ დეკადაში გამოუშვა მხოლოდ 34 სამგზავრო ვაგონი.

საბარგო-სავაგონო საამქრომ გეგმის მიხედვით აგვისტოში კაპიტალური გასინჯვის შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 340 საბარგო ვაგონი, ორ დეკადაში უნდა გამოეშვა 240 ვაგონი, ფაქტიურად კი გამოუშვა 221 ვაგონი. საამქრომ აგვისტოში, კონვენციური გასინჯვის იზოტერმიული (საყინულე) ვაგონი უნდა გამოუშვას 9, ორ დეკადაში უნდა გამოეშვა 6, მაგრამ არც ერთი არ გამოუშვია. წლიური გასინჯვის იზოტერმიული ვაგონი გეგმით აგვისტოში უნდა გამოუშვას 19, ორ დეკადაში უნდა გამოეშვა 12, ფაქტიურად გამოუშვა მხოლოდ 4. აღდგენითი შეკეთებიდან აგვისტოში უნდა გამოუშვას 8 სხვადასხვა სახის საბარგო ვაგონი, ორ დეკადაში გამოსაშვებ 6 ვაგონიდან გამოუშვა მხოლოდ ორი ვაგონი.

ამრიგად, საბარგო-სავაგონო საამქრომ გეგმის მიხედვით აგვისტოში უნდა გამოუშვას სულ 376 ვაგონი, ორ დეკადაში უნდა გამოეშვა 264, ნამდვილად კი გამოუშვა 227 ვაგონი.

ჩამორჩენის მიზეზად უნდა ჩაითვალოს შეკეთებისათვის ვაგონების მიუწოდებლობა და საჭირო მასალის მოუმარაგებლობა; მაგ. თუნუქის მოუწოდებლობის გამო ფერხდება იზოტერმიული ვაგონების შეკეთება.

ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხნის მასალით მომარაგებაზე მრავალჯერ ითქვა და დაიწერა გაზეთებში, მაგრამ მასალის მომარაგებაზე დირექცია ნაკლებად ზრუნავს.

დ. ჯღარკავა.

ტყიბული

ყოველდღიური დავალება 995 ტ



20 აგვისტო 416 ტ.
21 აგვისტო 441 ტ.
22 აგვისტო 466 ტ.
23 აგვისტო 469 ტ.
24 აგვისტო 418 ტ.

ქვანახშირის ამოღება ტყიბულში

ტყიბული, 25 აგვისტო. 24 აგვისტოს ტყიბულის მაღაროებში 1282 მუშის მიერ ამოღებული იქნა 418 ტონა ქვანახშირი. თითო მუშის შრომის ნაყოფიერება უდრიდა 457 კილოს.

თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობის შედეგი

(სამტრედია, საკ. კორესპონდენტისაგან)

სამტრედიის ძაფსაღები ქარხანა ივლისში და აგვისტოს ორი დეკადაში სამარცხვინოთ ჩამორჩა ტემპებს, რაც ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობის შედეგია.

ქარხანამ მესამე კვარტალში უნდა გამოიმუშაოს 12.638 კ. გ. გრეჟა. აქედან ივლისში უნდა გამომუშავებულიყო 4212 კ. გ. გრეჟა, ფაქტიურად გამომუშავებული იქნა 2.174 კ. გ. გრეჟა, გეგმა შესრულდა 51,6 პროცენტით, ივლისის საწ.-საფინანსო გეგმა სამარცხვინოთ ჩაიშალა. აგვისტოში უნდა გამომუშავებულიყო 4.212 კ. გ. გრეჟა, აქედან პირველ დეკადაში გამომუშავებული იქნა 780 კ. გ. გრეჟა, მეორე დეკადაში 970 კ. გ. გრეჟა. თვიური გეგმა შესრულებულია მხოლოთ 41,6 პროცენტით.

მუშა-ხელის ცვალებადობა მატულობს

ქარხანაში სამუშაო დღეების გაცდენამ და მუშა-ხელის წასვლამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. ივლისში გაცდენილია საპატიო მიზეზით 33 კაცდღე, არასაპატიო მიზეზით 122 კაცდღე, აგვისტოს პირველ და მეორე დეკადაში გაცდენილია საპატიო მიზეზით 28 კაცდღე, არასაპატიო მიზეზით 49 კაცდღე, დაზგები მუშა-ხელის ნაკლებობის გამო გაცდა: ივლისში 2450 დაზდღე, ძრავისა და ტექნიკური უწესრიგობის გამო 6833 კაცდღე.

შეკეთების გამო მოცდენილია 10.416 დაზ საათი.

ივლისში ქარხნიდან წავიდა 74 მუშა, აგვისტოს ორ დეკადაში წასულია 43 მუშა, ხოლო მიღებულია 40 მუშა.

ადგილი აქვს ქარხნიდან პარტიისა და კომკავშირის წევრების წასვლას, პარტიის კანდიდატმა გერუჩიძემ განაცხადა, რომ: „მე თუ გინდა დამაპატიმრეთ და ქარხანაში მუშაობა არ შემიძლიაო“. მუშების ცვალებადობის წინააღმდეგ ქარხნის პარტ. და პროფორგანიზაციები არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ.

მასიური მუშაობა სუსტია

აქვე აღსანიშნავია ის, რომ ქარხანაში სრულებით მოისუსტებს კულტურული მუშაობა.

ქარხანაში გამოდის კედლის გაზეთი „ქარხნის მუშის ხმა“, რომელიც ვერ აშუქებს საწ.-საფ. გეგმების მიმდინარეობას და არავითარ განგაშს არ სტეხს საწ.-საფ. გეგმების ჩაშლის გამო.

კედლის გაზეთის გარშემო არაა დარაზმული მუშკორები, პარტპროფორგანიზაციები არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ კედლის გაზეთის მუშაობას. კედლის გაზეთს არა აქვს სამუშაო გეგმა. სარაიონო გაზეთი „სოც. შეტევა“-ს არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს კედლის გაზეთს.

სოც. შეჯიბრებას და დამკვრელობას არ ექცევა ყურადღება

არავითარი ცნობები სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის შესახებ ქარხანას არ მოეპოვება. ვინ რას აკეთებს ამის აღრიცხვა არ ხდება, რაც გამოწვეულია უყურადღებობით, სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის ასეთი შეუფასებლობა ძირშივე უნდა აღმოიფხვრას.

მუშათა მომარაგება სუსტია

ქარხანაში არავითარი ყურადღება არ ექცევა მუშათა პირობების გაუმჯობესებას, საბინაო საკითხი სრულებით მოუგვარებელია, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში დაიწერა რამოდენიმეჯერ მუშათა მომარაგებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივი კოოპერაცია. ამით არის გამოწვეული მუშათა დენადობა.

ამგვარად დამკვრელი მესამე კვარტალის გეგმების შესრულება საფრთხეშია, საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ბრიგადირი.

პარტიული მშენებლობა

სოფლის პარტორგანიზაციებმა ძირშივე უნდა აღკვეთონ მემარჯვენე ოპორტუნიზმი და „მემარცხენე“ ნახტომები პურის დამზადების კამპანიაში

ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით გამოვამჟღავნოთ ადგილობრივი პარტუჯრედების მუშაობის ნაკლოვანებები

მაგრად დავარტყათ თვითკრიტიკის ჩახშობის ყოველგვარ ცდას

(ა-კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი)

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საკონტროლო კომისიამ გამოიკვლია ა-კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის საქმიანობა. საკონტროლო კომისიამ აღნიშნა, რომ ა-კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს. დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობდა ინსტიტუტის რეორგანიზაცია; დღემდე არ არის გამორკვეული სხვადასხვა დაინტერესებულ სამეურნეო ორგანოების დამოკიდებულების საკითხი ამ ინსტიტუტისადმი; არ არის ფართოდ გაშლილი მუშაობა ა-კ. მასშტაბით. ინსტიტუტის მუშაობა მთლიანად მოწყვეტილი იყო საწარმოებს, რის გამოც მისი მუშაობა არ იყო დაკავშირებული მეაბრეშუმეობის წარმოების რეკონსტრუქციასთან და მის კონკრეტულ ამოცანებთან.

გარდა ამისა ინსტიტუტში ადგილი ჰქონდა დაჯგუფებასა და კინკლაობას. ყოველივე ეს და ამასთან ერთად მუშაკების არა სათანადოთ განაწილება ინსტიტუტში ქმნიდა არა ჯანსაღ განწყობილებას.

აღსანიშნავი ის არის, რომ ინსტიტუტთან არსებულ კომუჯრედის ბიურომ ვერ შესძლო სწორად გაეტარებია პარტიის ხაზი; უჯრედის ბიურომ ვერ შესძლო სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით გარდაექმნა პარტიულ - მასიური მუშაობა; უჯრედის ბიურომ ვერ მოახერხა პარტიული მასების ჩაბმა ინსტიტუტის ყოველ-დღიურ მუშაობაში. ამის გამო ინსტიტუტში ადგილი ჰქონდა თვითკრიტიკის უხეშად ჩახშობის შემთხვევებს. არ სწარმოებდა გამანადგურებელი ბრძოლა დიდმპყრობელურ შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. უჯრედი ვერ ატარებდა პარტიის სწორ ხაზს მუშების პარტიაში მიღების საქმეში.

კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ ბრძოლა უმაღლეს სასწავლებლების ყურადღების ცენტრში იდგა, თითქმის ყველა ინსტიტუტებში დამუშავდა კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, მაგრამ სულ სხვა მოხდა ა-კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტში. აქ პარტუჯრედის ბიუროს არ დაუმუშავებია ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, ამით პარტუჯრედის ბიურომ მიჩქმალა კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა.

უჯრედში ადგილი ჰქონდა პროტექციონიზმს და ძმა-ბიჭობას.

პროფკავშირის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა. ადგილკომის ყურადღების ცენტრში არ იყო მოქცეული საწარმოო საკითხები. ის ყურადღებას არ აქცევდა მასიურ მუშაობას, არ იბრძოდა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და აპარატის გაუმჯობესებისათვის; სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა გატარებული იყო მხოლოდ ქაღალდზე. ამ მიმართულებით არავითარი პრაქტიკული მუშაობა არ სწარმოებდა.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საკონტროლო კომისიამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საკონტროლო კომისიამ ა-კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის ბიუროს გამოუცხადა საყვედური იმის გამო, რომ უჯრედის ბიურო ვერ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას ინსტიტუტის რეორგანიზაციას და დროზე ვერ ამხილა უჯრედში შექმნილი ავადმყოფური მოვლენები. (თვითკრიტიკის ჩახშობა, ძმა-ბიჭობა და სხვა). მიღებული იქნა დადგენილება, რომ დაშლილ იქნას ინსტიტუტის კომუჯრედის ბიურო. უჯრედის მდივანს ამხ. დავით ქუთუხიძეს თვითკრიტიკის ჩახშობისათვის, მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების (კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა) მიჩქმალვისათვის, დაწინაურებულ ახალგაზრდა წითელ ინჟინრის ამხ. ღოლიძის დევნისათვის და წამგლეჯავობის ტენდენციისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

საყვედური გამოეცხადა აგრეთვე ადგილკომის კომფრაქციას, რომელმაც დროზე ვერ მიაქცია ყურადღება ინსტიტუტში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას.

გავაძლიეროთ პურის დამზადების ტემპები

(სიღნაღის რაიონი)

პურის დამზადება სიღნაღის რაიონში თვითმიმდინარეობაზეა დაყრდნობილი. გეგმის მიხედვით რაიონში უნდა დამზადდეს—40.000 ცენტნერი პური, აქედან ივლისის თვეში უნდა დამზადებულიყო 8.600 ცენტნერი. დამზადებულია 700 ცენტნერი, ანუ თვიური გეგმის 8,1 პროც. უნდა ითქვას, რომ გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია რაიშტაბის და რაიკავშირის უმოქმედობამ და თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობამ. პურის დამზადების შტაბს არა აქვს თავისი სამუშაო გეგმა არ არის მიცემული კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებზე მტკიცე დავალება. თემებიდან მოსული მასალები კულაკურ მეურნეობებზე მტკიცედ დავალებების შესახებ განუხილავია. სოფლები ამ მხრივ ყოველგვარ ხელმძღვანელობის გარეშეა დატოვებული. რაიკავშირს რაიონის მასშტაბით დაშორებულ სოფლებში გახსნილი აქვს 4 მიმღები პუნქტი, რომლებშიაც არავინ პასუხისმგებლობას არ გრძნობს და ბოროტ მოქმედებას აქვს ადგილი. არის შემთხვევები, როცა მიმღებ პუნქტებში ამწონავები გლეხებს ატყუილებენ (გოგჩი, წითელწყარო).

პურის დამზადების გეგმა კოლმეურნეობამდე არ არის დაყვანილი, ისე რომ კოლმეურნეებმა არც კი იციან, რამდენი ფუთი პური უნდა ჩააბარონ, მოსახლეობაში არ არის გაშლილი მასიურ - პოლიტიკური მუშაობა.

სოცშეჯიბრება და დამკვრელობა სრულებით არ არის გაშლილი.

საჭიროა მუშაობის გამოცოცხლება იმ მხრივ, რომ ფართოდ გაიშალოს დამკვრელობა და სოცშეჯიბრება, რათა გეგმები შესრულებული იქნას გადაჭარბებით.

ა. სოხელია

მემარჯვენე „მემარცხენე“ ოპორტუნისტული პრაქტიკა გორდის თემის პარტორგანიზაციის მუშაობაში

(ხონის რაიონი)

გორდის თემის (ხონის რაიონი) პარტუჯრედი მოექცა მემარჯვენე ოპორტუნიზმის ჭაობში. უჯრედი აერთიანებს პარტიის 10 წევრ-კანდიდატს. უჯრედში არიან პარტიის ისეთი წევრები, რომლებიც არ არიან ღირსი პარტწევრობისა. მაგ., პარტიის წევრმა მარკოზ ჭანტურიამ, რადგან სამსახური ვერ იშოვა, მანდატი გადააგდო; ონისიმე ჭანტურიაა ერთი წელია, რაც უჯრედიდან გაირიცხა, მაგრამ, ფაქტიურად უჯრედში ისევ ირიცხება.

გორდის თემში მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა მიწის საზ. დამუშავების ამხანაგობა. პარტიის ზოგიერთ წევრებმა მაგალითი უჩვენეს ღარიბ გლეხებს მიწების გადამალვის საქმეში. უჯრედის მდივანმა ამხ. დ. სულაბერიძემ თავისი მიწები არ გაიერთიანა ამხანაგობაში, მან სხვისი მიწები, რომლებიც სამუშაოდ გამოუსადეგარი იყო, იშოვა და გადასცა ამხანაგობას. სულაბერიძის ასეთი აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკის გამოსამჟღავნებლად გამოყოფილი იქნა კომისია, რომელმაც გამოიჩინა შემარიგებლობა და მიჩქმალა სულაბერიძის ოპორტუნისტული მოქმედება.

გორდის პარტუჯრედის მიერ სულაბერიძის ოპორტუნისტული პრაქტიკისადმი შემარიგებლობამ შეცდომაში შეიყვანა საქ. კ.პ. (ბ) ხონის რაიკომი, რომელმაც სულაბერიძე გაგზავნა ქუთაისში ბიურო-კოლექტივის მდივნების მოსამზადებელ კურსებზე.

გორდის თემის სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო პუნქტები საქონლის განაწილების, სახსრების მობილიზაციის და წევრთა რიცხვის გაზრდის დარგში ამახინჯებენ კოოპერაციის მუშაობის ხაზს. საქონელს რომელიც მოსული არის დამზადებაზე, ყიდიან ფულადი სახსრების მობილიზაციისა და წევრთა რიცხვის გაზრდისათვის. გორდის თემის მეხორბლეებისათვის მოსული საქონელი, გორდის კოოპერაციის მესვეურების საშუალებით შეუძლია შეიძინოს სხვა თემის გამვლელმა, თუ კი ის საჭირო წიგნაკს შეიძენს. ხოკრები გლეხებს 10 მან. ობლიგაციას აძლევენ, ობლიგაციის მნიშვნელობის ახსნა - განმარტებაზე კი თავს არ იწუხებენ. ასეთი წესით მათ სურდათ შეესრულებინათ სესხის საკონტროლო ციფრები. გორდის ცენტრალური კოოპერაციის გამგეობა კი ამას ყურადღებას არ აქცევს. ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არ არის ის უკმაყოფილება, რომელსაც ადგილი აქვს მშრომელ გლეხობაში.

1931 წელს მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის თესვის დროს გორდის თემში დამახინჯებული იქნა ზემდგომ ორგანოების დირექტივები. გორდის თემის ხელმძღვანელებმა ღარიბ და საშუალო გლეხობას მისცეს მტკიცე დავალება.

აღსანიშნავია ის, რომ გორდის პარტუჯრედი და სასოფლო საბჭო ამახინჯებენ პარტიის ხაზს, კინკლაობა - ინტრიგაში ატარებენ დროს და სოფლის კეთილმოწყობისათვის სრულიად არ ზრუნავენ.

ხონის რაიონულმა კომიტეტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს გორდის პარტუჯრედის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ალ. ჩიქოვანი

მუშათა მომარაგების ჩაშლისათვის ტრამვაიში

(საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს 1931 წლის 22 აგვისტოს დადგენილება)

1. მუშათა მომარაგების ჩაშლისათვის ტრამვაიში დაშლილ იქნას მუშათა დახურული კოოპერატივის გამგეობა, აგრეთვე მოხსნილი იქნან სამუშაოდან სასადილოს ძირითადი მუშაკები.

დაევალოს ამხ. დარახველს და ქართველიშვილს — ცეკავშირსა და კოოპკვებასთან ერთად სასადილოდან მოხსნილი მუშაკების ნაცვლად შეარჩიონ ახალი მუშაკები.

2. მუშათა დახურულ კოოპერატივისა და დროზე სასადილოსათვის ხელმძღვანელობის გაუწევლობისათვის საყვედური გამოეცხადოს პარტკომის ბიუროს, ხოლო ტრამვაის გაერთიანებული ადგილკომი დაშლილი იქნას.

დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

ტექნიკურ კულტურათა დამუშავებისა და მოსავლის აღების სამზადისის მსვლელობის შესახებ

დადგენილება

სახალხო კომისართა საბჭოს შესრულების კომისიისა

მოისმინა რა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება და მ. გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის თანამოხსენება ტექნიკურ კულტურათა დამუშავებისა და მოსავლის აღების სამზადისის შესახებ, შესრულების კომისია აღნიშნავს:

ტექნიკურ კულტურათა (თამბაქო, ჩაი, ბამბა, სოია) დამუშავებისა და მისი მოსავლის აღების თაობაზე პარტიის დირექტივებისა და ხელისუფლების დადგენილებათა მთელი მნიშვნელობის შეუფასებლობისა და სადემობილიზაციო განწყობილებების შედეგად, რაც საორგანიზაციო ღონისძიებათა არადამაკმაყოფილებელი გატარებისა, სანარდო სისტემის სუსტ გავრცელების და სოციალისტური შეჯიბრება - დამკვრელობის სუსტად გამოყენების გამო, შრომის დაბალ ნაყოფიერებაში გამოიხატა, ტექნიკურ კულტურათა დამუშავება არადამაკმაყოფილებლად და დაწესებული ვადების ძალზე დარღვევით მიმდინარეობს (ყველა სახის ტექნიკურ კულტურის დამუშავების უკანასკნელი ვადა იყო 10 აგვისტო); ასეთი მდგომარეობა კი მოსავლიანობის შემცირებისა და მოსავლის აღების გეგმის შეუსრულებლობის საფრთხეს ჰქმნის.

ბამბის პირველი თოხნა ჩატარებულია საბჭოთა მეურნეობებში 74,5 პროცენტით, კოლმეურნეობებში —99,7 პროცენტით, და ინდივიდუალურ მეურნეობებში 100 პროცენტით, მეორე-შესაბამისად —9,7 პროცენტით, 99,3 პროცენტით და 99,4 პროცენტით; ხოლო მესამე 8,8 პროც., 81,2 პროცენტით, და 94,2 პროცენტით

თამბაქოს პირველი დამუშავება მთელს რესპუბლიკაში შესრულდა —91,1 პროც., მეორე —73,3 პროცენტით, სოიას პირველი დამუშავება —70,7 პროცენტით, მეორე —40.9 პროცენტით; ჩაის პირველი დამუშავება საბჭოთა მეურნეობებში 25,2 პროცენტით, პირველი თოხნა და მიწის შემოყრა კოლმეურნეობებში 86,9 პროცენტით, მე-2 —33,0 პროც., ხოლო მიწის შემოყრა — 76 პროცენტით.

შესრულების კომისია აღნიშნავს, რომ თამბაქოს სახმობების, სოიას შესანახებისა და ბამბის ფარდულების მშენებლობა დაუშვებელი ნელის ტემპით სწარმოებს (აფხაზეთში 775 თვალის მაგიერ აგებულია საკოლმეურნეო სისტემაში 36 თვალი, აჭარისტანში 101-ის მაგიერ —62 თვალი); ამასთან ერთად, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე არ სწარმოებს დანაკარგებთან ბრძოლა და ადგილი აქვს ტექნიკური კულტურის მოსავლის აღებისა და შესყიდვის კამპანიის გეგმების შედგენის დაუმთავრებლობას.

ტექნიკურ კულტურათა დამუშავების დამთავრების უზრუნველყოფისა და მოსავლის აღების ნორმალური მსვლელობის მიზნით, შესრულების კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს მიწსახკომს, კოლმეურნცენტრს, ტრაქტორცენტრს, მემინდვრეობა - მესაქონლეობის კავშირს, ბამბისტან კავშირს, ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტს და ჩაის კოლმეურნცენტრს არ შეანელონ ყურადღება ტექნიკურ კულტურათა დამუშავების საქმისადმი, მიაღწიონ გეგმების მთლად შესრულებას და გადაჭრით აღკვეთონ ცალკე მუშაკთა სადემობილიზაციო განწყობილებანი, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

2. ტექნიკურ კულტურათა მოსავლის აღების გეგმების შედგენა ყველა ცენტ. ორგანიზაციაში დამთავრდეს და რაიონამდე, სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და კულაკურ კომლამდე დაყვანილ იქნეს მიმდინარე წლის სექტემბრის 5-მდე.

3. რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესრულება 1931 წ. ბამბის მოსავლის აღების კამპანიის ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ, წინადადება მიეცეს ყველა სამიწადმოქმედო და საკოლმეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციას დაიყვანონ ბამბის აღების გეგმები რაიონამდე, სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და კულაკურ კომლამდე მიმდინარე წლის სექტემბრის 5-მდე; ამასთან მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი დაამუშაონ კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა ფართო კონფერენციებსა და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საწარმოო თათბირებზე, ფართოდ გაშალონ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა და მოაწყონ საზოგადოებრივი ბუქსირი ბამბის შესყიდვის კამპანიის თავის დროზე შესრულებისათვის.

4. წინადადება მიეცეს საქსოფლმშენს და მეთესლეობის კოლმეურნკავშირს დაამთავრონ სოიას შესანახთა პროექტების, ხარჯთაღრიცხვებისა და მასალების სპეციფიკაციის შედგენა - დაყვანა რაიონებამდე აგვისტოს 30-მდე, დასახონ მშენებლობის პუნქტები და უზრუნველჰყონ მათი ვადაზე დამთავრება, ხოლო თამბაქოს სარაიების ხაზით მშენებლობა დაამთავრონ სექტემბრის 5-მდე რაიკოლმეურნკავშირების თავმჯდომარეთა და საქსოფლმშენის საუბნოთა წარმომადგენლების პერსონალური პასუხისმგებლობით.

5. კოლმეურნცენტრმა და ტრაქტორცენტრმა მიწსახკომის ინსტრუქციების თანახმად გამოიმუშაონ კონკრეტიული ღონისძიებანი დანაკარგებთან ბრძოლისათვის და დაიყვანონ იგი სამანქანო - სატრაქტორო სადგურებამდე, კოლმეურნეობამდე და სასოფლო ამხანაგობამდე აგვისტოს 30-მდე, ხოლო რაიმუშგლეხინებმა მოაწყონ დანაკარგებთან მებრძოლი კომისიები.

6. აღინიშნოს ტექნიკურ კულტურათა დამუშავების დროს სანარდო სისტემის არასაკმაო გატარება და წინადადება მიეცეს კოლმეურნცენტრს მოსავლის აღების ყველა სამუშაოში შემოიღოს სანარდო სისტემა და მოაწყოს შრომის სწორი აღრიცხვა.

7. კოლმეურნცენტრმა გადასინჯოს, გადიდების მიზნით ტექნიკურ კულტურათა მოსავლის აღების გამომუშავების ნორმები, რომელსაც საფუძვლად დაედვას დამკვრელ კოლმეურნის გამომუშავების ნორმა; ამასთან მოსავლის აღების განსაზღვრულ ნაკვეთებს მიამაგროს ცალკე ბრიგადები და ფართოდ შემოიღოს პრაქტიკაში დაჯილდოება მუშაობის ხარისხისათვის და დანაკარგთა შემცირებისათვის მოსავლის აღების დროს.

8. აღინიშნოს ქალთა შრომის სუსტი ჩაბმა კოლმეურნეობებში და მისი გამოყენების დიდი შესაძლებლობანი მოსავლის აღების დროს, რის გამოც წინადადება მიეცეს კოლმეურნცენტრს უზრუნველჰყოს ქალთა შრომის მაქსიმალური მონაწილეობა მოსავლის აღების კამპანიაში, ფართოდ გაშალოს კულტურულ - ყოფაცხოვრებითი ქსელი (ბაგეები, საბავშო კერები და სხვ.), ხოლო მიწსახკომმა —უზრუნველჰყოს სამედიცინო მომსახურება.

9. წინადადება მიეცეს ცეკავშირს, კოლმეურნცენტრთან ერთად მოაწყოს მოსავლის აღების სამუშაოთა ადგილებზე მოძრავ სამზარეულოთა ფართო ქსელი, რომელიც უზრუნველჰყოს საკვები პროდუქტების შეუწყვეტლივ მიწოდებით.

10. აღინიშნოს ინდივიდუალური სექტორის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა ტექნიკურ კულტურათა გაშენების სფეროში და წინადადება მიეცეს სამიწადმოქმედო ორგანოებს, ტრაქტორცენტრს, და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას ყურადღება მიაქციონ სასოფლო ამხანაგობებში შრომის სწორი ორგანიზაციის საქმეს მოსავლის აღების გეგმის თავის დროზე და მთლად შესრულების მიზნით.

11. რადგან სოიას მექანიკური წესით აღება - გაფშვნა სუსტადაა განვითარებული და იმ რაიონებში, რომლებსაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ვერ სწვდება, აღნიშნული სამუშაონი დაჭიმულია, წინადადება მიეცეს მიწსახკომს მიმდინარე წლის სექტემბრის 5-სათვის შეიმუშაოს ღონისძიებანი სოიას თავის დროზე აღება - გაფშვნის უზრუნველყოფისათვის და წარმოუდგინოს იგი სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

პ. მგებელი მდივანი ზ. მიროტაძე.

პრესის მიმოხილვა

ფართოდ გავშალოთ მუშაობა ბელადის მითითებათა განსახორციელებლად

ამხ. სტალინმა სამეურნეო მუშაკების თათბირზე წარმოთქმულ თავის ისტორიულ სიტყვაში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა გაუპიროვნების, ხელფასის „მომემარცხენო" გათანაბრების, მუშა ხელის ცვალებადობის ლიკვიდაციის აუცილებლობას.

ამხ. სტალინის სიტყვის გამოქვეყნების შემდეგ თვენახევარზე მეტმა განვლო. საინტერესოა, როგორი გამოხმაურება ჰპოვა ბელადის სიტყვამ თბილისის ცენტრალურ გაზეთებში, როგორ შეუდგებოდა სტალინის მიერ წამოყენებული სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები.

მუშა ყოველდღიური მასიური ორგანოა. ეს გარემოება ავალებდა გაზეთს მუშათა მასებისათვის გასაგებად გაეშუქებინა ბელადის მიერ დასმული ახალი ამოცანები, ფართოდ გაეშალა ბრძოლა ამ ამოცანების პოპულარიზაციისათვის და ისინი დაეყვანა თვითეულ საწარმომდე, საამქრომდე, დაზგამდე და თვითეულ მუშამდე.

„მუშა"-მ ამხ. სტალინის სიტყვა გამოაქვეყნა 8 ივლისს. მეორე დღესვე მოათავსა მეთაური წერილი. გაზეთი ამ მეთაურ წერილში ეხება მესამე გადამწყვეტი წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულებას და ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საჭიროთ მიაჩნია:

„მთელი საშუალებების და მუშათა კლასის ძალთა ბოლშევიკური მობილიზაცია და კონკრეტული ხელმძღვანელობა. საჭიროა პირველ რიგში სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელობით მოხდეს ძირითადი გარდატეხა საწარმოებზე მათი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების თვალსაზრისით".

მაგრამ პირველ მეთაურ წერილშივე გაზეთმა არ აღნიშნა ის, რომ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის და მითდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ გამანადგურებელი ბრძოლის წარმოების, გაუპიროვნების და ხელფასის „მომემარცხენო" გათანასწორების მოსპობის, მუშათა ცვალებადობის გადაჭრით აღკვეთის გარეშე შეუძლებელია ჩვენი საწარმოო გეგმების შესრულება. მეთაურ წერილში გაკვრითაა ნათქვამი შრომის მექანიზაციის და მუშა ხელის ცვალებადობის შესახებ. საჭირო კი იყო გაზეთს მკითხველის ყურადღება უფრო მეტად შეეჩერებინა ამხ. სტალინის სიტყვაში დასმულ ახალ ამოცანებზე.

„მუშა"-ს 11 ივლისამდე არც ერთი შენიშვნა არ მოუთავსებია იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა თბილისის პროლეტარიატი სტალინის სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ 7 ივლისს ამხ. სტალინის სიტყვა დამუშავდა თბილისის ზოგიერთ საწარმოებში.

შეიძლება „მუშა"-მ ეს ნაკლი შემდეგ ნომერში გამოასწორა?

11 ივლისის ნომერში გაზეთი აძლევს განყოფილებას სტალინის სიტყვის დამუშავების შესახებ, მაგრამ მოთავსებულ მასალას მეტად მშრალი ხასიათი აქვს, რადგან შენიშვნებში არ არის მოცემული ბელადის მიერ წამოყენებული ამოცანების ირგვლივ არავითარი კონკრეტული მითითება ცალკე საწარმოთა მიერ.

გაზეთ „მუშა"-ს არ მოუთავსებია „პრავდა"-ს 13 ივლისის საყურადღებო მოწინავე წერილი „საბრძოლო წესით გარდავქმნათ მუშაობა, შევასრულოთ გეგმა". გაზეთს აგრეთვე არ მოუთავსებია ლენინგრადის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშების, სინჟინერო-ტექნიკური პერსონალის და სამეურნეო მუშაკების ღია წერილი — მთელი საბჭოთა კავშირის ფაბრიკა-ქარხნების მუშებისადმი; „მუშა"-ს არ მოუთავსებია თბილისის დეპოს და სავაგონო პარკის დამკვრელ მუშების სოციალისტური ანგარიშიც კი ბელადის სიტყვის დამუშავებასთან დაკავშირებით. რისთვის არ დაინახა საჭიროდ გაზეთმა ყველა ამ დოკუმენტების მოთავსება — ჩვენთვის გაუგებარია.

15 ივლისის ნომერში მოთავსებულია წერილი — „გარდავქმნათ მუშათა შრომის ხელფასის სისტემა". წერილში ნათქვამია:

„ჩვენს წარმოებებში შენახულებით აგრეთვე ჩამოყალიბებულ (?!) „მემარცხენე" განწყობილებებს გახათანასწორებლად შრომის ხელფასისა, მუშაობის ხასიათის მიუხედავად, სატარიფო სისტემის მოუგვარებლობას და სხვა დეფექტებს".

„გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ საწარმოებში სანარდო სამუშაოთა განაწილება დაყენებულია ძალზე ცუდად. არის ისეთი წარმოებები, სადაც სანარდო სამუშაოზე გადასულია მუშათა უმნიშვნელო ნაწილი, ხოლო მუშები, რომლებიც გადასულნი არიან სანარდო სამუშაოზე, ხელფასს ვერ ღებულობენ იმის მიხედვით, რასაც თვით ქმნიან წარმოებაში და სხვ.".

წერილი მეტად ზოგადი ხასიათისაა და მასში არ არის ნაჩვენები, თუ რომელ ქარხანაში ან საწარმოში ადგილი აქვს „ჩამოყალიბებულ (?!) „მემარცხენე" განწყობილებებს — გახათანასწორებლად შრომის ხელფასისა მუშაობის ხასიათის მიუხედავად"; რომელ საწარმოში ცუდად სდგას სანარდო მუშაობა და სხვ. წერილის ავტორი უპასუხისმგებლოდ ამტკიცებს, რომ მუშამ ვითომ არ იცის „რატომ და რისთვის დებულობს" ჯამაგირს, „არ იცის, რატომ ეს თანხა უნდა მიიღოს და არ მეტი ან ნაკლები", რადგან გვარწმუნებს წერილის ავტორი—„მას (ე.ი. მუშას) არა აქვს საშუალება შეამოწმოს რის საფუძველზე სწარმოებს მისი ხელფასის გაცემა". წერილის ავტორს, როგორც ეტყობა თვით არ აქვს წარმოდგენა ჩვენს საწარმოებში არსებულ ხელფასზე, ასე რომ არ იყოს, ავტორს ეცოდინებოდა, რომ განსაკუთრებით საჭიროა დღეს ბრძოლა ხელფასის გათანაბრების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს საწარმოებში და უდიდეს ზიანს აყენებს საწარმოო გეგმების შესრულებას, სპობს განსხვავებას კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის, უსპობს მუშას სტიმულს წინწაწევისათვის, იწვევს მუშა-ხელის ცვალებადობას და სხვ. აი რაზე უნდა შეეჩერებია მთელი ყურადღება წერილის ავტორს. წერილის ბოლოს თუმცა არის ლაპარაკი ხელფასის გათანასწორების ცუდი შედეგების შესახებ, მაგრამ წერილი მთლიანად არ იძლევა ნათელ წარმოდგენას ხელფასის ძველი სისტემის უარყოფითი მხარეებისა და მისი ახალ საფუძველზე გარდაქმნის შესახებ. ეს ნაკლი გაზეთმა ნაწილობრივ გამოასწორა 26 ივლისის მეთაურ წერილში, — „სატარიფო სისტემის სწორი ორგანიზაციისათვის".

გაუპიროვნების ლიკვიდაციას ეხება სარედაქციო წერილი მხოლოდ 24 ივლისის ნომერში. გაზეთი ამტკიცებს, რომ „გაუპიროვნება ორთქლმავლებზე დღეს საბოლოოდ ლიკვიდაციაქმნილია". მართალია „რკინის გზის ტრანსპორტზე, სადაც ეხლა განუწყვეტელი კვირა არსებობს, გაუპიროვნება აღარ არის", (სტალინი), მაგრამ მტკიცება, რომ ჩვენში ორთქლმავლებზე გაუპიროვნება საბოლოოდ მოსპობილია, შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. „მუშა"-ს ასეთი მტკიცება შეანელებს ბრძოლას გაუპიროვნების საბოლოოდ აღმოფხვრისათვის ორთქლმავლებზე.

თვით გაზეთი იმავე წერილის მეორე ნახევარში უარყოფს იმას, რასაც რამოდენიმე სტრიქონის ზევით წერდა:

„გაუპიროვნება საქართველოს საწარმოებში და კერძოდ ტრანსპორტში (ხაზი ჩვენია. რედ.) განუწყვეტელი მუშაობის ისეთივე თანამგზავრებაა, როგორც ეს არის რუსეთის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში"-ო.

ამით როდი კმაყოფილდება გაზეთი. იმავე წერილში ცოტა ქვემოთ სწერს:

„მარტო საორთქლმავლო პარკებში დაზგებზე და ინსტრუმენტებზე 25 პროცენტამდეა გაუპიროვნება" და სხვ.

რომელს უნდა დაუჯეროთ. გაზეთი ზემოდ ამტკიცებს გაუპიროვნების საბოლოო ლიკვიდაციას ტრანსპორტზე, ცოტა ქვემოთ კი დასძენს, რომ მარტო საორთქლმავლო პარკებში, დაზგებზე და ინსტრუმენტებზე 25 პროცენტამდეა გაუპიროვნება. ასეთი წინააღმდეგობის მქონე წერილი ვერ მისცემს სწორ ორიენტაციას გაზეთის მკითხველს, პირველ რიგში იმავე ტრანსპორტის მუშებს.

საკმაოდ პოპულარული წერილი განუწყვეტელ კვირისა და გაუპიროვნებისათვის ბრძოლის შესახებ საწარმოებში მოთავსდა გაზეთის 30 ივლისის ნომერში. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ წერილი კვლავ ზოგადი ხასიათისაა და მასში არც ერთი კონკრეტული ფაქტი არაა მოყვანილი.

„მუშა"-ს სპეციალური გვერდი თუ არა, განყოფილება მაინც უნდა მიეძღვნა გაუპიროვნების, მუშა-ხელის ცვალებადობის, ხელფასის „მომემარცხენო" გათანასწორების და სტალინის სიტყვაში დასმულ სხვა საკითხების შესახებ.

აგვისტოს განმავლობაში გაზეთი კიდევ უფრო სუსტად ამუშავებს ამხ. სტალინის სიტყვას. მას მთელი 20 დღის განმავლობაში ხსენებულ საკითხების შესახებ არც ერთი განყოფილება არ მოუთავსებია. სტალინის სიტყვის დამუშავება გაზეთს გაახსენდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სხვა გაზეთებმა ფართოდ იწყეს მისი გაშუქება. გაზეთმა 21 აგვისტოს ნომერში მთელი გვერდის გასწვრივ მისცა ანშლაგი „ბელადის მითითებათა საფუძველზე უნდა გარდაიქმნას წარმოებათა მთელი მუშაობა". მაგრამ ამ ანშლაგის ქვეშ მოთავსებულ შენიშვნებში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი სტალინის მიერ წამოყენებულ ახალ კონკრეტულ ამოცანებზე.

ამგვარად უნდა აღინიშნოს, რომ გაზ. „მუშა" დღემდე სათანადოთ ვერ გამოეხმაურა ამხ. სტალინის სიტყვას და ვერ გაშალა საჭირო მუშაობა ამხ. სტალინის სიტყვაში დასმულ უდიდესი მნიშვნელობის ამოცანების ფართოდ პოპულარიზაციისათვის. ამიტომ ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაცია გაზეთის მუშაობის ცენტრში უნდა იქნეს მოქცეული.

ახალგაზრდა კომუნისტი თუ „მუშა"-მ ნაწილობრივ მაინც გააშუქა „სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები". გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტმა" მიუტევებელი უყურადღებობა გამოიჩინა ბელადის ისტორიულ სიტყვისადმი.

„ახალგაზრდა კომუნისტი" დაკმაყოფილდა 7 ივლისის ნომერში სტალინის სიტყვის გამოქვეყნებით და 12 ივლისამდე არაფერი არ მოუთავსებია ბელადის სიტყვის დამუშავების შესახებ საწარმოებში.

12 ივლისის ნომერში პირველი გვერდი „ახალგ. კომუნისტმა" დაუთმო სტალინის სიტყვის დამუშავების მიმდინარეობას. როგორც სჩანს გაზეთის თანამშრომელს — „ბრიგადელს" ბევრი თბილისის ყოველდღიური გაზეთები და მასში მოთავსებული შენიშვნებიდან გაუკეთებია ერთი მთლიანი წერილი. ამის გამო „ბრიგადელის" და სხვების წერილებში არც ერთი კონკრეტული ფაქტი გაუპიროვნების, მუშახელის ცვალებადობის, ხელფასის „მომემარცხენო" გათანასწორების და სხვათა შესახებ არ არის. გაზეთის ეს ნომერი ოდნავადაც ვერ ამახვილებს კომკავშირის ორგანიზაციის ყურადღებას ბელადის მიერ წამოყენებულ ამოცანების განსახორციელებლად. შენიშვნები საზეიმო-საქმოსნური ხასიათისაა.

„ახალგაზრდა კომუნისტი"-ს კორესპონდენტი ალ. ზ—ლი წერილის — „შევავედ დავარტყათ ოპორტუნიზმს პრაქტიკაში" — ბოლო აბზაცში სწერს, რომ აბრეშუმის ფაბრიკის მუშებისათვის ბელადის სიტყვა არ გაუცვნიათ. ამ ფაქტს გაზეთი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს და კმაყოფილდება მისი მხოლოდ აღნიშვნით. 26 ივლისის მეთაურ წერილში გაზეთი იხსენიებს, რომ ამხ. სტალინმა „მეურნეთა კონფერენციაზე" (?!) წარმოსთქვა სიტყვაო და მეტი არაფერი.

„ახალგაზრდა კომუნისტ"-მა გვერდი აუარა მეტად მნიშვნელოვან კორესპონდენციას (26 ივლისი), რომელშიაც ლაპარაკია საქონლის სადგურზე მუშა-ხელის ცვალებადობის და ხელფასის მოუწესრიგებლობის შესახებ. გაზეთის კორესპონდენტს ცოცხალი ფაქტები მოყავს ხელფასის „მომემარცხენო" გათანასწორების და მუშა-ხელის ცვალებადობის შესახებ, მაგრამ ეს შენიშვნები მხოლოდ შენიშვნებად რჩება, გაზეთს ის არ გამოუყენებია და მათთვის არ მიუცია სათანადო შეფასება.

5 და 6 აგვისტოს ნომერში „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს კორესპონდენტებს კვლავ ახალი ფაქტები მოყავთ გაუპიროვნების და მუშა ხელის ცვალებადობის შესახებ, მაგრამ გაზეთი აქაც კმაყოფილდება მარტო კორესპონდენციების მოთავსებით.

თვენახევრის განმავლობაში „ახალგაზრდა კომუნისტს" არც ერთი მეთაური წერილი არ მოუთავსებია სტალინის მიერ წამოყენებულ ცალკე საკითხებზე. ამიტომ გაზეთმა ვერ შესძლო კომკავშირის და უპარტიო მუშა ახალგაზრდობის ყურადღების მობილიზაცია გაუპიროვნების ლიკვიდაციის, ხელფასის გათანაბრების, მუშა-ხელის ცვალებადობის აღკვეთის და ბელადის სიტყვაში დასმულ სხვა ამოცანების გარშემო.

„ახალგაზრდა კომუნისტი" ყოველ ნომერში სისტემატიურად ეხება საწარმოო საკითხებს. მაგრამ ის ვერ აშუქებს კომკავშირელთა ბრძოლას საწარმოებში გაუპიროვნების მოსპობის, ხელფასის „მომემარცხენო" გათანასწორების და მუშა-ხელის ცვალებადობის წინააღმდეგ. გაზეთი ვერ ჩაუდგა სათავეში კომკავშირულ მასებს ამ მიმართულებით წარმოებულ ბრძოლაში.

„ახალგაზრდა კომუნისტმა" დაკვრითი წესით უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი.

მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ

„სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აგვისტოს 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის „იზვესტია" № 215) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1931 წლის აგვისტოს 1-დან დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ ახალი რედაქციით.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ოქტომბრის 21-ის დადგენილებით (საქ. კან. კრ. 1930 წ. 18 №-ი, მუხლი 279) დამტკიცებული დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ გაუქმებულ იქნეს.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს, როდესაც ისინი მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-7 მუხლის წესისამებრ განიხილავენ იმ ღონისძიებებს, რაც 1931 წელს განხორციელებულ უნდა იქნეს თვითდაბეგვრის წესით მიღებული სახსრით; პირველ რიგში გაითვალისწინონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებასთან და აგრეთვე საგზაო მშენებლობასთან დაკავშირებული საჭიროებანი ტექნიკური კულტურების რაიონებში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის დრ. აღმსრ.—
ბ. მაჩაიძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოად.—
ბ. გოგია

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. დროებით აღმასრ.—
შ. ტოროშელიძე

დებულება

მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ

1. სოფლის მოსახლეობის ისეთ ადგილობრივ კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-2 მუხლში, შეიძლება მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებით შემოღებულ იქნეს ამა თუ იმ სოფლის ყველა მცხოვრებლისათვის სავალდებულო თვითდაბეგვრა შემდეგ მუხლებში გათვალისწინებული წესითა და საფუძვლით.

შენიშვნა 1. ამა დებულების მოქმედება ვრცელდება სოფლის მოსახლეობაზე, საგარაკო ადგილების მოსახლეობაზე და აგრეთვე ქალაქის და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე, ქ. თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, ბორჯომის, ახალციხის, სიღნაღის, თელავის, სოხუმის, გუდაუთის, ოჩემჩირის და ბათომის გამოკლებით.

შენიშვნა 2. მოსახლეობის თვითდაბეგვრა არ შეიძლება შემოღებულ იქნეს საქარხნო-საფაბრიკო დასახლებულ ადგილას.

2. თვითდაბეგვრა შეიძლება მხოლოდ ქვემოდაღნიშნულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, როგორიც არის:

ა) კულტურულ-განმანათლებელ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა (სკოლა, ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველო, კლუბი, წითელი კუთხე, სახალხო სახლი, საბავშვო ბაგა, საბავშვო ბაღი და თავშესაფარი, საავადმყოფო, ამბულატორია, სამკურნალო და საფერშლო პუნქტი, ინვალიდთა სახლი, ღამის სათევი სახლი და სხვ.) მოწყობა და შენახვა, აშენება, გაფართოება, რემონტი, გაწყობა, გათბობა, განათება და რადიოფიკაცია;

ბ) ისეთ დაწესებულებათა მოწყობა და შენახვა, რომელთაც მიზნად აქვთ ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის განვითარებას (აგრონომიული, სავეტერინარო, მარცვლის საშრობი, გასაქირავებელი და საგრილობელი პუნქტები, მაღაზიები პურის დასამზადებლად და სხვ.);

გ) ადგილობრივი საგზაო მშენებლობა: შარა-გზებისა, სამინდვრო გზებისა, ქუჩებისა, ხიდებისა, გადასავალი და გადასაზიდი ადგილებისა, ბორნებისა და სხვ. გაყვანა-გაკეთება, შენახვა და რემონტი;

დ) სატელეფონო კავშირგაბმულობის მოწყობა, შენახვა და რემონტი;

ე) ხანძრისაგან დაცვა (სახანძრო დეპოებისა და სარაიების აგება, მოწყობა, შენახვა და მომსახურეობა);

ვ) კეთილმოწყობა: საზოგადო აბანოების, ჭების, თხრილების, ტბების და სხვა წყალსატევების მოწყობა, რემონტი და შენახვა, სოფლის ელექტროფიკაცია მომქმედ ელექტროსადგურებთან შეერთების საშუალებით, არსებული ელექტროხაზის რემონტი, ქუჩების, მოედნების და სხვა საერთო სარგებლობის ადგილების გაწმენდა, სასადილოების და საქონლის ლეშის ჩასაფლავ ადგილების შენახვა და სხვ.);

ზ) სოფლის დაცვა (დარაჯებისა და ყარაულების შენახვა).

შენიშვნა. თვითდაბეგვრის საფუძველზე საგზაო მშენებლობის საჭიროებათა დაკმაყოფილება (მე-2 მუხ. პუნ. „გ") არ ათავისუფლებს მოსახლეობას გზათა მშენებლობის მოვალეობისაგან, რაც გათვალისწინებულია ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივლისის 3-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შრომითი საგზაო ბეგარის შესახებ (ა-კ. სფსრ კან. კრ. 1930 წ. 13 №-ი, მუხლი 148).

3. კატეგორიულად აკრძალულია თვითდაბეგვრის წესით მიღებული სახსრის გამოყენება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შენახვისათვის საჭირო ადმინისტრატიული ხარჯის დასაფარავად (სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, სასოფლო საბჭოს და მილიციის მომუშავეთა ხელფასი, ადმინისტრატიულ დაწესებულებათა სადგომების მოწყობა და შენახვა, საკანცელარიო, საგზაო და სხვა ხარჯი).

შენიშვნა. თვითდაბეგვრის წესით კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა შესანახად მიღებული სახსარი (მე-2 მუხ. პუნ. „ა") შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ დაწესებულებათა მოსამსახურეების ხელფასისათვის, ხოლო პირველი საფეხურის სკოლების შენახვის ხაზით — უღარიბეს მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

4. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას მიიღებენ:

ა) კოლექტიური მეურნეობის წევრები, რომელთაც განუსაზღვრელი შემოსავალი აქვთ;

ბ) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობა;

გ) ის მოქალაქენი, რომელნიც მუდმივად ცხოვრობენ უწყებულ სოფელში, თუნდაც ისინი სოფლის მეურნეობას არ მისდევდნენ.

5. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ მიიღებენ:

ა) კოლექტიური მეურნეობის ის წევრი, რომელსაც განუსაზღვრელი შემოსავალი არა აქვს;

ბ) ის მოქალაქე, რომელიც უწყებულ სოფელში დროებით ცხოვრობს;

გ) მუშა-მოსამსახურე, რომელიც ცხოვრობს საგარაკო ადგილის და ქალაქში, გარდა ამა დებულების 1-ლი მუხლის 1-ლ შენიშვნაში აღნიშნული ქალაქებისა, უკეთუ იგი შენობის მფლობელი ან მოიჯარადრე არ არის და არავითარი სხვა შემოსავალი, გარდა სამუშაო ხელფასისა, არა აქვს;

დ) ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მსახური, მუშათა და გლეხთა მილიციის სამყოფრო შედგენილობის თანამშრომელი და გამხედროებული დაცვის ერთეულის თანამშრომელი, სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და ა-კ. სფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორდენებით დაჯილდოებული პირი, შრომის გმირი, ყოფ. წითელარმიელი და წითელი პარტიზანი, სახელმწიფო პენსიონერი და სტიპენდიანტი — მოსწავლე, უკეთუ ისინი არ არიან შენობის მფლობელი ან მოიჯარადრე და არავითარი სხვა შემოსავალი, გარდა ხელფასისა, პენსიისა თუ სტიპენდიისა, არა აქვთ;

ე) მუშა, მოსამსახურე და კოოპერირებული შინამრეწველი და ხელოსანი, რომელთაც არა აქვთ შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან და რომელთა ხელფასიც თვეში 30 მანეთზე ნაკლებია.

6. მოსახლეობის თვითდაბეგვრა შეიძლება:

ა) ფულის გადახდით;

ბ) საგნებისა და მასალის ნატურად მიცემით და

გ) მუშაობაში შრომით მონაწილეობის მიღებით.

7. თვითდაბეგვრა შეიძლება მხოლოდ უწყებული დასახლებული პუნქტის იმ მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებით, რომელნიც თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ და რომელთაც აქვთ საბჭოთა არჩევის უფლება.

თვითდაბეგვრის შემოღების საკითხს შეიტანს განსახილველად მოქალაქეთა საერთო კრებაში სათანადო სასოფლო საბჭო როგორც თავისი ინიციატივით, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, კოლექტიური მეურნეობის გამგეობისა, მოქალაქეთა ჯგუფისა და ცალკეულ მოქალაქეთა განცხადებით.

საკითხი რამდენიმე დასახლებული პუნქტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად თვითდაბეგვრის შემოღების შესახებ, მიუხედავად იმისა, აერთიანებს თუ არა ამ პუნქტებს ერთი სასოფლო საბჭო, გადაწყდება თვითეული დასახლებული პუნქტის საერთო კრებაზე.

საერთო კრებაში თვითდაბეგვრის საკითხის შეტანამდე სასოფლო საბჭო, ღარიბებისა, მოჯამაგირეებისა და სოფლის აქტივის მონაწილეობით, განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს თვითდაბეგვრის ხარჯით, და შეადგენს ამ ღონისძიებათათვის საჭირო წინასწარ ხარჯთაღრიცხვას.

რამოდენიმე სოფლის მომსახურეობისათვის საჭირო ღონისძიებებს, უკეთუ ამ სოფლებს ერთი სასოფლო საბჭო არ აერთიანებს, განსაზღვრავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

შენიშვნა 1. ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, რომელზედაც, 1-ლი მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად, მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მოქმედება ვრცელდება, თვითდაბეგვრის შემოღების საკითხი გადაწყდება ამომრჩეველთა საერთო კრებაზე, რაც გათვალისწინებულია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების დებულებით (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. 3 №-ი, მუხლი 18).

შენიშვნა 2. დიდ სოფლებში თვითდაბეგვრის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს ცალკეული უბნების, კვარტალების და სხვ. მოქალაქეთა კრებაზე.

ერთმანეთთან ახლო მდებარე პატარა სოფლებში საკითხი სასოფლოთაშორისო ღონისძიებათა განსახორციელებლად თვითდაბეგვრის შემოღების შესახებ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ამ სოფლების მოქალაქეთა საერთო ჯგუფურ კრებებზე.

8. თვითდაბეგვრის საკითხის გადასაწყვეტად მოქალაქეთა საერთო კრებას უნდა დაესწროს უწყებული დასახლებული პუნქტის იმ მოქალაქეთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც, რომელნიც თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ და რომელთაც აქვთ საბჭოთა არჩევის უფლება.

უკეთუ კრებაზე მოქალაქეთა აღნიშნული რიცხვი არ გამოცხადდა, მოიწვევა მეორე საერთო კრება, რომელიც შემდგარად ჩაითვლება, თუ მას ზემოხსენებულ მოქალაქეთა ერთი მესამედი მაინც დაესწრო.

თვითდაბეგვრის საკითხი გადაწყდება დამსწრე მოქალაქეთა ხმის მარტივი უმეტესობით.

9. მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებაში თვითდაბეგვრის შემოღების შესახებ აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) მიზანი და ღონისძიება, რისთვისაც თვითდაბეგვრა ხორციელდება;

ბ) თვითდაბეგვრის პროცენტი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის მიმართ;

გ) თვითდაბეგვრის წესით შესატანის გადახდის ვადა;

დ) თვითდაბეგვრისაგან განთავისუფლებული მეურნეობანი და პირნი.

10. არა უგვიანეს სამი დღისა მას შემდეგ, რაც მოქალაქეთა საერთო კრება გამოიტანს დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ ამა დებულების მე-7 და მე-8 მუხლების წესისამებრ, სასოფლო საბჭო გაანაწილებს თვითდაბეგვრის საერთო თანხას სოფლის ცალკე მეურნეობებსა და მოქალაქეებს შორის, ამა დებულების 11—17 მუხლებში გათვალისწინებული წესების თანახმად.

11. კოლექტიური მეურნეობის წევრი, რომელსაც აქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი განუსაზღვრელი შემოსავალი, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის 6 მანეთიდან 12 მანეთამდე მეურნეობაზე.

კოლექტიური მეურნეობის ის წევრი, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი შემოსავალი, რაც 1931 წ. განთავისუფლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის 4 მანეთიდან 8 მანეთამდე მეურნეობაზე.

სასოფლო საბჭოს უფლება აქვს ცალკეულ შემთხვევაში გაანთავისუფლოს თვითდაბეგვრისაგან კოლექტიური მეურნეობის ის წევრი, რომლის განუსაზღვრელი შემოსავალიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება.

ის მეურნეობა, რომელიც კოლექტიურ მეურნეობაში შევიდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის შემდეგ, ხოლო უწყებულ სოფელში თვითდაბეგვრის გაფორმებამდე, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის კოლექტიური მეურნეობის წევრთათვის დადგენილი რაოდენობით.

12. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობა, რომელიც ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდის, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის 1931 წელს შეწერილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 50 პროცენტიდან 100 პროცენტამდე, ხოლო არა ნაკლებ, ვიდრე 10 მანეთს მეურნეობაზე.

13. კულაკური მეურნეობა მონაწილეობას მიიღებს თვითდაბეგვრაში 1931 წელს შეწერილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 100 პროცენტის რაოდენობით.

14. ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობა, რომელიც 1931 წელს მცირე ძალღონეობის გამო განთავისუფლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის 6 მანეთიდან 10 მანეთამდე მეურნეობაზე.

სასოფლო საბჭოს უფლება აქვს ცალკეულ შემთხვევაში სავსებით ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს თვითდაბეგვრისაგან მცირეძალღონიანი ინდივიდუალური მეურნეობა.

15. სოფლად მცხოვრები არაკოოპერირებული შინამრეწველი და ხელოსანი, რომელსაც სოფლის მეურნეობიდან შემოსავალი არა აქვს, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის იმავე პროცენტული შეფარდებით მის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხისადმი, რაც საერთო კრების დადგენილებით დაწესებულია ინდივიდუალურ საგლეხო შრომითი მეურნეობებისათვის.

ის შინამრეწველი და ხელოსანი, რომელიც საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულია დაუბეგრავი მინიმუმის წესით, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის 6 მანეთიდან 10 მანეთამდე.

15. არაშრომითი შემოსავლის მქონე მოქალაქე, რომელიც სოფლის მეურნეობას არ მისდევს და რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება, აგრეთვე ის მოქალაქეც, რომელიც ამ გადასახადით არ იბეგრება, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის იმ თანხის 100 პროც.-ის რაოდენობით, რაც მას უნდა გადაეხადა, რომ თავისი შემოსავლის მიხედვით ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი ყოფილიყო.

17. სოფლად მცხოვრები მუშა და მოსამსახურე და აგრეთვე კოოპერირებული შინამრეწველი და ხელოსანი, რომელსაც სოფლის მეურნეობიდან შემოსავალი არა აქვს, თვითდაბეგვრის თანხას გადაიხდის შემდეგი მტკიცე განაკვეთებისამებრ მისი ხელფასის რაოდენობის მიხედვით: ის პირი, რომელსაც აქვს ხელფასი 30 მანეთიდან 75 მანეთამდე, გადაიხდის 4 მანეთს, ის პირი, რომლის ხელფასიც 75 მანეთს აღემატება, გადაიხდის შეწერილი საშემოსავლო გადასახადის 75 პროც.

სასოფლო საბჭოს შეუძლიან თვითდაბეგვრისაგან გაანთავისუფლოს ცალკეული მუშა, მოსამსახურე ან კოოპერირებული შინამრეწველი და ხელოსანი.

18. საერთო კრების დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ სასოფლო საბჭო, თავისი დასკვნით და თვითდაბეგვრის განაწილებით ცალკეულ გადამხდელთა შორის, წარუდგენს განსახილველად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი 10 დღის ვადაზე არ აცნობებს სასოფლო საბჭოს თვითდაბეგვრის დადგენილებისა და განაწილების გაუქმებას, ეს დადგენილება და განაწილება ძალაში შევა და სავალდებულო იქნება უწყებული დასახლებული პუნქტის ყველა მოქალაქისათვის.

19. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი გააუქმებს საერთო კრების დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ და თვითდაბეგვრის განაწილებას გადამხდელთა შორის იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს დადგენილება და განაწილება არღვევს ამა დებულებას და მის განსავითარებლად გამოცემულ დადგენილებებსა და ინსტრუქციებს.

20. სასოფლო საბჭოს დაეკისრება შემდეგი მოვალეობანი მოსახლეობის თვითდაბეგვრისათვის:

ა) შეკრიფოს თვითდაბეგვრის გადასახადი (ფულად და ნატურად), აგრეთვე დანიშნოს მოქალაქეთა გამოცხადება, საერთო კრების დადგენილების შესაბამისად და კრების მიერ განსაზღვრულ ვადაზე, თვითდაბეგვრის წესით შესასრულებელ სამუშაოში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) შეინახოს და აღრიცხოს თვითდაბეგვრის წესით შესული სახსარი, საგანი და მასალა;

გ) იყიდოს მასალა, ინვენტარი და სხვ. დაიქირავოს, მომქმედი კანონების მიხედვით, ხელშეკრულება და გარიგება, რაც საჭიროა თვითდაბეგვრის წესით განსახორციელებელ ღონისძიებათათვის;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ მუშაობას, რომელშიაც მოსახლეობა შრომით იღებს მონაწილეობას; გაანაწილოს ცალკე მოქალაქეთა და მეურნეობათა შორის სამუშაო და მოვალეობანი, დანიშნოს მუშაობის ხელმძღვანელნი; აღრიცხოს შესრულებული სამუშაო და მუშაობა — ვალდებულ პირთა გამოცხადება;

ე) განაგოს თვითდაბეგვრის წესით შეძენილი ან შექმნილი ქონება და კაპიტალება;

ვ) შეადგინოს, სასოფლო ბიუჯეტთან ერთად, ადგილობრივ საჭიროებათა თვითდაბეგვრის წესით დაკმაყოფილების წლიური გეგმა და შეიმუშაოს წინასწარი ხარჯთაღრიცხვა აღნიშნულ ღონისძიებათათვის;

ზ) წარუდგინოს პერიოდულად საერთო კრებას და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსრის ხარჯვისა და მოსახლეობის შრომით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში.

შენიშვნა. უკეთუ თვითდაბეგვრის წესით დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს რამდენიმე სოფლის საჭიროებანი, ამ მუხლში აღნიშნულ მოვალეობათ განა[illegible] ურთიერთთან შეთანხმებით.

21. თვითდაბეგვრით გათვალისწინებულ მოვალეობათა (ფულად და ნატურად შესატანი, შრომით მონაწილეობა) შესრულებისათვის ამა დებულების მე-9 მუხლის „გ" პუნქტით დაწესებული ვადების გასვლის შემდეგ ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებელი ვალდებულებანი გადაირიცხება ნარჩენად, ნატურად შესატანისა და შრომით მონაწილეობის შემდეგ გამოანგარიშებით; ეს ნარჩენი გადახდევინებულ უნდა იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენის გადახდევინებისათვის დადგენილი წესების თანახმად.

22. თვითდაბეგვრით შეკრეფილი სახსარი უნდა მოხმარდეს მარტოოდენ იმ მიზნებს, რაც აღნიშნულია მოქალაქეთა საერთო კრების სათანადო დადგენილებაში. ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლისამებრ.

უკეთუ თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსარი, რაიმე მიზეზით, შეუძლებელია მოხმარდეს საერთო კრების დადგენილებაში აღნიშნულ მიზანს, ამ საერთო კრებამ უნდა გამოიტანოს, ამა დებულებაში გათვალისწინებული წესების დაცვით, ახალი დადგენილება შეკრეფილი სახსრის სხვა, ამა დებულების მე-2 მუხლში გათვალისწინებულ საჭიროებათა და ღონისძიებათათვის მოხმარების შესახებ.

თვითდაბეგვრის სახსარი, რაც უწყებულ წელს გამოყენებული არ იყო, შეიტანება შემდეგი წლის ბიუჯეტში და დაიხარჯება მხოლოდ საერთო კრების დადგენილებაში აღნიშნული საჭიროებისათვის.

23. თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსარი ჩაირიცხება სასოფლო (საქალაქო) საბჭოს ბიუჯეტში, ხოლო იქ, სადაც სასოფლო (საქალაქო) ბიუჯეტი შექმნილი არ არის, — რაიონის ბიუჯეტში იმ პირობით კი, რომ აუცილებლად შენარჩუნებულ იქნეს აღნიშნული სახსრის მიზნობრივი დანიშნულება. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში სისწორით აღინიშნება ის მიზანი, რასაც ეს სახსარი, საერთო კრების დადგენილების თანახმად, უნდა მოხმარდეს.

თვითდაბეგვრის სახსარს, როგორც საერთო წესი, დახარჯავს სასოფლო (საქალაქო) საბჭო. სახსარს, რაც დანიშნულია იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს საჭიროებანი რამდენიმე სოფლისა, რომელნიც გაერთიანებული არ არიან ერთ სასოფლო საბჭოში, აგრეთვე იმ ადგილას შეკრეფილ სახსარს, სადაც სასოფლო ბიუჯეტი შექმნილი არ არის, დახარჯავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

24. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს, რათა თვითდაბეგვრის წესით გათვალისწინებული ღონისძიებანი სათანადოდ იქნეს განხორციელებული;

ბ) მიაწოდოს თვითდაბეგვრის საშუალებით წარმოებულ მშენებლობას დეფიციტური საშენი მასალა ამ საგანზე არსებული წესისამებრ;

გ) ტექნიკური დახმარება გაუწიოს თვითდაბეგვრის საშუალებით წარმოებულ მშენებლობას.

თვითდაბეგვრის სახსრის სათანადოთ და თავის დროზე დახარჯვისათვის კონტროლის გაწევა დაეკისრება სასოფლო და სარაიონო სარევიზიო კომისიებს.

25. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

ა) აწარმოოს თვითდაბეგვრის რაოდენობის საერთო აღრიცხვა;

ბ) თვალყური ადევნოს, რათა თვითდაბეგვრის დროს ზედმიწევნით დაცულ იქნეს ამა დებულების მე-2, 11-17, 22 და 23 მუხლებში აღნიშნული წესები;

გ) შეიმუშაოს ადგილობრივი ფასების მიხედვით თვითდაბეგვრაში შრომით მონაწილეობისა და ნატურად შეტანის ფორმების ფულად გადატანის შკალა და დაამტკიცოს იგი;

დ) გამოსცეს ინსტრუქცია ამა დებულების შეფარდებისათვის.

შენიშვნა: საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში „ა" და „გ" პუნქტებში აღნიშნულ მოვალეობათ განახორციელებენ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით.

26. დებულება ესე არა ვრცელდება ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ თავის წევრებს შორის გამოსაღების შეკრეფაზე, უკეთუ მას უფლება აქვს, თავისი წესდების ან დებულების თანახმად, დაბეგროს თავისი წევრები ამა თუ იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთი გამოსაღების შეკრეფა და სახსრის ხარჯვა სწარმოებს სათანადო წესდებით თუ დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ.

ბოლშევიკურად შეუდგეთ ბამბის აკრეფას

საქ. მიწსახკომის და კოლმეურნცენტრის დადგენილება კოლმეურნეობებში ბამბის მოსავლის აღების ჩატარების შესახებ 1931 წელს

საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის და ა-კ. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების განსახორციელებლად საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრი მებამბეობის რაიონების სამიწათმოქმედო და საკოლმეურნეო ორგანოებს ავალებენ:

1. მებამბეობის რაიონების ყველა კოლმეურნეობაში 25 აგვისტოსათვის დაამუშაონ საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ა-კ. სახკომსაბჭოს დადგენილება ბამბის მოსავლის აღების კამპანიის ორგანიზაციის და ჩატარების შესახებ 1931 წელს, რომლის საფუძველზედაც გაშალონ კოლმეურნეთა ფართო მასების საწარმოო აქტივობა ბამბის მოსავლის აღების და დამზადების გეგმის მთლიანად და ვადაზე შესასრულებლად.

2. ბამბის მოსავლის აღება და ჩაბარება მოხდეს შემდეგ ვადებში: **მოსავლის აღება იწყება 20 სექტემბერს და მთავრდება 10 დეკემბერს.** სექტემბერში აღებულ იქნას მთელი მოსავლის 3 პროც., 164 ტონა, ოქტომბერში 45 პროც., 2465 ტონა, ნოემბერში 45 პროც., 2.467,5 ტონა და დეკემბერში 7 პროც.,—384 ტონა, სულ 5.483 ტონა.

3. მებამბეობის ყველა კოლმეურნეობაში 1-ლ სექტემბრამდე დამთავრდეს მოსავლის აღების და ნედლი ბამბის ჩაბარების სამუშაო გეგმების შედგენა, რისთვისაც მოხდეს სარაიონო ორგანიზაციების ყველა აგრომუშაკების მობილიზაცია.

4. ათი დღით ადრე ბამბის მოსავლის აღების დაწყებამდე კოლმეურნეობათა სამუშაო გეგმები დამუშავებულ იქნას საწარმოო თათბირზე, რომელზედაც კოლმეურნეთა ყურადღება განსაკუთრებით მიექცეს: ა) სანარდო მუშაობის მთლიანად გატარებას, შრომის სოციალისტურ ფორმებს, გამომუშავების სწორი ნორმების დაწესებას, ინდივიდუალურ და ჯგუფურ სანარდო მუშაობას და შრომის რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვას; ბ) ხიდებისა და გზების შეკეთებას ბამბის შეუფერხებლად გადაზიდვისათვის; გ) ბრძოლას ბამბის ადგილობრივ მოხმარებასთან.

5. სამუშაო გეგმების საფუძველზე მოაწყონ ბრიგადები, მიამაგრონ ისინი გარკვეულ ნაკვეთზე ბამბის მოსავლის აღების და ჩაბარების მთელი პერიოდისათვის და დააკისრონ ბრიგადას პასუხისმგებლობა ნაკვეთებიდან ბამბის აღების რაოდენობისა და ხარისხისათვის და თავის დროზე ჩაბარებისათვის.

6. 5 სექტემბრისათვის შედგენილი იქნეს ბრიგადების განრიგები, რომელშიაც აღნიშნულ იქნას:

ა) ნაკვეთი, საიდანაც აღებულ უნდა იქნას მოსავალი;

ბ) სამუშაოს შესრულების ვადა;

გ) სამუშაოსთვის კუთვნილ შრომა-დღეთა რაოდენობა;

დ) ბამბის აღების ხარისხობრივი მაჩვენებლები და დასაჯილდოებლად დასარიცხ შრომა-დღეების ჯამი;

ე) ბრიგადებზე მიმაგრებულ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა;

ვ) ბამბის აღებაში და საზიდავად გამოყოფილ კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა და მოზარდთა სია.

7. სამიწათმოქმედო ორგანოებმა და რაიკოლმეურნკავშირებმა გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოონ კულაკურ განწყობილებების წინააღმდეგ, რომელიც გამოხატულებას პოულობს გამომუშავების დაბალი ნორმების დაწესების ცდაში, რაც ხელოვნურად ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ძირს უთხრის სანარდო სისტემას და ამით აფერხებს ბამბის აკრეფის კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

არა უგვიანეს 25 აგვისტოსი დამთავრდეს საქკოლმეურნცენტრის მიერ მიცემული გამომუშავების ნორმების დამუშავება კოლმეურნეობათა საწარმოო თათბირებზე და თვითეულ კოლმეურნეობაში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით მიღწეულ იქნას ამ ნორმების გადიდება, რისთვისაც **საფუძვლად აღებულ იქნას საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეთა, დამკვრელ ჯგუფისა და ბრიგადის ფაქტიური გამომუშავება.**

8. გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადოს ქალთა და მოზარდთა შრომის ოპორტუნისტულ შეუფასებლობას ბამბის აღების კამპანიის პერიოდში.

ფართო მასიური მუშაობით, სანარდო სისტემის სწორად გამოყენებით, კოლმეურნეობებში სოციალისტურ საყოფა-ცხოვრებო დაწესებულებათა ფართოდ გაშლით კოლმეურნეობებმა უნდა მიაღწიონ ქალთა და მოზარდთა შრომის 100 პროცენტით გამოყენებას და ამით წარმატებით შეასრულონ ბამბის აღებისა და ჩაბარების გეგმა.

ამისათვის კოლმეურნეობებმა უნდა ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მოაწყონ და ფართოდ გამოიყენონ ბამბის აღების სამუშაოზე ქალთა სპეციალური ბრიგადები.

ბ) ბამბის მოსავლის აღების დაწყებამდე ჩაატარონ ქალთა ბრიგადებში საწარმოო თათბირები, რომელზედაც დამუშავდეს ბამბის აღების და დამზადების კამპანიის ყველა კონკრეტული საკითხები.

გ) ბამბის აღების კამპანიის პერიოდში ყველა კოლმეურნეობაში მოეწყოს საზოგადოებრივი კვება და ბავშვთა საზოგადოებრივად მოვლის დაწესებულებები, რისთვისაც მაქსიმალურად გამოყენებულ უნდა იქნეს თვით კოლმეურნეობათა საშუალებები დამატებით ცენტრიდან მიღებულ სახსრებისა.

9. კოლმეურნეობათა და კოლმეურნე ქალთა მატერიალური დაინტერესების ფართო სტიმულის შექმნისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ბამბის აღების კამპანიის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ყველა კოლმეურნეობებში **დაწესდეს შემდეგი გადიდებული სანარდო შეფასება არსებულ გამომუშავების ნორმების შესრულების დროს.**

ა) პირველ კრეფაზე—1,25 შრომა-დღე.

ბ) მეორე კრეფაზე—1,60 შრომა-დღე

გ) მესამე კრეფაზე—1,80 შრომა-დღე

ზემოთ დასახელებულ გადიდებულ შეფასების გარდა ბრიგადის მიერ სამუშაოს ვადამდე და კარგი ხარისხით შესრულებისათვის ბრიგადები დაჯილდოებულ იქნან გამომუშავებულ შრომა-დღეებს გარდა 25-მდე პროცენტის დამატებით დარიცხვით.

სამუშაოს ცუდი ხარისხით შესრულებისათვის მოხდეს შრომა-დღეების სათანადო შემცირება.

10. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბამბის მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში ადგილობრივი მუშა-ხელის სრული დატვირთვით გამოყენებას; უნდა მოხდეს ადგილობრივი მუშა-ხელის გადანაწილება. იმ კოლმეურნეობებმა, რომლებიც ბამბის კრეფას ვადაზე და ვადამდე დაამთავრებენ, დახმარება უნდა გაუწიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს მუშა-ხელით. გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს კოლმეურნეობებში ჭარბი მუშა-ხელის ხელოვნურად დაბანდებას, რაც აფერხებს გარე სამუშაოზე გასვლას.

11. **შრომის აღრიცხვის სწორად დაყენების უზრუნველყოფის მიზნით კოლმეურნეობათა გამგეობებმა და სარევიზიო კომისიებმა უნდა ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:**

ა) ყველა ბრიგადასა და ჯგუფში შემოღებულ იქნას შრომის სწორი აღრიცხვა თვითეულ კოლმეურნის და კოლმეურნე ქალის მიერ დაკრეფილი ბამბის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ბ) დაავალონ კოლმეურნეობათა მოანგარიშეებს, სისტემატიური პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ბრიგადებს განრიგების წესიერად შევსებისა და შრომის ყოველდღიურად აღრიცხვის საქმეში;

გ) ყოველ 5 დღეში სისტემატიურად **ჩაუწერონ** კოლმეურნეობის წევრებს შრომის წიგნაკებში მათ მიერ გამომუშავებული შრომა-დღეები;

დ) იმ ბრიგადებსა და ჯგუფებში, სადაც ბრიგადირებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად აწარმოონ შრომის აღრიცხვა, **წ-კითხვის კარგად მცოდნე კოლმეურნეთა რიცხვიდან გამოჰყონ სპეციალური აღმრიცხველები,** რომლებსაც საზოგადოებრივი მუშაობის წესით დააკისრონ შრომის აღრიცხვა.

12. **გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს შრომის დისციპლინის დამრღვევებს, სიმულიანტებს, სამუშაოზე თავის დროზე არ გამომსვლელებს და სამუშაო დროის გამცდენებს, რომელთა მიმართ მიღებულ იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების ყველა ზომები თვით კოლმეურნეობიდან გამორიცხვამდე.**

13. ბამბის მოსავლის აღების დროს **კოლმეურნეობათა გამგეობების და სარევიზიო კომისიების ყველა წევრები მიმაგრებულ იქნან ცალკეულ ბრიგადებსა და ჯგუფებზე** უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად და მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ამავე წესით კოლმეურნეობათა ცალკე ჯგუფებზე მიმაგრებულ იქნან რაიკოლმეურნკავშირის ყველა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებსაც დააკისრონ **პერსონალური პასუხისმგებლობა** მოსავლის აღების სამუშაოთა ჩატარებისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომლებზედაც ისინი მიმაგრებულნი არიან.

14. სამიწათმოქმედო ორგანოებმა, რაიკოლმეურნკავშირებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა ბამბის საწყობების დასაცავად შემოიღონ კოლმეურნეთა მუდმივი მორიგეობა, რათა უზრუნველყონ ბამბის საწყობები შესაძლებელ ხანძრისაგან.

15. ბამბის მოსავლის სწორ აღრიცხვის და ჩასაბარებელ პუნქტებზე დროულად მიზიდვის უზრუნველსაყოფად სამიწათმოქმედო ორგანოებმა, რაიკოლმეურნკავშირებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა არა უგვიანეს 1931 წლის 1-ლ სექტემბრისა ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ნედლი ბამბის მოსალოდნელი მოსავლის რაოდენობის მიხედვით თვითეულ კოლმეურნეობაში გამოარკვიონ გადასაზიდ საშუალებათა საჭიროება, აღრიცხონ და სრულ წესრიგში მოიყვანონ არსებული საშუალებანი და მიამაგრონ სათანადო ბრიგადებს.

ბ) **სატრანსპორტო ბრიგადის მუშაობა გადაყვანილ იქნას სანარდო სისტემაზე,** მანძილის და გადაზიდული ბამბის რაოდენობის მიხედვით.

გ) მიამაგრონ განსაზღვრული ჩასაბარებელ პუნქტებს კოლმეურნეობათა განსაზღვრული რიცხვი.

16. ვინაიდან **საბჭოთა მეურნეობებში** ბამბის აღება უმთავრესად კოლმეურნეობათა მუშა-ხელის გამოყენებით უნდა მოხდეს, ყველა კოლმეურნეობაში გათვალისწინებულ იქნას ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა მეურნეობებისათვის მუშა-ხელის მაქსიმალურად განთავისუფლებას.

ამისათვის საჭიროა:

ა) გაძლიერდეს კოლმეურნეობებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა გარე სამუშაოზე გასულ კოლმეურნეთა იმ შეღავათების შესახებ, რომლებსაც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1931 წლის 30 ივნისის დადგენილება.

ბ) სამუშაო გეგმების საფუძველზე გამოჰყონ კოლმეურნეობებთან გარე-სამუშაოზე გამსვლელთა დამკვრელი ბრიგადები ბამბის კრეფაზე საბჭოთა მეურნეობებში გასაგზავნად.

გ) 5 სექტემბრამდე დამთავრდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის ხელშეკრულებათა დადება, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნას ურთიერთ ვალდებულებათა ყველა კონკრეტული საკითხები.

დ) **კოლმეურნეობათა გამგეობებს აეკრძალოთ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა გამოწვევა საბჭოთა მეურნეობებიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადების გასვლამდე.**

17. შრომის ბეგარის და ოცდღიურის მოწყობის საშუალებით უზრუნველყოფილ იქნას სოფლის გზების შეკეთება.

18. ბამბის მოსავლის აღების კამპანიის პერიოდში ფართოდ გაიშალოს შრომის სოციალისტური ფორმები (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი), რისთვისაც კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შიგნით ბრიგადებსა და ჯგუფებს შორის გაფორმებულ იქნას სოციალისტური შეჯიბრის ხელშეკრულებანი; მოეწყოს დამკვრელ კოლმეურნეთა და დამკვრელი ჯგუფებისა და ბრიგადების სწორი აღრიცხვა და მოხდეს მათი დაჯილდოება საწარმოო თათბირების მეშვეობით.

19. მებამბეობის ყველა რაიონებში მოსავლის აღების კამპანიის დაწყებამდე ჩატარდეს **კოლმეურნეობათა ფართო კონფერენციები** სადაც დამუშავებულ იქნას ბამბის მოსავლის აღების კამპანიის ორგანიზაციისა და ჩატარების საკითხი, საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტისა და ა-კ. სახკომსაბჭოს დადგენილება ბამბის მოსავლის აღების კამპანიის მოწყობისა და ჩატარების შესახებ.

20. ბამბის მოსავლის აღების გეგმის, საანეულო ხვნის, ზამთრის არატის თავის დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს მებამბეობის რაიონებში 1931 წ. მე-3 და მე-4 კვარტალებში საკურსო ღონისძიებათა თავის დროზე გაშლით **მომზადებულ იქნას მასიური კვალიფიკაციის კადრები 2.720 კაცის რაოდენობით,** აქედან:

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები	300 კაცი
ბამბის დარგის ხელმძღვანელები	300 „
შრომის ორგანიზატორები	300 „
საბავშვო დაწესებულებებში მომუშავენი	420 ქალი
მოანგარიშეები (მომზადებ.)	300 კაცი
მოანგარიშეები (გადამზადებ.)	170 „
ბრიგადირები	600 „
მერაბები	300 „
აგრო-ტექნიკოსები	30 „

21. მოეწყოს საზოგადოებრივი კონტროლი ბამბის მოსავლის აღებაზე, ნედლი ბამბის გადაზიდვასა და ჩაბარებაზე და **გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადოს ბამბის ადგილობრივ მოხმარებას,** თანახმად საქ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის და ა-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა მიიღონ ნედლი **ბამბის შემსყიდველ პუნქტებიდან ბამბის ლინტერი საშუალოდ 3 კილოგრამის ანგარიშით კოლმეურნეობაში შეკავშირებულ ერთ მეურნეობაზე და მიღებული ლინტერის განაწილებას კოლმეურნეთა შორის საფუძვლად დაუდონ თვითეულ კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეები.**

თვითეულმა კოლმეურნეობამ და კოლმეურნემ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობის დროულად ჩატარების შედეგად მტკიცედ უნდა შეიგნოს, რომ **ბამბის მოსავალი აღებისთანავე მთელი 100 პროცენტით ჩაბარებულ იქნეს მისაღებ პუნქტზე და ბამბის ქარხნებში.**

„კოლმეურნეობათა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერებით, პარტიის ხელმძღვანელობით მათი კიდევ უფრო მეტად შეკავშირებით კულაკების წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევისათვის, დაუნდობელი ბრძოლით მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტებთან კულაკობის აგენტურასთან, მებამბეობის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ 1931 წლის ბამბის მოსავლის აღებისა და დამზადების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით ბოლშევიკურად შესრულება" (ს.კ.პ. (ბ) ა-კ. სამხქო კომიტეტი).

საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **შ. მათიკაშვილი**

საქ. კოლმეურნცენტრის თავმჯდომარე— **პ. წულუკიძე**



მუშათა დისპენსერის ახალი შენობა სტალინოში (დონბასი)

ელექტროფიკაციის დეკადა სუსტად მიმდინარეობს

15 აგვისტოდან თბილისში ტარდება ენერგეტიკის და ელექტროფიკაციის დეკადა, რომლის მიზანია მუშათა ყურადღების დარაზმვა ელექტროფიკაციის ახალი გენერალური გეგმის გარშემო. დეკადას ატარებს საქ. პროფსაბჭო ალკკ თბილისის კომიტეტთან ერთად. ამ მიზნით ს.პ.კ. საბჭოსთან ჩამოყალიბებულია სპეციალური შტაბი.

უნდა აღინიშნოს, რომ დეკადა ძალზე სუსტად მიმდინარეობს. არ არის გაშლილი ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, არ სწარმოებს დეკადის მიზნების და ამოცანების პოპულარიზაცია.

დეკადის მიზანია ხელი შეუწყოს ენერგოუჯრედების ჩამოყალიბებას ფაბქარხადგილკომებთან და მათი მუშაობის გამოცოცხლებას. ამ უჯრედების ფუნქციებში შედის ბრძოლა ელექტრონის და მექანიკურ ენერგიის მომჭირნეობით და რაციონალურად გამოყენებისათვის, საწარმოო-ენერგომუშაობის გაერთიანება და უჯრედის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება. ამ ამოცანების განსახორციელებლად ენერგოუჯრედი მონაწილეობას იღებს ყველა იმ საკითხების დამუშავებაში, რომლებიც დაკავშირებულია სათბობ მასალის და ენერგიის გამოყენებასთან ტექნიკის ახალ მიღწევათა საფუძველზე.

საწარმოების, ელექტრო-სადგურების, ტრანსპორტის, კომუნალურ, სოფლის და სხვ. მეურნეობის მუშათა ენერგოუჯრედები წარმოადგენენ ენერგეტიული ორგანიზაციების ადგილობრივ ორგანოებს და იწყობიან ნებაყოფლობით საფუძველზე აქტივისტ-დამკვრელ ენერგომომუშავეთა (ცეცხლფარეშები, მექანიკოსები, ელექტრომონტიორები, ტექნიკოსები, ინჟინერები, ტრაქტორისტები და სხვ.) შემადგენლობიდან და აგრეთვე სხვა დანარჩენ მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობიდან რომლებიც დაინტერესებულნი არიან საწარმოს ენერგომუშაობის საკითხებით.

ელექტროფიკაციის დეკადა ერთ-ერთ თავის ამოცანად ისახავს სოციალისტური შეჯიბრების იმ ხელშეკრულების პოპულარიზაციას, რომელიც დადებულია ამიერ-კავკასიის და უკრაინის მუშებსა და კომკავშირელებს შორის ელექტროფიკაციის ახალი გენერალური გეგმის შედგენაზე და მასიურად დამუშავებაზე.

უკვე ორნახევარ თვემ განვლო ამ ხელშეკრულების დადების დღიდან, მის შესრულებაზე კი არავინ ფიქრობს. მასებმა თითქმის არაფერი იციან ამ ხელშეკრულების შესახებ. გეგმის დამუშავება ხდება აპარატული გზით. პროფესიონალური ორგანიზაციები არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. პირველი სექტემბრისათვის გეგმის პირველი ვარიანტი წარდგენილი უნდა იქნას საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის საორგანიზაციო კომიტეტში, გეგმის მასიური დამუშავება კი ჯერ არც კი დაწყებულა.

საჭიროა ამ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორება. ენერგეტიკის და ელექტროფიკაციის დეკადა ფართოდ უნდა გაიშალოს. დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ უკრაინასთან დადებულ სოცშეჯიბრების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა რეალიზაციას პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ხელშეკრულების იმ მუხლის განხორციელებას, რომელიც ეხება 100 საუკეთესო დამკვრელი მუშის გაგზავნას გენერალური გეგმის შემდგენთა მოსამზადებელ მოკლევადიან კურსებზე. საწარმოთა ენერგოუჯრედების ხელმძღვანელობა უნდა გაძლიერდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროფიკაციის საკითხების გარშემო ფართო მასიურ კამპანიების წარმოებას მუშათა კლუბებში. სადაც ამ მხრივ ძალიან ცოტაა გაკეთებული.

შ—ა

საბჭ. კავშ. სანაპირო ნაწილების მოტორიზაციის ფონდში

„კომუნისტი"-ს რედაქციას შეაქვს 1000 მანეთი

საბჭოთა კავშირის სანაპირო ნაწილების მოტორიზაციის ფონდში გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას შეაქვს ათასი მანეთი და იწვევს გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს, „კრასნი ვოინ"-ის, „მოლოდოი რაბოჩის", „მუშა"-ს, „პროლეტარის", „ენიკენდ"-ის და „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციებს.

მაკარონის ფაბრიკის მუშების წვლილი

მაკარონის ფაბრიკასთან არსებულმა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედმა სანაპირო რაზმების მოტორიზაციის ფონდის გასაძლიერებლად თავის წევრებს შორის შეაგროვა 68 მან. 30 კაპ. და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის გალეტის ფაბრიკა, საქართველოს სამკერვალო ტრესტის ფაბრიკა № 2, ტყავტრესტი, ფეხსაცმელების ფაბრიკა და სამხედრო სასურსათო ბაზა.

მაკარონის ფაბრიკის მუშათა შორის შეკრებილი ფული შეტანილია ბანკში № 83.292 ანგარიშზე.

---

28 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, სტალინის სახელობის რაიონულ კლუბში (პლეხანოვის ქ. 123) დანიშნულია საქ. კ.პ. (ბ) **ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიის სხდომა**

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის სასადილოების მდგომარეობა.
2. ძეხვის ქარხნის მუშაობა.

მოწვეული არიან:

სარემონტო ქარხნის, სუხიშვილის სახ. ქარხნის, 26 კომუნარის სახელობის, მექანიკური, ზეთის სახდელი, საპნის, ტყავის, მარგარინის და მე-2 და მე-3 აგურის ქარხნების და დეპოსი, მაუდის ფაბრიკის, თამბაქოს № 1 და № 2, ფეხსაცმელების, მაკარონის და ავეჯეულობის ფაბრიკის, თბილისის ტრამვაის, „სოიუზტრანს"-ის, საარტ. საწყობის. სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს მუშები.

გამოწვეული არიან: ა.-კ. პროფსაბჭოს, „ზაკსოიუზ"-ის, ა.-კ. კოოპკავშირის, საქ. კოოპკავშირის და თბილ. კოოპკავშირის წარმომადგენლები, თბილისის სასადილოების გამგეები, თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების და ჯანსახკომის წარმომადგენლები, იმ ბრიგადების წევრები, რომლებმაც გამოიკვლიეს სასადილოები, კვების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები, თბილისის ძეხვის ქარხნის სამკუთხედი და მუშები, „სოიუზმიასო"-ს ა.-კ. და საქართველოს კანტორების, ა.-კ. და საქ. მომარაგების სახ. კომისარიატების და თბილისის გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები.

სახსრების მობილიზაციის საკონტროლო ციფრი კვარტალის დამლევამდე გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ

კოლმეურნეთა თავისუფალი თანხების მობილიზაცია

(ჩხარის რაიონი)

თავისუფალი თანხების მობილიზაციას ჩხარის რაიკოლმეურნკავშირის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში კოლმეურნეობებში აკრეფილია სახ-სამ. ვალდებულებათა რეალიზაციის თანხა 2020 მანეთი; გაუყოფელი ფონდი 7709 მან. შესასვლელი გამოსაღები—3455 მან., მიზნობრივი ანაბარი 1443 მან., დირიჟაბლ „კოლმეურნე"-ს ფონდის გასაძლიერებლად 253 მან.

ჩხარის რაიონის კოლმეურნეობებში პირველ სექტემბრამდე უნდა აიკრიფოს სულ (18880 მან. აკრეფილია 14881 მან. დანარჩენის დაკვრითი წესით შესასრულებლად თემებზე და ცალკე კოლმეურნეობებზე მიმაგრებული არიან ამხანაგები, რომლებსაც დავალებული აქვთ საკონტროლო ციფრის გადაჭარბებით შესრულება 15 სექტემბრამდე.

შ. ჯანტურიძე

როგორ მიმდინარეობს ანაბარების მოზიდვა

(თბილისის რაიონი)

საკონტროლო ციფრების თანახმად, თბილისის შემნახველ სალაროს მიმდინარე წლის მესამე კვარტალში უნდა მოიზიდოს 307.600 მანეთის ანაბარები. აქედან სოფლად — 7.600 მანეთი და ქალაქად 300 მანეთი.

მეორე კვარტალის დამლევს, ე. ი. 1 ივლისისათვის ანაბარების ჯამი თბილისის შემნახველ სალაროებში უდრიდა 2.768.968 მანეთს. 20 აგვისტოსათვის კი ანაბარების ჯამი ამავე სალაროში უდრიდა 3.035.408 მანეთს, ე. ი. კვარტალის დამდეგიდან ანაბარების ჯამი გაიზარდა 266.440 მანეთით. ამრიგად, 20 აგვისტოსათვის თბილისის შემნახველ სალაროს შესრულებული ჰქონდა ანაბარების ზრდის საკონტროლო ციფრის 85,5 პროც.

აქედან ანაბარების ჯამი ქალაქად გაიზარდა 266.440 მანეთით, რაც მესამე კვარტალის 88,8 პროც-ს შეადგენს. ხოლო სოფლად — 27.864 მანეთით, შესრულებულია მესამე კვარტალის საკონტროლო დავალების 366,6 პროც.

ამრიგად სოფლად ანაბარების მოზიდვის საკონტროლო ციფრი თბილისის შემნახველ სალაროს შესრულებული აქვს 366,6 პროც-ს გადაჭარბებით. საკონტროლო ციფრი ქალაქად შესრულებული კიდევ არ არის.

თბილისის შემნახველმა სალარომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, რომ შეინარჩუნოს სოფლად ანაბარების მოზიდვის ტემპები და ასევე უნდა განავითაროს ანაბარების მოზიდვა ქალაქად.

მესამე კვარტალის საკონტროლო ციფრები გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ

ფინანსთა კომისარიატის ცნობით, 20 აგვისტოსთვის შესრულებული იყო სახსრების მობილიზაციის მესამე კვარტალის (მთლიანი) გეგმის 68,9 პროც.; საკონტროლო ციფრებით (მეორე კვარტალის დანაკლისის დართვით) გათვალისწინებულ 16.975.000 მანეთიდან აკრეფილი იყო 11.700.000 მანეთი. 20 აგვისტოსთვის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებული იყო შემდეგი სახეების სახსრების მობილიზაციის საკონტროლო ციფრები: სახელმწიფო სესხების საკონტროლო ციფრი სოფლად — 143 პროც.; ნებაყოფლობითი დაზღვევა სოფლად და ქალაქად—118,1 პროც.; ანაბარები და შენატანები სამომხ. კოოპერაციაში ქალაქად — 247,8 პროც., სოფლად — 106,8 პროც.; საპაიო გადასახადი საგზაო - სატრანსპორტო სამომხმარებლო კოოპერაციაში 200 პროც., ანაბარები და შენატანები იქვე — 206,3 პროც.; საპაიო გადასახადი ინვალიდთა კოოპერაციაში 100 პროც. და ერთდროული გადასახადი საბინაო მშენებლობისთვის — 105,8 პროც.

ამავე პერიოდისათვის ჩამორჩენილია: მებადურთა კოოპერაციის წევრთა ქონებრივი მონაწილეობის საკონტროლო ციფრი შესრულებული იყო — 1,2 პროც., აქვე საპაიო 30,2 პროც.; კოლმეურნეობებში შემოსასვლელი გამოსაღები 27,9 პროც.; ტრაქტორცენტრის აქციები 38,3 პროც., საპაიო და ანაბარები სას-სამ. კოოპერაციაში — 35,1 პროც., ანაბარები და შენატანები სატრანსპორტო კოოპერაციაში — 22,4 პროც.; სავალდებულო დაზღვევა სოფლად — 13,1 პროც., სახელმწიფო სესხები ქალაქად შეუკავშირებელ მოსახლეობაში — 10,2 პროც., სარწყავი წყლის გამოსაღები 31,2 პროც. სრულიად არ არის აკრეფილი თვითდაბეგვრის ანგარიშში, მონადირეთა კოოპერაციის საპაიო და ერთდროული კულტურული გადასახადის ანგარიშში სოფლად და ქალაქად. კვარტალის დამლევამდე 1 თვე და 10 დღე დარჩა.

საფინანსო - საკრედიტო აპარატმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, რომ დარჩენილი დრო გამოიყენოს მაქსიმალური სარგებლიანობით და კვარტალის დამლევისთვის ყველა ცალკე სახის გადასახადისა და გამოსაღების საკონტროლო ციფრი გადაჭარბებით შეასრულოს.

სახსრების მობილიზაცია 20 აგვისტოსათვის

რაიონები	შეწერილია 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე	მესამე კვარტალის საკონტროლო ციფრის (ფონდის მიმართ) შესრულება %%-ით
აფხაზეთი	1.310,0	79,2
აჭარისტანი	860,0	80,2
ქუთაისის რაიონი	624,0	76,0
ზესტაფონის რ.	100,0	37,0
სამტრედიის რ.	286,0	63,0
ჭიათურის რ.	90,0	33,1
ამბროლაურის რ.	35,0	35,3
ბაღდათის რ.	31,0	29,8
ვანის რ.	39,0	31,7
ტყიბულის რ.	127,0	135,2
ონის რ.	30,0	26,7
ჩხარის რ.	76,0	71,0
ქვემო-სვანეთი	9,0	33,3
ცაგერის რ.	42,0	32,0
ხარაგოულის რ.	35,0	35,7
ხონის რ.	43,0	29,0
სენაკის რ.	97,0	57,0
მარტვილის რ.	66,0	53,2
აბაშის რ.	83,0	54,9
ზუგდიდის რ.	224,0	96,9
ჩხოროწყუს რ.	45,0	55,5
წალენჯიხის რ.	22,0	24,7
ხობის რ.	33,0	30,5
ოზურგეთის რ.	104,0	58,4
ლანჩხუთის რ.	75,0	66,3
ჩოხატაურის რ.	89,0	91,7
ზემო-სვანეთის	34,0	121,4
ფოთის რ.	97,0	73,4
სამხრეთ-ოსეთი	206,0	87,2
თბილისის რ.	3.852,0	64,2
ბორჩალოს რ.	112,0	53,0
ბაშკიჩეთის რ.	101,0	113,4
წალკის რ.	87,0	88,8
ლიუქსემბურგის რ.	55,0	35,8
გარე-კახეთის რ.	57,0	45,6
მცხეთის რ.	68,0	82,9
ხევის რ.	37,0	69,8
ერწო-თიანეთის რ.	23,0	32,3
აღბულაღ-მანგლ. რ.	114,0	64,7
დუშეთის რ.	30,0	19,2
თელავის რ.	311,0	89,3
სიღნაღის რ.	250,0	66,4
გურჯაანის რ.	184,0	87,6
ლაგოდეხის რ.	131,0	97,0
ყვარელის რ.	145,0	96,0
გორის რ.	254,0	94,0
ბორჯომის რ.	126,0	94,0
კასპის რ.	124,0	114,8
სტალინისის რ.	190,0	74,7
ახალქალაქის რ.	160,0	82,4
ბოგდანოვკის რ.	114,0	104,5
ახალციხის რ.	37,0	15,8
ადიგენის რ.	75,0	66,3
ტოლოშის რ.	96,0	120,0
ყარაის რ.	55,0	48,2

საანგარიშო დარგის მუშაკთა მიმაგრების შესახებ კოლმეურნეობებში

საქართველოს ყველა რაიონულ საკონტროლო კომისიებს —მუშგლეხინსებს, პროფორგანიზაციებსა და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისა და კოლმეურნეობათა ცენტრის სისტემის ორგანიზაციებს

აღრიცხვა და ანგარიშგების მოგვარებას კოლმეურნეობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო მოძრაობის, როგორც ახლანდელი, ისე შემდგომი მისი ზრდისა და განვითარებისათვის. შრომის ორგანიზაციის ამ მნიშვნელოვან ფრონტზე ყველა რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში ჩვენ ვერვერობით კიდევ გვაქვს დიდი დეფექტები. მათი აღმოფხვრის მიზნით გაზეთ „კომუნისტში" ა. წ. 5 ივნ. თარიღით, № 128 (3088) გამოქვეყნებულ ჩვენ სადირექტივო დავალებაში მითითებული გვქონდა მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გაგვეტარებინათ ადგილებზე ამისათვის საჭირო შექმნილ სპეციალურ კომისიების საშუალებით. კომისიებს ევალებოდათ მობილიზაცია ეყოთ ადგილობრივ საანგარიშო დარგის მუშაკებისათვის, რომლებიც მსახურობენ რაიონის სამეურნეო, სამრეწველო, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებში და მიემაგრებინათ პერიოდულად კოლმეურნეობებზე პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრომ განვლო ზემოთ დასახელებულ დირექტივების მიცემის შემდეგ კოლმეურნეობებში აღრიცხვის და ანგარიშგების საქმეს გაუმჯობესება არ დატყობია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ადგილებზე ხსენებული მუშაობა რაიონის ამ მუშაკებს დღემდე სრულიად არ გაუშლიათ.

თვით სპეციალური კომისიები უყურადღებოდ სტოვებენ მთელ რიგ იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა რეალიზაციას ითვალისწინებდა ჩვენი სადირექტივო დავალება.

ზემოაღნიშნულის გამო კატეგორიული წინადადება გეძლევათ მიიღოთ სასწრაფო ზომები, როგორც სპეციალურმა კომისიებმა, ისე მობილიზაციაქმნილ რაიონის საანგარიშო დარგის მუშაკთა მუშაობის ძირითად გარდატეხის საქმეში, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს კოლმეურნეობებზე მოანგარიშე-ბუღალტრების მიმაგრება აღრიცხვის და ანგარიშგების სისწორით მოგვარების მიზნით. რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსავლის და შემოსავლის განაწილების სწორად ჩატარება.

ამასთანავე გეძლევათ არა უგვიანეს 10 სექტემბრისა გამოგზავნოთ ყველა მასალები ამ მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებზე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. ს. კ. თავმჯდომარე და მუშგლეხინის კომისარი **ფანცულაია.**

საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე **მორჩილაძე.**

საქ. მიწსახკომის მოადგილე **ვ. მაისაშვილი.**

საქ. კოლმეურნცენტრის თავმჯდომარის მოადგილე **ნემსაძე.**



საფოსტო კანტორის ახალი შენობა ოზურგეთში

ქალთა შრომის გამოყენებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს

გუშინ დილით საქ. პროფსაბჭოში შედგა საწარმოებში ქალთა შრომის გამომყენებელ ცენტრალური შტაბის თათბირი.

შტაბის უფროსმა ამხ. ვ. ბერიძემ თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ მთელი რიგი სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ წარმოებაში ქალთა შრომის ჩაბმის საკითხისადმი, რაც გამოიხატება მათი წარმომადგენლის სხდომაზე დაუსწრებლობისა და სათანადო ცნობების წარმოუდგენლობაში.

მუშაობა არადამაკმაყოფილებელია

ამხ. ბერიძის შესავალი სიტყვის შემდეგ მოსმენილი იქნა სახკვების კავშირის წარმომადგენლის თანამოხსენება კოოპერაციაში ქალთა შრომის გამოყენების შედეგების შესახებ,—მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სახკვების კავშირი, ჯერ კიდევ არ შესდგომია ამ საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტას.

დღემდე კავშირთან ჩამოყალიბებულია შტაბი. 15 აპრილისათვის სახკვების კავშირი აერთიანებდა 3557 მუშას, აქედან ქალები შეადგენენ 1366.

წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით 1931 წლის დამლევამდე სახკვების კავშირს განზრახული აქვს ქალთა კადრის შემდეგი რაოდენობით მომზადება: კულინარ პედაგოგები—35, მზარეულის თანაშემწენი—380, უფროსი მზარეულები—160, სასადილოების გამგეები—280, მოანგარიშეები—200.

თათბირზე საყვედური გამოითქვა სახკვების ორგანიზაციის მიმართ, რომელიც გამოცხადდა თათბირზე მასალების წარმოუდგენლად. გარდა ამისა თათბირმა კავშირს დაავალა გამოჰყოს ბრიგადა 3 კაცის შემადგენლობით და შემოწმებული იქნას კოოპერაციაში ქალთა შრომის გამოყენების შედეგები.

რა გაარკვია მოხსენებამ

პოლიგრაფიულ წარმოებაში ქალთა შრომის გამოყენების შესახებ მოხსენება გააკეთა მბეჭდავთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ლულუამ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პოლიგრაფიულ წარმოებაში ქალთა შრომა არ არის სათანადოდ გამოყენებული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1797 მუშიდან 336 ქალია.

კომისიის დასკვნა

ცენტრალური შტაბის მიერ წინა თათბირზე გამოყოფილმა კომისიამ შეამოწმა „სმუსი"-ს გაერთიანებებში ქალთა შრომის გამოყენების საქმე და იგი ცნო დამაკმაყოფილებლად.

შტაბის შემდეგი თათბირი შესდგება პირველ სექტემბერს, დღის 12 საათზე. თათბირზე დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები უნდა გამოცხადდნენ სათანადო მასალებით.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი.

1931 წ. ივლისის 20

გაჯის ამოღების დარგში დროებით ნორმების და შეფასებების დაწესების და მათ სწორად გატარებაზე ზედამხედველობის წარმოების წესის შესახებ

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახკომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 7-ს თარიღით 1931 წ. აღმშენებლობის პროგრამის ჩატარების სამზადისისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ გამოცემულ დადგენილების თანახმად, საქ. სსრ შრომის სახკომისარიატი და სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო ადგენენ:

1. დროებით თბილისის რაიონში გაჯის ამოღების და გამოწვის მთლიან ნორმებისა შეფასებების ვამომუშავებამდე შემოღებულ იქნეს ქვემომოყვანილი ნორმები და შეფასებები:

ა) ორხევის, დამპალოს, მლაშე ტბის, ღრმა-ღელის, საბურთალოს და ვაკეს კარიერებზე 16,5 ტონა გაჯის ამოღებისა და გამოწვისათვის 35 მანეთი.

ბ) ვაზიანის, გარდაბანის, სიღნაღის და სხ. 16,5 ტონა გაჯის ამოღებისა და გამოწვისათვის 40 მან.

2. საქ. სსრ შრომსახკომის ორგანოებს დაევალოს სათანადო პროფკავშირის ორგანოებთან ერთად კონტროლის წარმოება გაჯის ამოღების და გამოწვის დროებით ნორმებსა და შეფასებებზე, რისთვისაც მათ მართებს სამ თვეში არა ნაკლებ ერთჯერისა ადგილებზე ჩაატარონ გამოკვლევა.

3. სამეურნეო ორგანიზაციებს ეკისრებათ მუდმივი ზედამხედველობის წარმოება ნორმების და შეფასებების ცხოვრებაში გატარებაზე, ხოლო პირადი პ.-მგებლობა დროებით ნორმების და შეფასებების დარღვევისათვის კარიერების ხელმძღვანელთ.

4. დაგენილ ნორმების და შეფასებების დამრღვევნი მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

5. არსებული ნორმები და შეფასებები შედის ძალაში ა. წ. 1-ლ აგვისტოდან.

საქ. სსრ შრომის სახკომისარი

ქ. ოდილავაძე.

საქ. სსრ ს. მ. უ. ს. თავმჯ. **მზარეულაშვილი.**

შეთანხმებულია საქ. პროფ. კავ. საბ.

გ. მაჩაიძე.

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი"-ს მიმდინარე 20 აგვისტოს ნომერში მოთავსებულია სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებული სხდომის დადგენილება ტოლოშის რაიაღმასკომის მოხსენების გამო, რომელშიაც ჩვენ მიერ გადმოგზავნილი ტექსტის რედაქციაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის გამო, სხვათა შორის, დაშვებულია შემდეგი არსებითი შეცდომები:

ა) დეფექტების აღმნიშვნელ ნაწილის „ბ" პუნქტში სწერია:

„ბ) კოლმეურნეობებში მესაქონლეობის სასაქონლო ფერმის მოუწყობლობას, რაც ტოლოშის რაიონის საკლმეურნეო მშენებლობაში არსებობს, დეფექტს წარმოადგენს, რადგან ეს რაიონი ძირითადად მეცხოველეობის რაიონია".

უნდა ეწეროს:

„ბ) კოლმეურნეობებში მესაქონლეობის სასაქონლო ფერმების მოუწყობლობა, რაც ტოლოშის რაიონის საკლმეურნეო მშენებლობაში არსებით დეფექტს წარმოადგენს, რადგან ეს რაიონი ძირითადად მესაქონლეობის რაიონია".

ბ) ამავე ნაწილის „ვ"—პუნქტში სწერია:

„ვ) რაიაღმასკომის, სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაცია და რაიკოლმეურნეობათა კავშირი სოფლის საბჭოებთან მიმოწერას აწარმოებენ არა ადგილობრივ ენებზე, რითაც უხეშად ირღვევა პარტიისა და ხელისუფლების დირექტივა იმის შესახებ, რომ რაიონულ და სასოფლო ორგანიზაციებს მიმოწერა მოსახლეობის მშობლიურ ენაზე უნდა ეგზავნებოდეს".

უნდა ეწეროს:

„ვ) რაიაღმასკომის, სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციისა და რაიკოლმეურნკავშირის მიერ ნაციონალური უმცირესობათა სოფლის საბჭოებთან საქმის წარმოების არა მათ სამშობლო ენაზე წარმოების დაუშვებლობას, რითაც უხეშად ირღვევა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივა ძირეულობის (კორენიზაციის) შესახებ"..

გ) დადგენილების მეორე მუხლში სწერია:

„2. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომს ერთი დეკადის ვადაში დაამუშაოს საკითხი სარაიონო და სასოფლო აპარატების გაპიროვნების შესახებ"......

უნდა ეწეროს:

„2. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომს ერთი დეკადის ვადაზე დაამუშაოს საკითხი სარაიონო და სასოფლო აპარატების გაპიროვნების (კორენიზაციის) შესახებ".....

დ) მესამე მუხლის „ბ" პუნქტში ფრჩხილებში სწერია:

„(ტეხნიკურ კულტურათა განმტკიცება მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარება და სხვ.)".

უნდა ეწეროს:

(„ტეხნიკურ კულტურათა განმტკიცება, მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარება და სხვ.)".

პარტიული კალენდარი

— საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ავეტიკ აკოპიანს რომელიც ა.-კ. სახკომსაბჭოს ახალმშენებლობაზე მუშაობს, გამოცხადდეს თბილისის საკონტროლო კომისიაში — რუსთაველის პროსპ. № 24, მე-3 სართული, ოთახი № 28, ამხ. მეგრელიშვილთან.

რუსთაველის თეატრი

სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით

1931/32 წლის სეზონი

გამოშვებულია აბონემენტები

თითოში 10 წარმოდგენა 40% ფას დაკლებით

აბონემენტები პირველ რიგში მიეცემათ კოლექტიურ განცხადებით წარმოება-დაწესებულებებს. შეკვეთის უკანასკნელი ვადაა 30 აგვისტო. წარმოდგენები აბონემენტების გარეშე არ წავა. დაწვრილებითი ცნობების და შეკვეთის ბლანკების მიღება შეიძლება თეატრის სალაროში და ყველა კავშირებში. სალარო ღიაა დილის 11—2 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. აბონემენტები გაიცემა შეკვეთის ნომრის და მიხედვით.

დირექცია.

2—2 ნ. 1632

ქართული სახელმწიფო დრამა

კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

აბონემენტების შეძენაზე განცხადებების მიღება და აბონემენტების გაცემა სწარმოებს ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 6—9 ს.

12—9 ნ. 1584 თეატრის ადმინისტრაცია

სახკინმრეწვ. თეატრები

საზაფხულო ეთერი (სახ. ოპერის ბაღში) დასაწყისი 8-30, 10—30.	ჰაროლდ ლოიდი კომედიაში **უმცროსი შვილი** შემდეგი პროგრამა: „იხეტიალე ქუჩაში სიხარული".
საზაფხ. კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.	ახალი მხატვრული ფილმი **განადგურება** ა. ფადეევის რომანის მიხედვით.
საზაფხულო დარბაზი (ბაღში, პლეხან., № 91) დასაწ. 8-30, 10—30.	**წყნარი დონი** ცესარსკაიას მონაწილეობით. შემდეგი პროგრამა სახ. კ. უ. № 24.

საზაფხულო კინო-თეატრი **პალასი**

(I სეანსი 7 ს.)

დღეიდან, 27 აგვისტოდან

სოიუზკინოს

ახალი მხატვრული სურათი

განადგურება

ა. ფადეევის რომანით.

რეჟისორი ნ. ბერსენევი. ოპერატორი ა. სიგაევი.

მთავარ როლებში:

ბ. იაბლონსკი, ი. იუდინი, ნ. სემიონოვა, ლ. კლოჟოვა.

ნ. 1650

ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები

სახის სილამაზის მოვლა

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. მესანგრეთა ქ. № 22.

13—3 5464

მედიცინის დ-რი

ახვერდოვი

სპეც. ვენერიული და სიფილისი. მიღ. დილ. 9—12 და საღ. 7—9. პლეხანოვის ქ., № 7 (შესავალი ნარიყალის კუთხიდან, 1).

25—1 7021

ნ. კონტოროვიჩი

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის [illegible], ქორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დე.

25—1

ბორჯომის რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ამით აცხადებს, რომ

ა/წ. 4 სექტემბერს, დღის 12 საათზე. ქ. ბორჯომში.

საჯარო ვაჭრობით

გაყიდის მცხ. ქალაქ ბორჯომში ჯაფარიძის ქუჩა № 15 მოქ. ილიკო გიორგის-ძე ხოზაძის ქონებას: სამი თვალი სახლი მეორე სართულში. ქონება შეფასებულია 1.850 მანეთად და გაიყიდება გრიშა ბალანჩივაძის და ბორჯომის სარაიონო აღმასკომის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ორი აღმასრულებელი ფურცლის ძალით.

ქუთაისის მე-III უბნის სახ. სასამართლოს ბრძანება № 4818 და ბორჯომის სახ. სასამართლოს მიერ გაცემული 6 ივნისის № 165-ით აღმასრულებელი ფურცლით. საჯარო ვაჭრობა მოხდება, სამ. სამ. საპროცესო კოდექსის 310 მუხ. და 312 მუხლის დაცვით.

ბორჯომის რაიონ. სახ. სასამარ.

აღმასრულებელი: ნ. მუმლაძე.

7043

ა.-კ. კავშირგაბმულობის ელექტროტეხნიკუმის მსმენელთა საყურადღებოდ

სწავლა ყველა კურსებზე დაიწყება ა. წ. 16 სექტემბერს.

ელექტროტეხნიკუმის დირექცია.

2—2 ნ. 1623

კულტურისა და დასვენების ბაღი **არტო** პლეხანოვის ქ., № 105

27 აგვისტოს

დიდი საესტრადო კონცერტი

მონაწილეობენ: უორუ დუკლაუ, ლადო კავსაძე, აფხაიძე, მოშიაშვილი, ჰიპინაძე, შაპოშნიკოვი, მარო თარხნიშვილი, გილბერტი, სიხარულიძე, ალშიბაია. ბაღში კინო ბ ო რ ა. უკრავს სამხედრო ორკესტრი—ბუფეტი.

დასაწყისი საღ. 9 ნახ. საათზე. უამინდობის შემთხვევაში კონცერტი დახურულ შენობაში იმართება. ნ. 1648

თბილისის სასურსათო საბუთების სექცია

აცხადებს, რომ ა/წ. 1/IX-დან შეუდგება სასურსათო ბარათების დარიგებას მეოთხე კვარტალისათვის. თანახმად თბილისის საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის პარტიული კომიტეტის ა/წ. 22 აგვისტოს დადგენილებისა—მუშა მოსამსახურე და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებზე საბუთების გაცემა უნდა მოხდეს ფაბრიკა-ქარხნების და დაწესებულებების სამკუთხედების—და სადაც ასეთები არ არსებობს—დაწესებულებების ხელმძღვანელების საშუალებით. დანარჩენ მოქალაქეებზე საბუთები გაიცემა საბინაო ამხ-ბების და სექციის დროებითი პუნქტების საშუალებით, რის შესახებაც დამატებით იქნება გამოცხადებული.

ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელები და სამკუთხედები—ყველა მუშა-მოსამსახურე და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებიდან აგროვებენ სასურსათო წიგნაკებს (ძველს), სამრეწველო საქონლის ფურცლებს საკონტროლო ტალონებით და გასაცემ საბუთების ღირებულებას თითოეულიდან 50 კაპ. და სამკუთხედის მიერ ხელმოწერილ და დაწესებულების ბეჭედ დასმულ სიასთან (ორ ცალად) ერთად ადგენენ სას. საბ. სექციაში—ბამბის რიგი № 2, შემდეგი შინაარსისას:

წარმოება-დაწესებულების დასახელება ________ ქუჩა ________ სახლის № ____

№ № რ/რ.	მუშა-მოსამსახურის გვარი, სახელი და მამის სახელი	თანამდებობა	მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა სახელი	წლოვანება	სასურს. საბ. №№	[illegible]	კატეგორია	მისამართი	შენიშვნა

შენიშვნა: 1. ყველა ქვემდებარე ორგანოები საბუთებს ადგენენ თავიანთი ცენტრების საშუალებით.

2. ბავშვებს—რვა წლამდე დამატებით მიეცემათ რძის და ბულკის ფურცლები, რომლის ღირებულებაც 30 კაპ. წარმოდგენილი უნდა იქნას სიებთან ერთად.

აღნიშნული საბუთები დალაგებული სიების და კატეგორიების მიხედვით და თანხები წარმოდგენილ უნდა იქნას სექციაში არა უგვიანეს ა/წ. 1/IX-სა, უკიდურეს შემთხვევაში სექცია იხსნის ყოველივე პასუხისმგებლობას.

თბილისის საბჭოს მომარაგების მომწესრიგებელი განყ-ის სახ. საბუთების სექცია.

2—2 ნ. 1623

ამით ცხადდება, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, 1931 წლის 14 ივლისის თარიღით, ა: 300, მოხდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს რეორგანიზაცია საკავშირო გაერთიანებათ

„საქართველოს ჩაი"

რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოყოფილია შემდეგი, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი ტრესტები:

ა) ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, რომელიც იმყოფება ოზურგეთში, ბ) ჩაის მრეწველობის ტრესტი, რომელიც იმყოფება ჩაქვში, გ) ჩაის საამშენებლო ტრესტი, რომელიც იმყოფება სამტრედიაში, დ) ჩაის მომარაგების ტრესტი, რომელიც იმყოფება თბილისში, რუსთაველის პროსპექტი № 25 და ე) ჩაის კოლექტიურ მეურნეობათა კავშირი, რომელიც იმყოფება თბილისში, ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) № 30.

საკავშირო გაერთიანება „საქართველოს ჩაი", რომლის გამგებლობაშიც იმყოფებიან ზემოაღნიშნული ტრესტები, იმყოფება თბილისში, რუსთაველის პროსპექტი № 25.

1931 წლის 1-ლ სექტემბრიდან ყველა საკითხებზე, რომლებიც ეხებათ ზემოხსენებულ დაწესებულებებს უნდა მიმართონ უშუალოდ მათ ზემოაღნიშნული მისამართებით.

ნ. 1655 საკავშირო გაერთიანება „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა.

ამბროლაურის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ბ. აგალიანი აცხადებს, რომ 1931 წ.

8 სექტემბერს

სოფ. გოგოლათში, ამბროლაურის რაიონი, მოქ რუბენ გიორგის-ძე სოხაძის ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მის მოძრავ ქონებას სახელდობრ 1) ერთ ძაღ (ცხენს და კვიცს, 2) შვიდ ღერ ლამფას, 3) ხუთ დასახერხ მორს, 4) ერთ ნოხს, 5) ჩვიდმეტ ღერ ფიცარს, 6) ტანისამოსის შკაფს, 7) ერთ სარკეს, 8) ერთ მაგიდას, 9) ერთ ძველ უნაგირს. შეფასებულს სულ 1240 მ. გადამხდევინებლის მოქ. იასონ დავითის ძე სოხაძის ვალის დასაფარავად. საფუძვლისა გამო აღმასრულებელი ფურცელი ქ. ქუთაისის და მისი რაიონის სახ. სასამართლოისა 19 მაისით 1931 წ.

7043

საქართველოს ვაჭრობას ესაჭიროება

გამოცდილი უფ. ბუხჰალტრები, ბუხჰალტრები,

ბუხჰალტრის თანაშემწენი და მოანგარიშეები.

მსურველებმა უნდა მიმართონ საქვაჭრობის ცენტ. ბუღალტერია 'ში კომინტერნის ქ. № 5.

3—2 საქვაჭრობა.

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

დაკარგული და მოპარული ჩაითვალოს გაუქმებულად

მუშკოოპის წიგნაკები:

ვლასი რუხაძის № 357. ნინა რუხაძის № 741. ნესტორ თაბაგარის. ალექსი ელოშვილის. სალომე ბობოკაშვილის. გრიშა მეგრელიშვილის. გიორგი ჩხიკვაძის № 671.

პურის წიგნაკები:

მიხეილ კვირიკაშვილის. სპირიდონ ბოგრიჩიანის № 712206. ნიკიფორ სანაძის № 76197. კოსტა სულაძის. ამბაკო მალანიასი. პროკოფი დარჩიასი. ბალმა სამოსის.

ბინადრობის მოწმობა:

ნესტორ დათუაშვილის. სოფიო მესხის. ერასტი ალანიასი № 48.

მეტრიკული ამონაწერი:

მარია რატიშვილის. თამარ ხინაშვილის № 1275. მიშა მეგრელიშვილის. იურა სუვოროვის. ვენერა კაციტაძის. ივანე ნადირაძის ქეთო ფუტკურიძის. ზაქარია ციხითათრიშვილის № 70.

სამხედრო წიგნაკები:

გრიგოლ აბრამიასი.

კავშირის წიგნაკი:

ნესტორ დათუაშვილის № 9908.

სხვა და სხვა:

7 წლ. დამთავრების მოწ. № 579 კონსტანტინე ყანდის. ჰუმანიტ. ტეხნიკუმის ატესტატი № 69 იესე მურვანიძის. 7 წლ. დამთავ. მოწ. № 94 თეოდორა თვალავაძის 7 წლ. მოწ. № 25 და საგარეთუბნო ბილეთი № 097609 დავით კასრაძის. რკინ. გზის ვაგონის წიგნ. № 13453 ნესტორ დათუაშვილის. 7 წლ. დამთავრების მოწ. დავით ქაჯაიასი. 10 წლ. დამთავ. მოწ. № 260 ალიოშა შალამბერიასი. დამხლევ სალ წიგ. № 344 ხინა გოგუაძის. 7 წლ. დამთავრ. მოწ. ივანე ნადირაძის. საპენსიო წიგნაკი მიხეილ დუდამელის. საპენსიო წიგ. № 602 ნიკოლოზ თუნთიასი. საპენსიო წიგ. № 15 პოლინა ხაზუასი.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ფილიპე, შვილები კოტე, იოსები, [illegible]სო, მიშა; რძლები: ნინა, სალომე, რაისა, შვილიშვილები: მარგო, ლენა, ნუნუ აუწყებენ ამხანაგებს და ნათესავებს, რომ ა/წ. აგვისტოს 31, ს. ანაგაში დანიშნულია

მინადორა მიხეილის ასულის გოგოლაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი. 7062

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარო ნანიკოს ასული აგულოვისა აუწყებს საზოგადოებას, რომ ბათომში სოფლის სასაფლაოზე 23 აგვისტოს, 12 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის

ლუკა სტეფანეს-ძე აგულოვის

ხსოვნის აღსანიშნავად. 7033

ამიერ-კავკასიის საინჟინერო-მელიორატიული

ინსტიტუტი

რომელიც ქ. განჯაში იმყოფება, აცხადებს, რომ

დაიწყო საშემოდგომო მიღება

შემდეგ განყოფილებათა 1-ლ კურსზე:

1. მელიორატიულ-საამშენებლო.
2. საირიგაციო—საექსპლოატაციო.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ ინსტიტუტში შესვლა, უნდა შეიტანონ ინსტიტუტის კანცელარიაში განცხადებები შემდეგი საბუთების (დედნები) და მათი ასლების (ორცალად) თანდართვით:

1. განათლების,
2. დაბადების (შემომსვლელი უნდა იყოს არა ნაკლებ 17-სა და არა უმეტეს 35 წლისა),
3) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების საბუთი,
4. სოციალური მდგომარეობის და წარმოშობის,
5. მშობლების საარჩევნო ხმის უფლების,
6. მივლინების შემთხვევაში—მივლინების მოწმობა,
7. საბუთები, რომლებიც ახასიათებენ შემომსვლელის საზოგადოებრივ მუშაობას,
8. საექიმო მოწმობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
9. სამი ფოტოგრაფიული სურათი.

განცხადებების შემოტანის ვადა—15 სექტემბრამდე.

განცხადებები საბუთების დართვით უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. განჯა, ამიერ-კავკასიის საინჟინერო-მელიორატიული ინსტიტუტი.

ა/კ. საინჟ.-მელიორატიულ ინსტიტუტის დირექცია.

სახ. მუსიკალურ ინსტიტუტში მიღების წესები:

I. სახ. მუსიკ. ინსტიტუტი ამზადებს სპეციალისტებს შემდეგ ძირითად დარგებში:

1. მომღერლები (ესტრადის და ოპერის),
2. ინსტრუმენტალისტები (ორკესტრი, ანსამბლი, სოლისტი და სასულე ინსტრუმენტებზე).
3. პიანისტები (მასწავლებლები, აკომპანიატორები, კონცერტმეისტრები და ანსამბლისტები),
4. თეორეტიკოს კომპოზიტორები-დირიჟორები.
5. ინსტრუქტორები (კლუბებში მუსიკ. წრეების ხელმძღვანელები)
6. სასცენო ხელოვნების ფაკულტეტი (დრამატიული, საოპერო, ქორეოგრაფიული).

II. მუს. ინსტიტუტში ახალი კონტინგენტის მისაღებად ჩამოყალიბებულია მიმღები კომისია.

III. მუს. ინსტიტუტში მიიღებიან ყველა მუსტეხნიკუმებისა და მუს. მუშფაკების კურსდამთავრებულნი.

შენიშვნა: შესაფერი აკადემიური შემოწმების შემდეგ მუსინსტიტუტში მიიღებიან აგრეთვე გამონაკლის შემთხვევაში წარმოების ის მუშები, კოლმეურნე გლეხები, მოჯამაგირეები და მათი შვილები, რომელთაც არა აქვთ დამთავრებული მუს. ტეხნიკუმები და მუშფაკები.

IV. ინსტიტუტში შესვლის მსურველი ვალდებულია წარუდგინოს მიმღებ კომისიას განცხადებასთან ერთად შემდეგი საბუთები:

1. განათლების ცნობა—ორი შემოწმებული სურათით,
2. მეტრიკული ამონაწერი.
3. ცნობა სოციალური მდგომარეობის შესახებ,
4. ცნობა სოციალური წარმოშობის შესახებ,
5. მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ,
6. მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შეს.
7. საარჩევნო ხმის უფლების შესახებ.

V. მუსინსტიტუტის ყველა დარგებზე მიმდინარე 1931/32 სასწ. წელში მიღება სულ 75 კაცი.

VI. მიღების დროს მტკიცედ დაცული იქნება კლასიური შერჩევის ხაზი.

VII. ყველა საჭირო საბუთები და ცნობები უნდა იქნეს წარდგენილი მიმღებ კომისიაში 5 სექტემბრამდე.

განათლ. სახ. კომისარი: **კვირიკაძე.**

მუს.-დრ. ინსტიტუტის (ყოფ. კონსერვატორ.) დირექტორი: **ხოშარია**

7069

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 2—56

პ. ი. ჯაღალოვი

ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით 8—9 საღამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 1—3 საათამდე. მის. სამართ: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედანის მახლობლად. ტელეფონი 1 90 ?. 25—8 432

უახლოესი ამხანაგები: ი. ლანდია, ი. კვარაცხელია, ი. კვარცხავა, შ. ზარანდია, ბ. პაპასკირი, პ. ქებურია, ო. ფახულავა, ვ. თოდუა, ა. კვირკველია, ა. ჯომიდავა, ა. ფირცხალავა, ა. თოდუა, დ. კვირკველია, ი. ჯაიანი, ი. წურწუმია, ა. კაჭარავა, ქ. საბეკია, გ. ბახტაძე, ნ. ფირცხალავა, ჭ. კვარცხავა, ე. შენგელია, თ. კვარცხავა, ა. კვარცხავა ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამხანაგ

ბ უ ძ ი ნ თ ო დ უ ა ს

ტრაგიკულად დაკარგვის გამო. 7063

დამწუხრებულნი ამხანაგები: ვარლამ ძიმისტარიშვილი, ამბროსი კვირკველია, აკაკი სიჭინავა, გ. ჯომიდავა, ს. გოგოდია, ესტატე და ერასტი შენგელაია, ა. არახამია, ნ. აბლაია, ვალოდია ქართსანძე, დათიკო გაბელია, ბათლომე მამფორია, თეოფანე ახალაია, დომენტი ქებურია, ელიზბარ აბაშიძე იუწყებიან ძვირფას ამხანაგ

ბუნა ჯაქუს-ძე თ ო დ უ ა ს

ტრაგიკულად დაკარგვას. 7063

უახლოესი ამხანაგები მეზურის კომორგანიზაციის წევრები: თეოფანე ჩიტანავა, ანტო ბერია, კონსტ. კაკულია, თომა მოსიძე, ვალოდია ფაცაცია, ასი კომეთიანი, ალექსანდრე ჩიქოვანი, ესტატე ვახარია და მაქსიმე ცირდავა ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ დაუვიწყარი

ამხ. ბ უ ძ ი ა თ ო დ უ ა ს

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 7063

ღრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები გრიგოლ და ვერა ლაკვერხელიანები, შვილი თენგიზით, დედა მარო კვატაშიძე, ელენე ჯანგლიძე, ტასო კიბორძიძე აუწყებენ საზოგადოებას ამხანაგ მეგობრის ქიათურაში მათთვის უსაყვარლესი

პ ა ტ ა რ ა ნ ა რ გ ი ზ ა ს

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება 27 აგვისტოს ქიათურაში. ნ. 1656

ქიათურის კავშირგაბმულობის მოსამსახურენი მწუხარებას გამოსთქვამენ თანამშრომლის ვერა კვატაშიძის ბავშვის

ნ ა რ გ ი ზ ა ს

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 27 აგვისტოს ქიათურაში. ნ. 1653

მწუხარებაში მყოფნი: და პელო კატიტაძე, შვილები: სოფიო ტორონჯელიძესა ქმრით, მარიამ ოდიშარია ქმარშვილით და ვალოდია იუწყებიან, რომ 25 ამა თვეს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანა (ანიკო) ლევანის ას. საგანელიძისა

გამოსვენება დღეს, 5 საათზე, აბანოს ქ. № 29. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. 7067

დამწუხრებული მაზლი გრიგოლ გიორგის-ძე საგანელიძე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას რძლის

ანა (ანიკო) ლევანის ას. საგანელიძის

გარდაცვალებას. 7067

თბ. აბანოების მუშა მოსამსახურენი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი მუშა

ანნა ლევანის ასული საგანელიძისა

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, აბანოს ქ. № 29, დღეს, ავლაბრის სასაფლაოზე, 3 საათზე. 7062

გულდათუთქული მშობლები: ნინა ადამაია-სალარაძისა, ალექსანდრე სალარაძე შვილებით: ხინა და ნახი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 22 აგვისტოს, დაკარგეს უსაყვარლესი შვილი

პატარა ტ ა ნ დ ა

დაკრძალვა მოხდა 25 აგვისტოს, 4 საათზე, ქ. ბათუმში. ნ. 1647

ღრმად დამწუხრებულნი დეიდები: ბადია [illegible] შვილით: შურა, ეთერი, თამარა, ელია ქმრით, ბიძა კონო ადამაიები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 22 აგვისტოს, დაეკარგათ ძვირფასი საყვარელი დის შვილი

პატარა ტანდა ს ა ლ ა რ ა ძ ე

დაკრძალვა მოხდა 25 აგვისტოს, 4 საათზე (ბათომი, რუსთაველის ქ. № 32). ნ. 1647

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე პავლე ბახტაძე შვილებით: ნინა, ნათელა და ვახტანგი იუწყებიან დაუვიწყარ

თეოლინე იასონის ასული ბახტაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 აგვისტოს, ტობანიერში. ნ. 1652

ღრმად დამწუხრებული გრიშა, მატრიშა, მიტუშა, კოლია და კოლია ბახტაძეები, ძმა შვილებით: შოთა, თინა [illegible] იუწყებიან პიროვნულთა რძლის, მეორეთათვის ბიცოლას

თ ე ო ლ ი ნ ა ბ ა ხ ტ ა ძ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 აგვისტოს. ნ. 1652

ლიდა კვარაცხელია თოდუასი ქმრით დიმიტრით და შვილით მერიკოთი, მაიკოთ დავეტირით სიყრმის მეგობარს, იშვიათ ადამიანს

კოლია (კონსტანტინე) კ ო დ უ ა ს

უდროოდ დაკარგვას. ნ. 1654

ღრმად დამწუხრებულნი უახლოესი მეგობარნი: სტეფანე, ვარო, ნატო, ციალა და ლალი დარჩიაშვილები იუწყებიან ძვირფას მეგობარ

ვ ა ნ ო გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება 20 აგვისტოს. 7072

გაუბედურებული მეუღლე ნადია, დები: ქრისტინა ებანოიძისა, კატო კიკნაძეებია ქმარ-შვილებით, ბიძა კილაძე ოჯახობით, ბიცოლა კესარია იუწყებიან, რომ 30 აგვისტოს, ქ. ბათომში, სოფლის სასაფლაოზე, 5 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ხარიტონ გიორგის-ძე კილაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 1647

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 20